ლიტერატურული გაზეთი

№18 (226) 5 - 18 ოქტომბერი 2018 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაალ სამადაშვილი

ლაპარაკები

მივდიოდით და მივლაპარაკობდით...

მე ვყვებოდი, როგორ ვმუშაობდი ღამღამობით ნავთლუღის რკინიგზის სადგურში მტვირთავად, როგორ ვეზიდებოდი ვაგონებიდან საბარგო მანქანებამდე ფქვილით, ცემენტით, გაჯით სავსე ტომრებს და გამთენიისას წელის მოწყვეტის საფასურს, ცოტაოდენ ფულს რომ მოვიგდებდი ხელში, სადამდე მივუყვებოდი იმ გზას, რომელზეც ახლა მივაბიჯებდით...

როცა მოსალოდნელზე ნაკლებ თანხას მომცემდნენ, ან იმდენს, რამდენსაც შეპირებულები იყვნენ, მაკარონის საამქროსკენ გავრბოდი, უფრო სწორად, სწრაფად მივლასლასებდი. ერთი კვარტალი უნდა გამევლო, საამქროს ჭიშკრამდე რომ მიმეღწია. სისხამი დილის მიუხედავად, იქ უკვე იდგა ხოლმე ხალხი. ორმოცდაათამდე თუ ვიყავით, ჩემსავით ღამენატეხი კაცები და ქალები; თითქმის ყველას გვიმართლებდა, ყველას გვხვდებოდა მდარე ხარისხის ფქვილისგან დამზადებული რუხი ფერის მოკლე მილაკები. ხუთ კილოზე მეტს არ იძლეოდნენ, ეს რაოდენობა კი ჩვენ სამსულიან ოჯახს ერთი კვირა ყოფნიდა მთავარ კერძად და ღვეზელების გამოსაცხობადაც, სადაც მარილწყალში დამბალი მაკარონი ყველის მაგივრობას სწევდა...

იშვიათად, მაგრამ მაინც ხდებოდა ხოლმე ისე, რომ ვაგონის პატრონი, ჩვენი, მტვირთავების, მუშაობით კმაყოფილი, შეპირებულზე მეტ გროშებს ჩაგვითვლიდა ხელში და მაშინ კი, ხორცკომბინატისკენ ვიღებდი გეზს. იქ რიგში ჩადგომა, მუჯლუგუნებით გზის გაკაფვა და ჭიშკრის გისოსებს შორის ხელების გაყოფა ყურადღების მისაქცევად და ფულის მისაწოდებლად, არ მჭირდებოდა. ძველ ნაცნობს უნდა მივდგომოდი, საყარაულო ბუდრუგანაში რომ მორიგეობდა ღამეგამოშვებით და მისგან უნდა მეყიდა ის, რაც ლამის დელიკატესად ითვლებოდა დამშეულ ქალაქში — ძეხვი. როგორც თავად ამბობდა, კომბინატის დარაჯობაში ფულის ნაცვლად ხორცპროდუქტებით — ძეხვებითა და სოსისებით — უხდიდნენ და თუ ჰყიდდა, თავისას ჰყიდდა დროდადრო. სულ არ მაინტერესებდა, საკუთარს მითმობდა, თუ სხვისას, რადგან ამოვიჩრიდი თუ არა იღლიაში არაბუნებრივად წითელ სერვილადს, უმალ ის სურნელი შემიღიტინებდა ცხვირში, რომელსაც მისი თხელი ნაჭრები აუშვებდნენ თუჯის დიდ, ძირგამურულ ტაფაზე აშიშხინებისას...

საკვების გარდა, სათბობშიც უნდა დამეხარჯა გასამრჯელო. ყველაზე შორს მის მოსაპოვებლად მიწევდა წასვლა, გრძელ, მზიან ამინდშიც პირქუშ, ჩამოფხავებულ კორპუსებს შორის მოქცეულ პროსპექტის ბოლოს. ორ ბოძზე მიმაგრებულ კიდეებჩაჟანგებულ ფირნიშზე „ავეჯის ქარხანა“ ეწერა, მაგრამ მის მიღმა მდგარ საავიაციო ანგარის მსგავს შენობაში მუშაობა კარგა ხნის შეწყვეტილი იყო — არც ხელოსნების გადაძახილ-გადმოძახილი ისმოდა და არც ელექტროხერხების ზუზუნი. იქაურობა შემორჩენილი მასალის — გრძელი, ხორკლიანი ფიცრებისა და დაწნეხილი ნახერხისგან დამზადებული გლუვზედაპირიანი დაფების საწყობად იყო ქცეული. ქალაქელების შეშა, რა თქმა უნდა, ჩემნაირი ხელმოკლეებისა — ეგ გახლდათ. ვყიდულობდი იმდენს, რამდენის წაღებასაც შევძლებდი. საგანგებოდ წამოღებული თოკით ვკრავდი ფიცრებს და დაფებს, რომლებსაც ჯერ ერთმანეთზე ვაწყობდი და როცა ზურგი დამეღლებოდა მძიმე ტომრებზე გაცილებით მოუხერხებელი ტვირთის ზიდვით, გავერანებულ ასფალტზე მივახოხიალებდი თოკის გრძელი ბოლოთი ხელში. შინ მიტანილს წვრილად ვჩეხავდი და თუნუქის ღუმელს ისე ვაგუზგუზებდი, რომ მისი ნაჩვრეტებიდან სითბოსთან ერთად შუქიც ეფინებოდა გამოციებულ და ჩაბნელებულ ოთახ ს...

ჩემი თანამშრომელიც თავისას ჰყვებოდა...

//

დოდო ჭუმბურიძე

ნოემბრის ღამეში

„ნოემბერი ჭინკობისთვეა, გეშინოდეს ჭინკების“!
ბებიაჩემის შეგონებიდან

ღამე აავსეს ჭინკებმა,
გაცივდა გუნდი ვარსკვლავთა,
ხეებს დაეშვნენ რტოები.
ვინ იბადება, ვინ კვდება,
ჩუმი ხმა ისმის საკრავთა:
— აქ ყველანი ვართ დროებით...

ამაოდ ეძებს თანხმობას
სული — სულთან თუ სხეულთან,
ქუჩა — ქუჩით თუ მოედნით,
ჭინკები დგანან მახლობლად,
წყავებთან თუ ბროწეულთან,
თბილია ღამე ნოემბრის.

ხმები მოდიან, მიდიან,
ნისლები დიან ხომლებად
რძეგარეული გროვებით,
გვამშვიდებს, ღმერთი დიდია,
ვერ გაგვაბაზრებს ცხოვრება,
აქ ყველანი ვართ დროებით...

IV-V

ლაპარაკები

დასაწყისი პირველ გვერდზე

ხევსურეთში ასვლას იხსენებდა მეგობართან, ყოფილ თანაკურსელთან, თითქმის დაცლილ, შვიდკომლიან სოფელში რომ მასწავლებლობდა. სამი საბარგო მანქანის ძარაზე უჯაყჯაყია, სანამ ადგილამდე ჩააღწევდა. პირველს, ჟინვალამდე მიმავალს, ცარიელი ბიდონები მიჰქონდა თურმე; მეორეს, ბარისახოში ჩამყვანს — თუნუქის ჟანგმოკიდებული ფურცლები; მესამეს — დათვისჯვრის უღელტეხილის გადამლახავს — ფუთებად შეკრულ ზეწრებში ჩაჭუჭკნული ნახმარი ტანსაცმელი. მასპინძელი სიხარულით ცას სწევია მეგობრის მოულოდნელი სტუმრობით. მოუსვენებია მთელი დღის ნაჯანჯღარები, ხავიწითა და ჟიპიტაურით გამასპინძლებია, სიპებით ნაშენი კოშკები დაუთვალიერებინებია, გული უჯერებია სტუდენტობისდროინდელი ამბების გახსენებით. ორი დღის მერე აპირებდა თურმე წამოსვლას და ვერ წამოსულა, მანქანა აღარ გამოჩენილა. ერთი ღამეც გაუთევია და დილას უთქვამს, ფეხით წავალო. მეგობარს ორი კარგა მაგრად გატიკნილი ზურგჩანთა გამოუტანია სახლს მიდგმული ფარდულიდან და განუცხადებია, ამსიმძიმე ბარგს მარტო ვერ ათრევ, მეც გამოგყვებიო. ერთ ზურგჩანთაში კარტოფილი ყოფილა, მეორეში — ქილა ერბო, ერთი თავი ყველი და დამარილებული ხორცი. სანოვაგის წაღებასა და გაყოლაზე ჯერ ცივ და მერე ხვეწნით ნათქვამ უარს შედეგი არ გამოუღია. უღელტეხილზე თანხლებას არ დასჯერებია, ბარისახომდე ჩაუცილებია და იქ მცხეთისკენ ამგზავრებული ნაცნობი მძღოლის ადამისჟამინდელ „ვილისში“ ჩაუსვამს. მეუღლეს ლამის ორი თვე უმყოფინებია ოჯახისთვის ხევსურეთიდან ჩამოტანილი ხორაგი...

*

შვიდასი მილიონი კუპონი გვქონდა და ქაღალდის საყიდლად მივდიოდით. გაზეთისთვის გვინდოდა, რედაქტორის დავალებას ვასრულებდით, ფულიც მისი გამოტანებული გახლდათ. საწყობში დოლარები უნდა გადაგვეხადა, ამისათვის კუპონების გადაცვლა იყო საჭირო. შვიდასი მილიონი კუპონით ხუთასი დოლარის ყიდვა შეგვეძლო. სწორედ ამდენს ითხოვდნენ ტონანახევარ ქაღალდში. საწყობი სადღაც შორს, „ზეემკას“ სასაფლაოსთან იყო. ფულის გადასაცვლელად ისნის ბაზრობის ქვედა შეასასვლელთან მივედით, ძალიან ადრე, ლამის გამთენიისას. კუპონი დღეში რამდენჯერმე, თანაც საგრძნობლად უფასურდებოდა და გვინდოდა, დოლარის იმ კურსისთვის მიგვესწრო, რაც წინა საღამოს იყო. ვალუტა „ხელზე“ იყიდებოდა და გადამცვლელები, უმეტესად შუახნის, დაჭმუჭნულ ლაბადებსა და დავიწროებულ ქურთუკებში გამოწყობილი კაცები და ქალები, უკვე იდგნენ „ბირჟაზე“. რამდენიმესგან მოგვიწია შეძენა, ხუთასი დოლარი, ერთად, არავის ჰქონდა. ცელოფანის შავი, გაუმჭვირვალე პარკის დაცარიელებას, პირთამდე რომ იყო სავსე ფერად-ფერადი კუპონების დასტებით, ნახევარი საათი მოვუნდით. ბენჯამენ ფრანკლინის გამოსახულებიანი კუპიურები ხელთ გვეპყრა და შეგვეძლო გავდგომოდით გზას. რაკი ქალაქის ეს მხარე ჩემ თანამშრომელზე უკეთ ვიცოდი, მარშრუტი მე შევარჩიე. იმ მიმართულებით უნდა გვევლო, საითკენაც ადრე ტრამვაის მიჰყვებოდნენ ოცდამეთერთმეტე, საავიაციო ქარხნის მუშები...

საწყობი იმაზე შორს აღმოჩნდა, ვიდრე წარმოგვედგინა. სასაფლაოსაც გავცდით, ოდესღაც მოგუგუნე ქარხანასაც და კითხვა-კითხვით მივაგენით ტრიალ მინდორზე გაფანტულ ნახევრადდანგრეულ დაბალ შენობებს შორის ერთ-ერთს, სხვებთან შედარებით ნაკლებდ გაპარტახებულს. მისი დიდი ნაწილი ქაღალდის ვეებერთელა რულონებით გადაჭედილ საცავს ეკავა, მცირე ნაწილი — დირექციას, სადაც საწერ მაგიდებთან მსხდარ, სიცივისგან მობუზულ, ჯიბეებში ხელებჩაწყობილ კაცებს შორის ძნელი ამოსაცნობი გახლდათ, ვინ იყო უფროსი და ვინ — ხელქვეითი. ჩვენი რედაქტორის გვარი რომ ვახსენეთ და ქაღალდის რაოდენობაც დავუსახელეთ, რამდენიც გვინდოდა, ერთმა მათგანმა, შედარებით ასაკოვანმა, თავისთან მიგვიხმო. რაღაც საბუთებს ხელი რომ მოვაწერეთ და ფული მაგიდაზე დავუდეთ, გვკითხა, რითი მოხვედითო. ჩვენმა პასუხმა, ფეხითო, გააკვირვა და დამატებითი შეკითხვა გაუჩინა, საიდან, რა ადგილიდანო?.. ისნიდან-თქო, რომ ვუთხარით, ჩვენთან ლაპარაკს აღარ დასჯერდა, ოთახში მყოფებს მიმართა, ესენი ყოფილან ვინც ყოფილან, კოსმონავტების გულები ჰქონიათო. აგვათვალიერ-ჩაგვათვალიერეს დანარჩენებმა და, სავარაუდოდ, განსაკუთრებული ვერაფერი აღმოაჩინეს ჩვენში. ანდა, რა უნდა აღმოეჩინათ, ჩვეულებრივი ბიჭები ვიდექით მათ წინ — გამხდრები, დაღლილები, ცუდად ჩაცმულები. ღმერთს მადლობა შესწირეთ, ამდენი ფულით ჯიბეში მშვიდობიანად რო მოაღწიეთ აქამდეო. ოთხად გაკეცილი საბუთი, რომელზეც ეწერა, კუთვნილ ქაღალდს სტამბაში მიიღებთო, გულისჯიბეში რომ ჩავიდე და გარეთ გამოვედით, მერეღა გავიაზრეთ, რა ხიფათებს გადავურჩით. ან „ბირჟიდან“ რომ არ აგვყვა ვინმე, ვინც დაინახა, როგორ დავატარებდით კუპონებით სავსე პარკს ერთი გადამცვლელისგან მეორემდე, ან გზაზე როგორ არ გადაგვიდგნენ უფორმო ავტომატიანები, რომლებსაც არაერთხელ ვკიდეთ თვალი ხან ბენზინმზიდებთან, საწვავს უფასოდ რომ ისხამდნენ თავიანთ ავტომობილებში, ხან პურის მანქანებთან, მაღაზიაში მისვლამდე ადგილზე მისატანის მესამედს რომ ცლიდნენ ჯვალოს ტომრებში...

*

უკანა გზაზე თავსგადახდენილი ამბები აღარ მოგვიყოლია ერთმანეთისთვის. ლიტერატურაზე ვილაპარაკეთ, ჩვენი რედაქტორის ნოველაზე, რომელსაც ცნობილ პარიზულ კაფე „shez maxime“-ის წაბაძვით „მაქსიმთან“ ერქვა და ბებერ მონადირესთან სტუმრობას აღწერდა მის ბუნაგში და პერუელი მწერლის რომანზე, რომლის გმირები ოცდათორმეტი წლის მომხიბლავი ქალი და თხზვისგან სიგიჟემდე მისული მწერალი გახლდათ.

ბედის მადლიერები უნდა ვყოფილიყავით, რომ თხრობა, მოყოლა შეგვეძლო, საკუთარი და სხვების ამბების. ტყვიაგაუმტარივით საიმედო გარსს ვიქმნიდით ამ უნარით, რომელსაც გარესამყაროსგან უნდა დავეცავით. გარესამყაროსგან დაცვა ნამდვილად გვჭირდებოდა, მარტო ჩვენ კი არა, ყველას, ვინც ამ ქალაქში ცხოვრობდა და მის ქუჩებში ყოველდღე უწევდა წანწალი.

„მედროშე“

ნაძალადევის მთავარ ქუჩას ბოლშევიკური გადატრიალების თარიღის უკვდავსაყოფად — ოქტომბრისა ერქვა და მასზე ტრამვაი დახრიგინებდა; სულ ადრე — მაღალვაგონებიანი, დიდი ფანჯრებით, მოგვიანებით — დაბალი, განიერი, ნაკლებად ხმაურიანი. გადასასვლელ ხიდთან და რევოლუციონერ ჩოდრიშვილის სახელობის ასახვევთან მდებარე გაჩერებებს შორის მოზრდილი საპარიკმახერო იყო, რომლის წინ ხშირად ძუძგურებდა შუახანს გადაცილებული დაჭმუჭნული კაცი — შინდისფერი ცხვირით, ჩაწითლებული თვალებით და ჭუჭყისგან სარკინიგზო შპალივით გაპოხილი „ტელეგრეიკით“. მასზე ამბობდნენ, ოდესღაც მიცვალებულს „დუხავო“ ორკესტრის თანხლებით რომ მიასვენებდნენ, ეგ პროცესიას წინ მიუძღოდა დროშით ხელშიო...

შემორჩა მეხსიერებას ეს ამბავი და კითხვებზე პასუხების მოსაძიებლად წიგნებში ქექვა რომ ვისწავლე, რომელიღაც ფურცლებგამოყვითლებულ გამოცემაში ამოვიკითხე — მსგავსი წესით ამა თუ იმ სახელობო ამქრის წევრს კრძალავდნენ ძველ თბილისში, ოღონდ სასულე ორკესტრის კი არა, მედუდუკეთა დასტის თანხლებით. დროშის შესახებ ის ეწერა, რომ იგი ამქრისა უნდა ყოფილიყო, თერძებს თავისი ჰქონიათ, მჭედლებს, ხარაზებს და დურგლებს — თავთავიანთი...

რაღაც არ გამოდიოდა... ის დაჭმუჭნული კაცი მაშინ, ჩემ ბავშვობაში, დიდი-დიდი ორმოცდაათი წლისა ყოფილიყო, პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას დაბადებული, მოწიფულობის ასაკს ოცდაათიანი წლების ბოლოს მიაღწევდა, როცა ძველი თბილისი, მისი ცხოვრების წესი და სანახაობები უკვე გამოგლოვილი ჰქონდა პოეტ გრიშაშვილს. ასე რომ, მისი მედროშეობა სხვა ეპოქას უკავშირდებოდა, მომდევნოს, ძალით „გაწითლებულს“, ეგრეთ წოდებულ საბჭოთას. ჩნდებოდა ახალი კითხვები — ვინ უნდა ყოფილიყო გარდაცვლილი, ამგვარად რომ გაეცილებინათ უკანასკნელ გზაზე და როგორი დროშა უნდა სჭეროდა ხელში სამგლოვიარო პროცესიის წინამძღოლს...

პასუხებს ამ შეკითხვებზე წიგნებში ველარ მივაგენი და იძულებული გავხდი თავად მომეფიქრებინა, ვარაუდები მაინც გამომეთქვა. დროშა წითელი იქნებოდა უეჭველად, მარცხენა ზედა კუთხეში ერთმანეთს გადაჭდობილი ნამგლითა და ურითი. სხვა ფერისა და სხვა სიმბოლიკის მქონე ბაირაღს ვინ გააჭაჭანებდა სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქში? სასულე ორკესტრი დაქირავებული კი არ ეყოლებოდათ ჭირისუფლებს დასტასავით, „უფროსობის“ მიერ იქნებოდა მოვლინებული დავალების შესასრულებლად. შესაბამისად, ხელისუფლების წინაშე დამსახურების მქონე მიცვალებულს ერგებოდა ასეთი პატივი, მაგალითად — ავლაბრის არალეგალური სტამბის ასოთამწყობს, ბოლშევიკური გაზეთებისა და პროკლამაციების დასაბეჭდად მიწისქვეშეთში რომ ჩადიოდა ჭაში ჩაკიდული კიბით; ანდა სარკინიგზო დეპოს სქელულვაშა ზეინკალს, ცხენოსანი კაზაკების მიერ მოქნეულ მათრახებს რომ უგერიებდა გრძელი ქლიბით ყელზე უჯრულა შარფშემოხვეულ „ამხანაგ კობას“. სამგლოვიარო მსვლელობის დროშით გაძღოლასაც არავინ დააკისრებდა მთლად „უბრალო“ კაცს, სულ ცოტა, მეორე თაობის პროლეტარი უნდა ყოფილიყო ალბათ და წინამორბედთა მსგავსად, „მოწინავე“ მშრომელი, რაც ჩარხთან ტრიალის გარდა „სწორ იდეოლოგიურ პლატფორმაზე დგომასაც“ ნიშნავდა...

ივლიდა ეს კაცი ორმოცდახუთი გრადუსით დახრილი დროშით ათი-თერთმეტი წელი, ეგონებოდა, რომ დიდად საპატიო მოვალეობას ასრულებს და მოგვიანებით, როცა ყავლი გაუვიდოდა მიცვალებულისთვის პატივის მიგების ამ ფორმას, როცა აღარ დაუძახებდნენ ამ საქმეზე, მოუწევდა რეალობისთვის თვალის გასწორება და აღმოჩენა იმისა, რომ ხელობაც დავიწყებული აქვს და ჭირის სუფრებზე მუქთა სასმელის უზომოდ ყლურწვას მიჩვეულს, ერთი დღის გადაგორებაც არ შეუძლია არყით გამობრუჟვის გარეშე...

თუმცა, როგორი განსაცდელიც არ უნდა დაატყდეს ადამიანს, უკიდურესად გამცონარებულს ფიზიკურად და გონებრივად, მისი გაღატაკებული წარმოსახვა, რა თქმა უნდა, ძლიერი მოწადინების შემთხვევაში, მაინც ახერხებს გამოსავლის პოვნას და თხზავს ლეგენდას, რომელიც თითქოს სხვებისთვის, შორეულ ნაცნობებთან და სრულიად უცნობებთან მოსაყოლად არის განკუთვნილი, სინამდვილეში კი, მხოლოდ მას, მისი ტანჯვის გაიოლებას, ფუჭად გალეული წლების ცრუ შარავანდედით შემოსვას, იმ „საქმიანობის“ გამართლებას ემსახურება, რომელმაც ყველაფერი გადაავიწყა და წაართვა, რაც გააჩნდა...

ასეთი, შვებისმომგვრელი ლეგენდის შეთხზვაში დაჭმუჭნულ კაცს მის მედროშეობით დაკრძალულ ერთ-ერთ ბოლშევიკთან დაკავშირებული ეპიზოდი დაეხმარებოდა. იმ ეპიზოდის ერთ-ერთ მოქმედ პირს აქცევდა თავის „თხზულების“ მთავარ გმირად და არასოდეს დაიღლებოდა სცენის აღწერით, სადაც მას დროშას გადასცემდა და სამგლოვიარო მსვლელობის გაძღოლას ავალებდა, არც მეტი, არც ნაკლები — ამხანაგი სტალინი...

ეს სცენა თუ სურათი, რომელსაც ყოველ ჯერზე ახალ-ახალი დეტალებით და ნიუანსებით ავსებდა მთხრობელი, დაბოლოება გახლდათ ამბისა, რომლის თანახმადაც უკიდეგანო იმპერიის მრისხანე მმართველი ფარულად, კონსპირაციულად იყო ჩამოსული ნაძალადევში ძველი მეგობრისა და თანამებრძოლის დაკრძალვაზე, ვისთან ერთადაც, სრულიად ახალგაზრდა, შეიარაღებულ კაზაკებს იგერიებდა თუ ალექსანდრეს ბაღის თუ ხუდადოვის ტყის მიდამოებში...

მსმენელთა რეაქციის მიუხედავად — უმრავლესობას სასაცილოდაც არ ჰყოფნიდა წყალწაღებული კაცის მიერ მოყოლილი ამბავი — თავად მთხრობელი დროთა განმავლობაში ისე შეისისხლხორცებდა, ისე მოიხიბლებოდა საკუთარი გამონაგონით, რომ ტანჯვას გაიიოლებდა კი არა, სევდანარევი სიამაყით გაიხსენებდა იმ დღეს, პირველად რომ გაუძღვა პროცესიას, პირველად რომ იგრძნო ხელისგულებით დროშის ტარის სიგლუვე, პირველად რომ ჩაესმა ფოჩებიანი წითელი ნაჭრის ტკაცუნი, გამოწვეული არც ისე ძლიერი ქარით...

*

ყოფილ ოქტომბრის ქუჩაზე, საპარიკმახეროსთან ხედავდნენ შუახანს გადაცილებულ ყოფილ „მედროშეს“.

მისი იქ ატუზვის მიზანი მუშტრებისთვის, წვერის გასაპარსად და თმის გასაკრეჭად მოსული კაცებისთვის ცოტაოდენი ფულის, რამდენიმე კაპიკის დაცინცვლა გახლდათ...

რათა მერე მუჭში მოქცეული შაურიანები და აბაზიანები „ბატონკაცურად“ დაეყარა ახლომდებარე მაღაზიის გამყიდველისთვის დახლზე და თითით ენიშნებინა — აი, ის არაყი მომაწოდე და აი, ის პაპიროსიო...

„ზუბროვკას“ სვამდა და „ბელომორ-კანალს“ ეწეოდა.

თეონა ბითაძე

აგვისტო

პოეზიაა, აბა, რა არის
ზაფხულის ბოლო გაფართხალება:
თბილი საღამო გრილში გადადის,
მხრებზე ჟაკეტი იკრეს ქალებმა.
ეზოში ჯგუფად თვლემენ კატები,
სიჩუმეს არღვევს ტირილი ბავშვის
და ძველებური განავარდებით
ისევ მუზები დამირბის თავში
და მონატრებას ლექსებად ვხატავ,
თუმცა, ბევრს უკვირს ამგვარი დარდი.
ეზოში კნუტებს დაათრევს კატა,
ბოლო სამოსელს იფერებს ვარდი.

მოლოდინი

როგორ გელიან
ჩემი მზემოკიდებული მხრები.
უტყვია ზეცა. უტყვია გარემო
და იმარხება გულში ისედაც
შეუმჩნეველი ლტოლვა მტანჯველი.
მე გამაფრთხილეს,
სიტყვაც აღარ დავძრა სიყვარულზე:
ასე უფრო ნამდვილიაო
ყველაფერი.
მაგრამ გელიან ჩემი მზემოკიდებული მხრები.
თვალებიც ელის
ერთ ნაგლეჯ მზერას:
თვეების სამყოფს.

* * *

წვიმს... როგორც უთქვამთ ბევრჯერ პოეტებს.
ხელ-პირს იბანენ გზაზე ნაძვები,
იქვე ჩონჩხებად დამდგარ შენობებს
თავისებურად ველამაზებით.
სულ არ მინდოდა, მაინც ველოდე
და... ცხოვრებასთან ჯიბრში ჩავები...

სახურავებზე მელანქოლია
სისველედ წვება და გულს აქანებს.
გადაიარა იმ ისტორიამ.
ახლა ფანჯრიდან ვითვლი მანქანებს
სულ, სულ უბრალოდ.

ამოძახილი

როდესაც სრულ აბსურდს მთავაზობს
ცხოვრება
და ყველას თვალები,
წავალ და საკუთარ სიმშვიდეს
ჩრდილის ქვეშ თუ შევეფარები.

არ ვიცი, მარტო მე დამცინის
სიცოცხლე, ცივდღეებასხმული,
თუ სხვებსაც არ აკლებს ქარ-ცივებს
აწმყო და მტანჯველი წარსული.

არ ვიცი, ნაგვემი ტვირთებით
მარტო თუ მივყვები ქარავანს.
ჰო... ზოგჯერ მგონია, გჭირდები,
ზოგჯერ კი
არავინ არა ვარ.

* * *

ნელი მუსიკა. კაპუჩინო. გვიანი ღამე
და თეფშზე ობლად დარჩენილი ციცქნა ნამცხვარი.
დიდი რომ ვიყო, აღარ გთხოვდი: „მითხარი რამე,“
მაგრამ, რა ვიცი...
თითქოს გაზრდაც ვერ მოვასწარი.
შფოთვის დღეები. გაზაფხული. ოფისი, საქმე
და მონიტორთან — მორჩენილი ყავა დილიდან.
აბა, რა ვიცი...
რაც მიყვარდა, თითქოს სულ დავთმე,
მაგრამ, თან ამ დროს ყველაფერი გამომივიდა.
წიგნების გროვა: სალამურა, პატარა პრინცი
და საყვედურით მომზირალი (სავსეა) თარო.
ნუ ელოდები, აღარ მოვა მერი პოპინსი,
გეტყვის: საჩემოდ აღარც ისე პატარა ხარო.
ძველი ლექსები. ბლოკნოტები. ჩამქრალი ცეცხლი.
ღიმილის მოგვრა აწ გარდასულ ვნებათა გამო.
დღეს კარგად იცი: ოცდაათი — ცოტაა ვერცხლი
და ამიტომაც თავად უნდა გამოიტანო
დასკვნები მწარე
და ცხელ გულზე ლექსები წერო
(ვინ წაიკითხავს, მნიშვნელობა სულაც არა აქვს).
შენ კარგად იცი: მწყურვალს ხშირად არ ხვდება ჩერო,
ბრბოც ქრისტეს ნაცვლად უყოყმანოდ ირჩევს ბარაბას.

სულ ცოტაც და...

სულ ცოტაც და მონატრება შემხრავს
(დაგავიწყდა, რაც კი გულით გთხოვე),
მართალია, კი ვცდებოდი ერთხანს,
მაგრამ ხშირად მართალი ვარ ხოლმე.
მე არ ვიცი, რას ეძახი სევდას
ან რას ფიქრობ, როცა ძლიერ ვბრაზობ.
სულ მგონია, გამირბიხარ შენ და
ცხოვრება მე უნდა ვალამაზო.
რატომ მიდის უღიმღამოდ დღენი,
რად ივიწყებ, მე რაც ბევრჯერ გთხოვე.
გაიხსენე სიყვარული ჩვენი
(მაშინ ასე ვეძახოდით ხოლმე).
სულ მგონია, ამოვიგლეჯ გულს და
მივამატებ დარდის მთას და გორებს.
ვიცი, შენთვის წვრილმანია სევდა,
ამიტომაც
მეტირება
ხოლმე.

შემიყვარდი

ოცადგილიან სამარშრუტო ტაქსს
უჩუმრად მიაქვს ოცივე დარდი.
მტრედები სხედან სახურავებზე
და არ იციან, რომ შემიყვარდი.
ქუჩებს და ხეებს ფერი აქვთ ერთი,
ვამზადებ შენთვის სათქმელ სტრიქონებს.
ზოგი გულიდან ამომაქვს პეშვით,
ზოგსაც კი... ვფიქრობ, ვფიქრობ, ვიგონებ.
ყველას თავისი დააქვს სევდები,
ყველას თავისი სერავს ტკივილი.
ასე ვიზრდებით, ასე ვბერდებით
და სხვას არ ესმის ჩუმი კივილი.
მძივად ავასხამ წვრილ-წვრილ ვარსკვლავებს,
გზად გადავაქცევ მოკლე ბილიკებს,
მაინც მოგწვდები, მაინც მოგაგნებ
და ვეღარასდროს ვერ დამივიწყებ.

უღონო სიყვარული

როცა სახლები ფანჯრების თვალებს
ხუჭავენ, მაშინ სულ შენზე ვფიქრობ.
ახლოს არა ხარ, მაგრამ, მე მაინც
სადაც ხარ, ფიქრით გეწვევი იქ, რომ
შემოგეხვიო მაგ მაღალ ყელზე
და გავინაბო სანატრელ გულთან.
მერე კი გითხრა, რასაც ვერ შევძლებ
უძვირფასესის გარდა, სხვას ვუთხრა.
მინდა, შეგჩივლო, რომ მახრჩობს დარდი
და შენი ლანდიც მტანჯველად დამდევს.
თუმც, ზამთარივით გადამიყვარდი,
ზოგჯერ სუსხივით გაატან ძვლამდე
და ყველგან გხედავ: შინა თუ გარეთ,
დახუჭულ თვალშიც მზესავით ატან.
მთელი ძალ-ღონით ვიბნელებ თვალებს,
გარიდებ გულს და
ფიქრსაც ქარს ვატან.
მერე აცილებს დღის ნათელს ღამე,
რომ სახლებს მძიმე მოჰგვაროს რული
და ჩათვლემილი ფანჯრების მიღმა
უღონოდ ახელს თვალს... სიყვარული.

უმამო გოგონები

ვარსებობთ ისეთი გოგონები,
რომელთაც ძალიან ადრე დავკარგეთ მამები
და პატარაობისას ვიგრძენით მიხაკების სუნი.
ვარსებობთ გოგონები,
რომლებსაც აღარ გვიკვირს წუხილი დედის სახეზე
და ზედმეტად ძვირფასია ჩვენთვის მისი ღიმილი.
ასეთი გოგონები
დაუცველობის შეგრძნებით ვიზრდებით და ვყალიბდებით,
რაც, ჩვენდაუნებურად, გვაძლიერებს კიდეც.
ასეთი გოგონები
მივდივართ გაზრდილ ბავშვობის მეგობრებთან
გარდაცვლილი მამის სამძიმარზე,
ვდგავართ და
საკუთარ დაობლებულ ბავშვობასაც ვტირით.

მე რამდენიმე მეგობარი მყავს

მე რამდენიმე მეგობარი მყავს
და მათ შორის ზოგიერთი უსაყვარლესი,
რომლებიც ჩემი დაფლეთილი სულის ნაწილები
და, ამავე დროს, მალამოები არიან.
მე რამდენიმე მეგობარი მყავს.
ზოგი მშვიდია, ზოგი კი ჩემი სულივით ბობოქარი,
იციან, რითაც ვსაზრდოობ
და რა მიჩენს გულზე უდიდეს ნაწიბურებს.
ზოგი მეგობარი შორს მყავს და
სიზმარსღა ემსგავსებიან მათთან გატარებული დღეები,
ანდა — თვალუწვდენელ ჰორიზონტს.
მაგრამ ყველაზე ჩემი ის არის,
ვინც ჩემგვარ ცეცხლში დამწვარა,
ვისაც ჩემი ცრემლებით უტირია,
ვისაც ჩემი სული ეძვირფასება.
მე რამდენიმე მეგობარი მყავს.

მამაჩემიც

რა იქნებოდა, ყოფილიყო მამაჩემიც,
სხვისი ხანშიშესული მამებივით
დამჯდარიყო ფანჯარასთან ხელში გაზეთით,
თვალებში მოახლოებული სიბერის სევდა ჩასდგომოდა,
მხოლოდ შვილიშვილები რომ გაუქრობდნენ
რა იქნებოდა, მეც მცოდნოდა,
როგორია, იყო ვიღაცის პატარა გოგო
მაშინაც კი, როცა უკვე ოცდახუთს გადააბიჯე
და შეცდომები ნაკლებად გეპატიება.
რა იქნებოდა, მხოლოდ ბავშვობის მოგონება არ იყოს,
სამსახურიდან მოსულს სახლში მხვდებოდეს,
უხაროდეს, რომ გავამართლე მისი მოლოდინი
და მაშინაც უკვდებოდეს თვალებში
სიბერის სევდა.
მაგრამ უკვე თხუთმეტი წელია, მიწაა მამაჩემი,
ძლიერი მხრები მისმა სიმძიმემ ჩაუმტვრია.
თვალის ფოსოებიც დედა-მინით აევსო
და მაინც ვიცი,
იმ ცივი ქვის ქვეშ არაა მამაჩემი,
რომელზეც მისი სახელი და გვარი წერია,
ის სითბოშია,
ღვთის თბილ ფრთებქვეშ მოყუჩებული,
ვენატრებით და
ჩვენთვის ლოცულობს.

დოდო ჭუმბურიძე

* * *

ვიწყები მთაში,
მდინარე მიდის,
მიდის კი არა — მირბის და მივსდევ
და ვერ ვეწევი, ვერც ვლახავ ნაპირს...
პეპლების ქარში სუნია მინდვრის,
თაფლი გადასდით სექტემბრის მინდვრებს,
ლამაზებს, ვიდრე გვირილებს მარტის.

ოქროცოცხები ჯერ არ გამხმარან,
ასკილი მიხმობს მდინარის გაღმა,
ფარაც ჩანს, მწყემსი ჯოხს აცლის ეკლებს,
ყველა წყნარი და მშვიდი გამხდარა,
ვერც უკან წავლენ და ვერც წინ ახლა:
ვხედავ ნისლებში აღმართულ ნეკრესს.

მდინარე მიდის, ო, უფრო მირბის,
დრომ და მდინარემ პირი თუ შეკრეს,
ვინ დაძლევს ამ ჟამს, ბინდია სრული,
უფრო და უფრო ბინდდება ბინდიც,
დაბნეულ ფარას მწყემსიც კი ვერ კრებს
და ვერც ფარა გრძნობს შეკრების სურვილს...

უფლის სიტყვა

ფანჯრები ჩაიმსხვრნენ,
კარებს აცილდათ ანჯამები,
სახლებიც დაინგრენ, ჩაიქცენ ქვევრები,
ქარს გაჰყვა მონაგები, ასე ნაწვალები,
სიტყვებიც განქარდნენ, ტკბილები და მჭევრები.

დაეცნენ საუკუნის ტოტგაშლილი ბერმუხები,
კლდეები დაინგრენ, მთები დადრკენ უძვრელნი,
მარტო უფლის სახლი დარჩა ხელუხლები,
უფლის სიტყვა დარჩა მარტოდენ უცვლელი.

ორი პეიზაჟი

I

ტბაში ჩანს ცა და
ცა არის მდორე,
ჩიტები კენკენ ნაყანარს ხორბლის,
მოცისფრო კვამლში გახვეულ გორებს
აჩნდება ჩრდილი მშიერი ორბის.

მდინარე დგას და კითხულობს დამჭკნარ
და სიზმრად ქცეულ არეთა აზრებს,
ტყეს ქარის ფრთებზე, ვით ჯვარზე აკრავს
და ჟამი ცივ ცას დაიმხობს თავზე.

აკლია ყოფას ცეცხლი და გზნება,
ცოტა მარილი და ხიბლიც, წაშლილს,
თავისას ამბობს განგების ნება
და მიწაში დებს, ატყორცნილს ცაში.

II

მტრედები ჩუმად ზვერავენ სივრცეს,
თოვლიან ფიჭვებს უფრენენ ირგვლივ,
მდუმარე არე მკლავებში მიქცევს,
მირბის დრო-ჟამი, უჩინრად მირბის.

ჩირგვი ცივ მიწას გაკვრია ჟრჟოლით,
მზეს მოფარებულს აჰყურებს ღრუბელს,
გამხმარს ჰგავს თოვლში ხე შავი ბჟოლის
და ქვეყანაზე დუმილი სუფევს.

ცა აკავშირებს იმ მთას და ამ მთას,
ართავს მიდამო ფანტელთა სამოსს,
უჯიუტდება ენძელა ზამთარს
და ამოძრომას მიწიდან ლამობს.

მტრედებიც ჩუმად ზვერავენ სივრცეს,
თოვლიან ფიჭვებს უფრენენ ირგვლივ,
მდუმარე ბინდი მკლავებში მიქცევს,
და მირბის ჟამი, რა სწრაფად მირბის...

გელათის თავზე

გელათის თავზე, მწვანე ვილაში,
ჩემი დობილი, მარტოსული ცხოვრობს მირაჟში,
ქარები ქრიან, ფოლიანტებს ცილდება ხიბლი,
ღამეში ჩუმად შრიალებენ კორმები წიფლის,
მუხის ხეები საუკუნის ამბებს ჰყვებიან,
დრო და ჟამს ითვლის მზის საათის უცნობი ციფრი.

გელათის თავზე, მწვანე ვილაში,
საუკუნეთა, გარდასულთა, არსში მჭვირვალში,
მონასტრის წყაროს მთვარისფერი ელვარებს წყალი,
თალხი კაბები მოსავთ ბერებს და ჟამის ბრჭყალი
სულს ჩაფრენია,
ვარსკვლავები ცაში ელავენ,
სივრცეს შებღავის შეწირული ტაძრისთვის ცხვარი.

დაო, ძვირფასო, რა ღამეებს მეგობრობ, ვიცი,
მარტოობისთვის მარტოსული რატომ ვერ იცლი,
მთვარეს, ვარსკვლავებს თუ ბნელ ღამეს ერწყმი მთლიანად,
დრო ამქვეყნიურს მარადიულ წალკოტში გიცვლის...

დიდმარხვის ბოლო კვირა

ჯერ შორსაა პირი ლეთის, ისევ გვესმის ერთმანეთის,
მოგონებებს ვერაფერი ვერ შლის,
ჩავწვდი უთქმელ საიდუმლოს,
თავი უნდა ვაიძულო, —
რომ მოვნახო თივის ზვინში ჩავარდნილი ნემსი.

გალილეას გორაკებზე მოკრებილი არაკები
ყურში ტკბილი იესოს ხმით მესმის,
ბოლო კვირა დადგა მარხვის, ბზა კენწეროს ქარშიც არ ხრის,
გამეფებულს ვგრძნობ ზეციურ წესრიგს.

არსად მოჩანს პირი ლეთის,
კარგად გვესმის ერთმანეთის,
ცაც ვარსკვლავებს საიდუმლოდ გვესვრის...

აპრილი

პეპლების ფრთებზე დაყრილი
ფერებით მოვა აპრილი,
დადგამს სამოთხის სცენას,
ბარტყებს დაჩეკენ ჩიტები,
გაიშლებიან სიტყვები
და დაიწყებენ ფრენას...

პეპლების ფრთებზე დაყრილი
ფერებით მოვა აპრილი,
მინდვრებს მოხატავს წაშლილს,
მეც ამ სამოთხეს ვჯერდები,
კი არ ვბერდები, ვბრძენდები,
უფრო ხშირად ვფრენ ცაში...

ძველი დითირამბი

ჩემი ციხე-გოდოლი არ მიიღო მოგონილ
ზღაპარივით ობოლის,
ან ღარიბის ხულად,
ვერ დავხურავ გულის კარს, —
ვერ ვიცხოვრებ ურისკოდ,
ჩემი ცრემლი გულისხმობს
შენს სიყვარულს მხოლოდ...

დეა სასახლელი: წერილები ელი გორდელიანს გულანშაროდან პარიზში

*

ქვეყანა ესე შარია, პატარა გულანშაროა,
მერე რა, ზურმუხტ-ფირუზი ხმელეთია და ცა როა,
ბედისწერის გულს ვერავინ ვერ ალბობს, ცივი ქვა როა,
ზოგისთვის არის ზეიმი, ზოგისთვის სამწუხაროა,
ფატმანისთვის რომ დედაა, ნესტანის ცრემლის წყაროა,
ნატვრისთვალია ვიღაცის, სხვისთვის დილეგი, ხაროა,
ვაჭარ-მევახშის არენა, კოლაელ ყრმათა კალოა,
სიცოცხლე ძვირზე ძვირია, სიკვდილი უანგაროა...
ქვეყანა ესე შარია, პატარა გულანშაროა...

*

მაჭარი იქცა ღვინოდ, ცეცხლი ნაცრად და ნახშირად,
მომხდარის ახსნას ვცდილობ, თითქოს სამოთხის ბაღში ვარ,
თითქოს ცა მხრებზე მაწევს,
რომ არ დაიქცეს, გავუძლებ,
წრეში ვდგავარ და ამ წრეს მინდა როგორმე დავუძვრე.
რაც არის, დაე იყოს, შენი ვალი და ვახში მაქვს,
სასოწარკვეთა მიპყრობს, გულანშაროში, ბაღში ვარ,
აღარც ფატმანს არ ვუსმენ, მისრეთში ვაჭრობს უსენი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჩემს ოცნებებს მუსრავს
ჟამის უგულო მმუსვრელი...

*
მაცოცხლებელი წვენი ჩუმად გაუშრათ ხეებს,
მიწურვილია წელი ცრემლებითა და ხვატით,
ვიცი, სიკვდილის მარში
როცა დაარტყამს წრეებს,
ჩემი ცხოვრება მაშინ უფრო გახდება ცხადი.
ვერ გავიქეცი ვერსად, ისევ აქა ვარ, ელი,
ამ სასახლეში ცეცხლსაც არ მანთებინებს ქარი,
თვალში გაცრეცილ მზერას წყნარად მიხუჭავს ბნელი,
და დეა სასახლელის ნელა იხშობა კარი.
მე, დედოფალს და მონას, ნათლის თასის მსურს შესმა,
ხელს ვერ შემიშლის ყოფა,
შურით ავსებულ მტრებით,
ყველას აქ შეგვყრის ბოლოს,
ვერ გადაგვრეკავს ვერსად,
საქართველოში მოვალთ ცოცხლებიცა და მკვდრებიც...

*
ჩემი გულისთვის ქარებს ჰქონდათ ერთხელ დუელი,
ჩემთვის იბრძოდა დონ კიხოტიც, პანტაგრუელიც,
ჩემი გულისთვის წისქვილები ქარის ბრუნავენ,
ჩემი გულისთვის უკვე ჰქონდათ ქარებს დუელი.

წერდა ნოველებს ნოემბერი, მთვარით დახრილი,
არ მშორდებოდა კიპარისთა მზერა მახვილი,
დიდი ხანია ვარსკვლავები ჩემზე ზრუნავენ,
ჩემი გულისთვის ტყვიები აქვთ გულზე დახლილი.

ჩემი გულისთვის მზე ცხელ სხივებს კლდეებს მიაფშვნის,
ჩემი აჩრდილი დაფარფატებს ძველ აიაში,
და თუ ვიღლები წუთისოფლის განამაწიით,
ანგელოზები ფრთებს მიშლიან ჩუმად ნიავში.

ჩემი გულისთვის თეთნულდს შუბლი დარდით უელავს,
ჩემი გულისთვის უკვე ჰქონდათ ქარებს დუელი...

წლებს, ხელუკუღმა გადაყრილს

წლებს, ხელუკუღმა გადაყრილს,
უფსკრულში ჩავაცქერდები,
თავდაყირა დგას გადაღმით სასაფლაოზე კედრები.
რაც უნდა ბევრი ვევედრო, არ შევებრალვი ვედრებით,
კიდეც რომ რამე შემეძლოს,
ამ ფონს ვერ გავალ შეძლებით,
ბოლო მასკარადს რომ ავცდე,
ტყუილ-უბრალოდ ვეცდები,
ამიტომ ჩუმად დავზავდი, უხმოდ ვესროლე ბეჭდები,
რაც დარდი მქონდა, — გავეცი,
მეცხრე ცას მაინც ვერ ვწვდები.

ელი გორდელიანს პარიზიდან პარიზში

დავტოვე თბილისი ნისლიან ამინდით,
პარიზში ჩამოვფრინდი სამი დღით.
აქ ვხვდები სენ-კლუდან ჩამოსულ მეგობარ ემიგრანტს,
რომელიც მახსენებს ლენინგრადს,
რიგებს და წიგნის ბაზრობაზე პასტერნაკს,
გადამყიდველების ყვედრებას
და მილიციელების დასტვენას,
დაჭერას ქუთაისელ ვაჭრისას,
ნევაზე ნისლიან გარიჟრაჟს,
რუსის გოგოებში ქართველი ბიჭების ქარიზმას,
სენ-კლუში წამდგარი წვიმებით გულის გაწვრილებას,
ევროპაში ერთგულების გაძვირებას.
მეკითხება: — ჩვენს მშობლიურ ქუთაისს რა სჭირსო...
— ისევ ქარი ანგრევს და წვიმა აწვიმს—თქო.
რიონი მდორედ მიდის შავი ზღვისაკენ და
გორა და ბაგრატი ტალღებში ისარკება.
ელი, პარიზიც მოწყენილი სიზმარია,
ისე იდუმალი, როგორც ცისალპია,
გეძებ, მენატრები, ეს ლექსიც ეს არი,
სენას წაუღია სასახლე ვერსალის.
პარიზის ქუჩებს მოდა მოდებია
(წერს დეა სასახლელი ელი გორდელიანს)...

თაგალ-გვირისტები

*
ცა ქუხს, ისვრის წვიმის ტყვიებს,
თითქოს ვიღაც გამიწყრა და
არც არასდროს მაპატიებს...

ცა ქუხს, დღეა დაღვრემილი,
გულიც აღარ დამიწყნარდა
ცხოვრებაზე აღრენილი...

*
იმდენს იზამ, — მაგნოლია
არ მიიღებს მაგ ლოლიავს,
ცაში ჩუმად აიჭრება.

ჟოლო ათრობთ ჩიტებს ბაღში,
ისე ჭმუნავს პიტიახში,
მალე ომი დაიწყება...

*
ივნისია, თუთა მწიფობს,
დამტკბარია თეთრი ბალიც,
კაკალს უნდა გამამზითვოს...

ბევრჯერ გიძღვენ მადრიგალი,
ვიგონებდი ლამაზ მითებს...
ხსოვნამ ლამის გამაწითლოს...

*
ჩაყოლია გული კალამს,
მომდგომია მთვარე კარად,
სიყვარული აღებს ჭიშკრებს;

ქარში ღელავს პურის ყანა,
გულიც ღელავს, თუ გიყვარვარ,
ბილიკს გავყვეთ მდინარისკენ...

*
მომაწოდებს ვიღაც მარჯნებს —
მზის სხივიდან გამონათალს,
მოადგება ჩუმად ფანჯრებს,

მეტყვის შოთას გამონათქვამს,
მღვრიე წყლიდან სხივს ამოსწევს,
ნათლის ჩქერით გამონათლავს...

*
— არ გათენდეს, არ მგონია,
არ გათავდეს აგონია,
სულს ნაკურთხი არ ესხუროს წყალი...

უცებ ფიქრი გამიელვებს,
მეშვიდე დარს შეცვლის მერვე, —
სიხარულის ცხელი ნაპერწკალით...

*
ქარი ასე რატომ ქრის?
— ილეთები ჯადოქრის
რთულია-თქო, — ვუთხარ...

მაგრამ ღმერთი არ გვწირავს,
ჩვენ რომ გვძინავს, არ ძინავს
იმ დროს ჩვენსას, უფალს...

*
მახვილს ლესავს დამოკლე,
დღე გავიდა რა მოკლე,
ახლოვდება ბინდი.

ღირს ამისთვის — არ მოვკვდე, —
ისეთ ჰანგებს ამოკრეფს,
ბინდბუნდიდან ჩიტი.

*
აეწვებათ ზურგი ქედებს,
ისეთ სეტყვას წამოუშენს,
ბედი გვიჩენს წყლულებს დღემდე,

სასიკვდილოს და მოურჩენს,
მაგრამ ღმერთი საშველს, მენდე,
ჩვენნაირსაც გამოუჩენს...

*
ისე ღელავს ყანა პურის,
როგორც ჩემი გული ღელავს,
სიყვარულით დანაღმული.

ისე არის განაბული
მწყერი ქარში, გაურხევლად,
როგორც ბალღი გალახული...

* * *
გადი-გამოდის გუთანი,
მე წუთისოფელს ვუთხარი:
ჯანი არ გამომილიოს,
მაშრომოს დედა-ფუტკარი.
თაფლის და სანთლის კეთება
არ მომიშალოს, — ვუთხარი,
ცა რომ მიწასთან ერთდება,
არ შემიმშრალოს კურცხალი,
— საფლავი მომარწყვევინე
საკუთარი-თქო, — ვუთხარი...

* * *
ყველას გვაქვს ჩვენი სასჯელი,
ჩვენი ვახში და ვალები,
ბოროტნი დარჩნენ მარჯვენი,
კეთილშობილნი — მხდალები.
— ან ძალით იყო, ან ნებით,
გახდა ოცნება ნასეტყვი.
— ვამბობ: წავალ-თქო...
კაცები
აღარც ისმენენ, რას ეტყვი...

* * *
კევრი გულზე გადამივლის,
მერე დარდებს ჩემსას ცეხვავს,
დამავიწყებს ადამიანს,
ნელა გულსაც გამიტეხავს,
ხმა გაკმინდა როცა მეხმაც,
როგორ ამოვიღო მე ხმა,
გვალვამ ბაღი გადარია,
შავქლიავი ტოტზე შეხმა,
ვისაც უთქვამს, მართალია,
გულს ხრავს ჟამი,
მაგრამ ვერც ხრავს...

* * *
მოკეცილა ხუთად თუთა,
ქარი ანგრევს კლდეს და გორებს,
გავექცევი სულთამხუთავს,
გამოსავალს ვნახავ, თორემ...
ყველაფერი მიმაქვს სულთან,
ვიღაცა ძველ გრამაფონებს
უკრავს და ჟამს აქცევს წუთად,
იმნაირად ამათრთოლებს,
სხეულს ეკლით გამოწურთნავს,
მეცხრე ცასთან გამატოლებს...

ბორენა ჯაჭვლიანის სიკვდილი

ვერ გაიგო, როგორ გაჩნდა
ის ვერაგი მელანომა,
ამქვეყნიურ საზღვარს გასცდა
წუთისოფლის რეალობა,
ტრიალებდა ზევით ცა და
ფეხქვეშ მიწა ტრიალებდა,
სულს ჭრილობა გადახსნოდა
მოურჩენელ იარებად,
რად ახსოვდა: მზე ზღვას სვამდა
და ხანძარი ბრიალებდა...

* * *
მილიონი ეკალი თუ მილიონი ევკალიპტი,
წარმავალის მაგალითი — ელინური მეგალითი,
რაა ყოფა, აღარ ითქმის, გული ტკივილს ვეღარ ითვლის...
ძველ საფლავში ქალის კვალი, ჩემი ხნის და ალიკვალის,
მხრებზე ბარგი ავიკიდე, შესაწირიც დავიკალი,
გალავანში ჩავიხედე, ჯერ არაა ღია კარი...

* * *
შავი ღრუბელი გადადის,
თანდათანობით ბაცდება,
მიპყრობს წუხილი და დარდი,
დაღლილი გული მარცხდება.
არ არის ყოფა ადვილი,
ძნელია, ნახო, რაც ხდება,
მაგრამ, ვგრძნობ, ესეც გადივლის,
პოეტის გული არ ცდება...

* * *
განაზდა ვარდი ასკილის,
ველი დაფარა გვირილამ,
ათიათასი პასკვილი
წამოაფრინა კივილად, —
ბოროტმა ქალმა დაშხამა
ეს ლამაზი დღე დილიდან,
კუპრად დუღს და აღარ ცხრება,
სიძულვილს აცხობს ძვირიდან,
მყრალი ანწლივით ქანაობს,
მორყეულია ძირიდან...

დამშვიდება

რიჟრაჟად იქცა ბინდი, ღამე დასრულდა ცისკრად,
მშვიდად დაფრენენ ჭკები,
გაჩნდა ყაყაჩო მინდვრის, ჩიტი იღერებს ნისკარტს,
წყლებით აივსნენ კვლები.

ფესვიდან მაწვდის წამალს
ჩიტისთავა და თითა,
იდუმალებენ ბლები,
გული იმ ნაღველს კრძალავს, დამასაჩუქრეს რითაც,
ან გამიმწარეს წლები...

ცხოვრება კი არ მიდის,
დგას და მიღიმის ტკბილად,
გაუჩინარდნენ მტრები,
რიჟრაჟად იქცა ბინდი,
ღამე დასრულდა დილად
და ნათლის ჩქერით ვთვრები...

დეპრესია იაპონურად

1

ისაკაგა აჯანყებულ გლეხებს გაექცა. გააფთრებული ბრბო საზარელი სანახავი იყო. ბევრჯერ ჩაუხედავს სიკვდილის თვალებში, მაგრამ ამ სიკვდილს პირველყოფილი შიშის მომგვრელი თვალები ჰქონდა და სამურაი გლეხებს გაექცა. ცხენი იქამდე აჭენა, სანამ სული არ გააფრთხობინა.

დათოვლილი მთის ძირას იდგა და თითქოს მორცხვად დაჰყურებდა მზეზე ალაპლაპებულ ხმალს, მერე მზე ღრუბლებში მიიმალა და ფოლადმა ცის ფერი მიიღო. ისაკაგას ისედაც მობეზრებოდა ყველაფერი და ღირსებაშელახულს მითუმეტეს აღარ ხიბლავდა ცხოვრება. „საკუთარ სახელს ჩირქი საკუთარი სისხლით უნდა ჩამორეცხო. ვინიცობაა ჰარაკირის გაკეთება დაგჭირდეს — უთხრა ერთხელ მამამ — დიდ ხანს არ იფიქრო, სიცოცხლე ტკბილია და შეიძლება ღირსებასაც კი ამჯობინო“.

ისაკაგამ მაინც გაიხსენა სახლი — სამკუთხედი ფორმის, ბოლოებში აპრეხილი სახურავით. სახლი ჩრდილოეთში იდგა, იქ კი თითქმის სულ თოვდა. ისაკაგა ზამთრის გრძელ ღამეებს ცეცხლის პირას ატარებდა, ქალთან ერთად. კანეკოს სახე თეთრად ჰქონდა შეღებილი, კბილები — შავად. თითქმის არ ლაპარაკობდა, საოცრად მორჩილი იყო და ისაკაგას თვალებში სურვილებს კითხულობდა. პირველი ბრძოლაც გაიხსენა, როცა მოხუც სამურაის ისე მოხერხებულად ჩამოასხიპა ორივე მკლავი, რომ საბრალოს ჰარაკირის გაკეთებაც აღარ შეეძლო. ერთ ბრძოლას მეორე მოჰყვა და თითქოს სიცოცხლე გაუფასურდა. გამარჯვების სიხარული თანდათან ნელდებოდა. ზოგჯერ ეჩვენებოდა, რომ შიშიც გაქრა, სანამ გლეხებს არ გაექცა და პირველად შეხედა საკუთარ ხმალს, როგორც მტერს.

მზემ რომ ისევ გამოანათა, ისაკაგა პირქვე ეგდო. თოვლზე სისხლი ხან წითელი ჩანდა, ხან — შავი.

2

„იაპონიაში ძველთაგანვე ერთი სამწუხარო ჩვეულებაა. ქალ-ვაჟი, რომელთაც ერთმანეთი უყვართ და მათ შეუღლებას გადაუჭრელი პრობლემა უშლის ხელს, სიცოცხლეს თვითმკვლელობით ამთავრებენ. ამოირჩევენ მყუდრო, ლამაზ ადგილს: ცხელ წყაროს, ზღვის პირს, ან მთას და იქ ატარებენ სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს. შემდეგ საწამლავს სვამენ, მაღალი კლიდიდან ვარდებიან, ან ვულკანის კრატერში იჩეხებიან“.

სეიტე მაცუმოტო

ისაკაგას არ ესმოდა, რას ეუბნებოდა სატრფო. მონუსხულივით დაჰყურებდა ვულკანის კრატერიდან მანათობელ ცეცხლოვან ტბას, მერე თვალი მოავლო მწვანედ მოხასხასე ხეობას და მიხვდა, რომ ნებისყოფა არ ეყოფოდა. კანეკო კი ამბობდა, რომ ეს წუთები მარადისობას ჯობს, არათუ ისედაც ხანმოკლე სიცოცხლეს, რომ სიყვარულსა და თავგანწირვაშია ბედნიერება და სილამაზე. კანეკო ხელს ხელზე უჭერდა და იმქვეყნიური სითბოთი და სევდით დანისლული თვალებით უყურებდა.

— გესმის, როგორ კვნესის ჩიტი ტიდორი? — ჰკითხა კანეკომ.

ისაკაგა გაღიზიანა ამ უაზრო შეკითხვამ. გოგონა კი წამოდგა, კლდის ქიმს მიუახლოვდა, შემოტრიალდა და გაიღიმა. ისაკაგა მივიდა სატრფოსთან და მთელი ძალით გულში ჩაიკრა.

— უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია, — უთხრა კანეკომ.

— არც მე, — წაიჩურჩულა ისაკაგამ და შერცხვა.

სინამდვილეში უნდოდა ეთქვა, რომ მასაც ძალიან უყვარს, მაგრამ სიცოცხლე მშვენიერია და ჯერ კიდევ არ არის გვიან გადაფიქრება. კანეკომ ნაზად გაითავისუფლა თავი ისაკაგას მკლავებისგან, ერთი ნაბიჯი გადადგა და კიდევ უფრო მიუახლოვდა უფსკრულს. ისაკაგაც მორჩილად მიჰყვა. ცოტა ხანს იდგნენ და ჯოჯოხეთის კარიბჭეს, ხახადაღებულ, ჩამქრალ კრატერს დაჰყურებდნენ. მერე კანეკო ზურგით შეტრიალდა უფსკრულისკენ და გადახტა. ისაკაგამ უკან დაიწია, მუხლებზე დაეცა და მთელი ხმით იყვირა.

რვა წელი გავიდა. ოკეანის სანაპიროსთან, თვითმფრინავის წინ, ისაკაგამ დაიჩოქა, ჯიბიდან თეთრი ნაჭერი ამოიღო და გაშალა. ნელა გამოჰყავდა საკუთარი სისხლით იეროგლიფები, თითქოს ხატავდა. მერე ნაჭერი ორად გაკეცა და თავზე წაიკრა. ოკეანიდან მზე ამოვიდა. ისაკაგა შესცქეროდა დიდ, წითელ მზეს, თვალები აუჭრელდა, გარშემო მზის გარდა ყველაფერი თეთრი გახდა და სამყარო იაპონიის დროშას დაემსგავსა. დიდი ჭიქით საკე გადაკრა და თვითმფრინავში ჩაჯდა. ჯერ ნელა მიფრინავდა ოკეანის თავზე, მერე უმატა და ბოლო სიჩქარეს მიაღწია. ისაკაგამ ამერიკული ავიამზიდი დაინახა. ავიამზიდი ბრტყელ კუნძულს ჰგავდა...

აფეთქება ისეთი დიდი იყო, რომ სანაპიროზე ეგონათ, აღმოსავლეთიდან ორი მზე ამოვიდაო.

3

ისაკაგა ლაზერული სხივებით დასერილ კლუბშია. მწვანედ თმაშეღებილს, გრძელი, ვერცხლისფერი მაისური აცვია. ისაკაგა იაპონურ რეპს უსმენს და აფროამერიკელივით ცეკვავს. ბნელი წარსული ისტორიას ჩაბარდა.

4

შუშებით გატიხრულ დარბაზში ისაკაგა ამჩნევდა მხოლოდ: წყნარი ოკეანის ფრაგმენტს (ფანჯრიდან), ფანჯარასთანვე გაკრულ, კანაგავას დიდი ტალღის რეპროდუქციას და კანეკოს პროფილს. ოფისი ფეხბურთის მოედანივით გაშლილიყო და გამჭვირვალე კედლები ასზე მეტ ადამიანს ჰყოფდა. ოთახი უკიდურესად პრაგმატულად გაენაწილებინათ. თითოეულ თანამშრომელისთვის ზუსტად იმდენი სივრცე მიეცათ, სული რომ არ შეხუთვოდა. გაუცხოებული ადამიანები თითქმის ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ არ იცნობდნენ. შინაგანაწესით, თუ საქმეს არ სჭირდებოდა, ლაპარაკი მიღებული არ იყო, მაგრამ არც შესვენებაზე იცვლებოდა რამე. როცა სამუშაო დრო დამთავრდებოდა, ისაკაგას თანამშრომლები ჩქარი ნაბიჯით შორდებოდნენ ერთმანეთს და სხვა ოფისებიდან გამოსულ უთვალავ ადამიანს შორის იკარგებოდნენ. ისაკაგას არც არავისთან უნდოდა ურთიერთობა კანეკოს გარდა. რამდენჯერმე შესვენებაზე სცადა გამოლაპარაკება, მაგრამ მოკლე, ცივი პასუხების შემდეგ მიხვდა, რომ გოგო სრულიად გულგრილი იყო. კანეკო არც სხვებთან მეგობრობდა და ისაკაგას უხაროდა, რომ საზოგადოების გული, ლოკალური მნიშვნელობის დონჟუანი, უფროსი მენეჯერი ტაკერუც ტყუილად წვალობდა. ყოველი დღე იმდენად ერთფეროვანი იყო, რომ ოფისში თითქოს დრო ჩერდებოდა. თეთრი კედლები, გაპრიალებული, ნაცრისფერი მაგიდები, მკაცრი დრესკოდით სკოლის მოსწავლეებივით იდენტურად ჩაცმული ადამიანები ისაკაგას იმ უზარმაზარ მაკეტს ახსენებდნენ, ახალგაზრდა არქიტექტორების შოურუმში რომ ნახა. ბოლო წლების განმავლობაში კი ერთადერთი განსხვავებული დღის გახსენება შეეძლო. ჭაღარა ბუღალტერი (მანამდე სახელი არ იცოდა) სამუშაო მაგიდასთან გულის შეტევით გარდაიცვალა, უჩუმრად, შეუმჩნევლად. როცა მიხვდნენ, რა მოუვიდა, უკვე გაშავებული იყო. სკამზე იჯდა, ტკივილს ნაკვთები დაემახინჯებინა და უსიცოცხლო თვალებით კომპიუტერის მონიტორზე გამოსახულ დიაგრამას უყურებდა. პირველმა კანეკომ შეამჩნია და ოფისში მოსვლის დღიდან მესამედ გამოელაპარაკა ისაკაგას.

— შეხედე, როგორი ფერი აქვს! — უთხრა კანეკომ, — მგონი, რაღაც ჭირს!

ისაკაგა დაიბნა, იმიტომ, რომ კანეკოს თვალმოუშორებლად უყურებდა, გოგომ კი მოულოდნელად გამოხედა.

— ვის? — ჩურჩულით ჰკითხა ისაკაგამ.

— ჰიროტოს, ბუღალტერს! — ხმამაღლა უპასუხა კანეკომ და წამოხტა. ისაკაგაც წამოდგა და კანეკოს უკან გაჰყვა. გოგომ ბუღალტერთან მიირბინა, დააკვირდა და იყვირა, — ჩქარა, აქეთ, მგონი, მოკვდა. ადამიანებმა მიატოვეს სამუშაო მაგიდები და ყველა მათკენ დაიძრა. მერე სასწრაფო სასწრაფოდ მოვიდა და ექიმმა თქვა, ისეთი გაშავებულია, რამდენიმე საათის გარდაცვლილი იქნებაო.

მეორე დღიდან ყველაფერი ძველ კალაპოტს დაუბრუნდა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, თუმცა ხანდახან თანამშრომლები იქით იხედებოდნენ, სადაც ბუღალტერი ჰიროტო იჯდა. ისაკაგა კი იმაზე უფრო ფიქრობდა, რომ კანეკოსთან ახლოს სხვა ადამიანებიც ისხდნენ და ბუღალტრის ამბავი გოგომ სწორედ მას უთხრა.

იდენტური დღეები ერთმანეთს მისდევდა და ისაკაგას ეჩვენებოდა, რომ ციხეშია, მაგრამ გაუმართლა და ფანჯარასთან მოხვდა. ხედავდა ნახატივით ჩარჩოში ჩასმულ, აუმღვრეველ ოკეანეს. კანეკოს პროფილიც ნახატს ჰგავდა, უფრო სწორად კი, პატიმრის ლოგინთან გაკრულ ლამაზი ქალის პლაკატს. წარმოსახვითი საპყრობილის კომპოზიციიდან მხოლოდ „კანაგავას დიდი ტალღის“ რეპროდუქცია იყო ამოვარდნილი. ჰოკუსაის შედევრი (ალბათ შეგნებულად) ზუსტად იგივე ზომის ფანჯრის გასწვრივ დაეკიდებინათ. ნახატი მშვიდად მოლივლივე ნამდვილ ოკეანესთან მძაფრ კონტრასტს ქმნიდა და გაცილებით ცოცხალი იყო. „სამყაროს დასასრული ალბათ ასეთი იქნება“ — ფიქრობდა ისაკაგა, როცა ოკეანის გულიდან ამოგრაგნილ, ცამდე ასულ ტალღას უყურებდა, ფუძიამას პაწაწინა, უსუსური მწვერვალი რომ უნდა შთაენთქა.

იმ დღეს ძლიერი ქარი ქროდა. მაღალი ტალღები ნაპირს აწყდებოდნენ. ჰაერიც და წყალიც ტყვიისფერი გახდა. „ოკეანე რომ ძველებურად მშვიდი იყოს, ალბათ ვერც გაარჩევ, ცაა თუ ოკეანე და სად ერთდებიან ჰორიზონტის მკრთალი ხაზით — ფიქრობდა ისაკაგა. ახლა „კანაგავას დიდი ტალღა“ და აბობოქრებული ოკეანე ერთ მთლიანობას ჰქმნიდნენ. დღის ბოლოსკენ ცა უფრო მოიქუფრა და ოკეანეც სანაპიროსკენ ადრინდელზე დიდ ტალღებს გზავნიდა. ასეთ ამინდში (თუ ქარს არ ჩავთვლით) ისაკაგა უცნაურ მყუდროებას გრძნობდა. სკოლაშიც ყოველთვის ფანჯარასთან იჯდა. როცა მოიღრუბლებოდა, ან ნისლი ჩამოწვებოდა, მყუდროების ეს განცდაც მოდიოდა და ისაკაგას სიმშვიდე ეუფლებოდა. მზიანი დღეები კი აფორიაქებდნენ, თითქოს ავალდებულებდნენ, სადმე, სიცოცხლით სავსე, მხიარული ადამიანები მოეძებნა და ზეიმს შეერთებოდა. ახლაც ნაცნობი შეგრძნება გაჩნდა და სიმშვიდეს ნაპირისკენ ურდოსავით წამოსული მღვრიე ტალღებიც ვერ უმღვრევდნენ. ხან ფანჯარას უყურებდა მოჯადოებულივით, ხან კანეკოს თეთრ სახეს, მონიტორის შუქი კიდევ უფრო რომ აფერმკრთალებდა. მოულოდნელად, გოგომაც გამოხედა და დაჟინებულ მზერას წააწყდა. კანეკომ გაუღიმა, ისაკაგამაც, და მერე ისევ ოკეანეს გახედა. კანეკო ადგა და ფანჯარასთან მივიდა. გოგომ შუშებით შემოფარგლულ, ისაკაგას მიკრო „სამფლობელოში“ შეაბიჯა. თითოეული თანამშრომლის საგანგებოდ შემოსაზღვრული, სამუშაო ადგილი იმდენად პატარა იყო, რომ ასეთი საქციელი პირადი სივრცის უხეშ დარღვევად აღიქმებოდა და არც არავინ არღვევდა. კანეკო ზურგშექცევით იდგა და ოკეანეს გასცქეროდა. აშკარად არ გრძნობდა უხერხულობას, რომ სამუშაო სივრცეში შეიჭრა, ცხვირწინ ჩამოუდგა, ზურგი აქცია და ხმას არ იღებდა. კანეკო ძალიან ახლოს იყო და ისაკაგა მისი შამპუნის გრილ სურნელს გრძნობდა. მერე თვითონაც წამოდგა, ნახევარი ნაბიჯი გადადგა და გოგოს გვერდით გაჩერდა. ოკეანეს უყურებდნენ და მხრებით ეხებოდნენ ერთმანეთს. ისაკაგამ წამიერად უკან მოიხედა და უამრავ მზერას წააწყდა. უცნაური სიმშვიდე კი მაინც არ სტოვებდა.

— ნაცრისფერი წყალი, ნაცრისფერი ჰაერი, ნაცრისფერი მიწა, — თქვა ისაკაგამ, — მეოთხე სტიქია აკლია — ცეცხლი. ისე, ცეცხლიც ნაცრად აქცევს ყველაფერს.

— საოცარი სანახავია, — დაეთანხმა კანეკო, — ძალიან მიყვარს ასეთი ამინდები. ვამპირივით ვარ, როცა მზე ანათებს, მინდა, სადმე დავიმალო.

— სამუშაოს რომ მოვრჩებით, სანაპიროზე ხო არ გავისეირნოთ? — თვითონაც გაუკვირდა, ისე უშუალოდ ჰკითხა ისაკაგამ.

— სიამოვნებით. სიმართლე გითხრა, მეც ამას ვაპირებდი. სანამ სახლში წავალ, სანაპიროზე გავისეირნებ-მეთქი, — უთხრა კანეკომ, — ახლა აჯობებს, ჩემ ადგილზე დავბრუნდე, სანამ ტაკერუ დამინახავს. ადრე კეთილგანწყობილი იყო, ბოლო დროს სულ შენიშვნებს მაძლევს.

— ვერ ხვდები, რატომ?

— ვხვდები, რა თქმა უნდა, — გაიცინა კანეკომ, — გასასვლელთან შევხვდეთ.

როცა ოფისიდან გამოვიდნენ, კანეკომ ზურგჩანთიდან შავი, ნაქსოვი კაპიუშონიანი მოსასხამი ამოიღო და ჩაიცვა, კაპიუშონი კი თითქმის ცხვირამდე ჩამოიწია.

— შენ არ გცივა? — ჰკითხა ისაკაგას.

— არა. მიყვარს გრილი ამინდები, გრილი და ღრუბლიანი. ბავშვობიდან მიყვარდა. რაღაც უცნაურ სიმშვიდეს ვგრძნობ ხოლმე. მიჭირს, ზუსტად გადმოვცე.

— ვხვდები, მეც დაახლოებით ასეთი რაღაც მემართება, გითხარი კიდეც.

საღამოვდებოდა. ოფისებიდან გამოსულ, უთვალავ ადამიანს ორი სილუეტი გამოეყო და სანაპიროსკენ წავიდა. ხალხი სწრაფი ნაბიჯით მიიჩქაროდა სხვადასხვა მხარეს, მაგრამ სანაპიროსკენ არავინ მიდიოდა.

— იქამდე მივუახლოვდეთ, სანამ შხეფები მოგვწვდება, — თქვა კანეკომ. ისაკაგა კი გრძნობდა, რომ ყველგან გაჰყვებოდა, თუნდაც ოკეანის ამ უზარმაზარ, ბნელ ტალღებში.

დილას, როცა ოფისში მივიდა, კანეკოს მაგიდასთან არავინ იჯდა. გარეთ ისევ ძლიერი ქარი ქროდა და გუშინდელზე დიდი ტალღები ასკდებოდა ნაპირს. ისაკაგა ამჩნევდა, რომ მისკენ ხშირად იხედებოდნენ. თვითონ კარისკენ ეჭირა თვალი. მალე კანეკოც გამოჩნდა. მხიარულად მიესალმა, გაუღიმა, თვალი ჩაუკრა და სამუშაო მაგიდასთან დაჯდა. ისაკაგა კი ადგილს ვერ პოულობდა. ჯერ კიდევ გუშინ ამ დროს ვერ წარმოიდგენდა, რომ ყველაფერი ასე უცებ, მოულოდნელად და უბრალოდ მოხდებოდა. წუხელ სანაპიროზე სეირნობდნენ, სანამ ოკეანე წყვდიადში გაეხვეოდა. კანეკო მიაცილა, სახ-

ლშიც აჰყვა. სამ საათამდე ერთად იყვნენ და მერე გოგომ უთხრა, მარტო თუ არ ვარ, ვერ ვიძინებო. ისაკაგა ადგა და ჩაიცვა.

— არ გამოგაცილებ, — უთხრა კანეკომ, — რომ გახვალ, კარი გაიხურე. მერე გადატრიალდა და თავზე საბანი გადაიფარა.

ღამის ქალაქი მარტის ცივი, ნესტიანი ქარით და ოკენიდან წამოსული ხმაური იყო სავსე. ცარიელ ქუჩებს ლამპიონები ანათებდნენ. წვიმდა. ისაკაგა ენერგიის მოზღვავებას გრძნობდა. უკვირდა, კანეკოს რომ შეეძლო, ასე მშვიდად დაეძინა. უკაცრიელი, ბნელი, ცივი და სველი ქალაქი ახლა უფრო ლამაზი იყო, ვიდრე საკურას ყვავილობის დროს, ან მზის ამოსვლისას. სანამ სახლამდე ფეხით მივიდოდა, ერთიანად გაილუმპა. მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს და ოფისში უძინარი მივიდა.

ეს დღე არცერთ დანარჩენს არ ჰგავდა. ისაკაგამ გახედა ოკეანის ფრაგმენტს, კანაგავას დიდ ტალღას, გახედა კანეკოს პროფილს, რომელიც ახლა ანფასად ქცეულიყო და უღიმოდა. აქ იყო ყველაფერი, ისაკაგას რომ მოსწონდა, მეტიც, უყვარდა და ოცნებობდა. თითქოს სამყარომ ეს დღე ისკაგასთვის შექმნა — მომღიმარი კანეკო და მოყავისფრო-ნაცრისფერი სიმყუდროვე. ოკეანის ფრაგმენტი და რეპროდუქცია სულ უფრო ემსგავსებოდნენ ერთმანეთს. კანეკო წამოდგა, ისაკაგას სივრცეში შემოაბიჯა და ისევ ფანჯარასთან გაჩერდა ზურგშექცევით. უცებ შენობა დაიძრა. ირწეოდა. კოლეგები კიოდნენ, ყვიროდნენ, რამდენიმემ კი ტელეფონი ამოიღო და კამერით მშვიდად იღებდა სტიქიურ უბედურებას. ოფისი ღელვაში მოყოლილი ხომალდივით ქანაობდა. და ისაკაგა გაიქცა. ტყვიასავით გავარდა კარში. ლიფტთან შეჯგუფებული ხალხის შიშისგან დაკარგულ სახეებს წამიერად შეავლო თვალი და კიბეზე დაეშვა. რამდენიმე საფეხურს ერთად ახტებოდა. „კიბე ყველაზე ადრე ინგრევა, კიბე ყველაზე ადრე ინგრევა“ — იმეორებდა ვიღაც ისაკაგას გონებაში. „კანეკო!“ — თქვა იმავე ხმამ. ისაკაგა გაჩერდა. „გაიწიე, გაგვატარე, გაიქეცი“ — უყვიროდნენ ზემოდან. კიბეები მთის ადიდებული მდინარის კალაპოტად ქცეულიყო, სადაც უწყვეტ ნაკადად ადამიანები მოედინებოდნენ. ისაკაგას გონება დაუბნელდა და თვითგადარჩენის ინსტინქით შეპყრობილი ცოცხალი არსებების დინებას მიჰყვა. აზრზე მაშინ მოვიდა, როცა გარეთ გაცვივდნენ. ოკეანე კანაგავას დიდი ტალღასავით წამომართულიყო და ისაკაგასკენ ჯერ არნახულ ტაიფუნს მოაგორებდა. „სამყაროს დასასრული ასეთი იქნება“ — გაახსენდა ისაკაგას. გარეთ უთვალავი ხალხი იყო და მათი ხმაური ოკეანის შემზარავ და ყოვლისმომცველ ხმას ერთვოდა. „უკვე გარეთ იქნება, ამდენ ხალხში ჩაიკარგა და შეუძლებელია მოვძებნო, თან ყველა გარბის, მათთან ერთად, ალბათ, კანეკოც.“ უკან აბრუნება და კანეკოს მოძებნა სრული სიგიჟე იყო. წუთები და ტაიფუნი მათ ოფისს და სანა-პიროსთან მდგარ ყველა სხვა შენობას შთანთქავდა. ხალხი კი აღმართზე არბოდა, რაც შეიძლება შორს, რაც შეიძლება მაღლა...

კანეკოს ცხედარი ვერ იპოვეს. ტაიფუნმა მიწასთან გაასწორა ქალაქები. ათასობით ადამიანი დაიხრჩო ან ნანგრევებში მოჰყვა. ბევრი იყო დაღუპული, ბევრიც დაიკარგა. კანეკოც დაკარგულთა სიაში იპოვა. თვითმხილველები ისაკაგას უყვებოდნენ, რომ გოგო ვიღაცას ეძებდა და არ გარბოდა. ერთმა თქვა, დავინახე, ოფისშიც კი აბრუნდა, როცა ყველა გარეთ გამოღწევას ცდილობდაო.

ისაკაგა აკვირდებოდა სიკვდილსშეგუებული მოხალისეების მშვიდ, ჯიუტ და სევდიან სახეებს. „ეს არის ალბათ გასხივოსნება, როცა შეგნებულად მიდიხარ სიკვდილზე და სულ არ სჭირდება მრავალწლიანი მედიტაციური პრაქტიკა. ერთი, მტკიცე გადაწყვეტილება და ბევრზე ახლოს ხარ ჭეშმარიტებასთან. ან კი რა არის ჭეშმარიტება, სიცოცხლისგან გათავისუფლება? ალბათ, ყველაზე მეტად სწორედ ეს და კიდევ მარტის ცივი, წვიმიანი ღამე ლამპიონებით განათებულ ცარიელ ქალაქში, ქალაქში, რომელიც მალე გაქრება“ — ფიქრობდა ისაკაგა. მოსაცდელში მოულოდნელად უფროსი მენეჯერი ტაკერუ შემოვიდა შეუსაბამო, მხიარული გამომეტყველებით.

— შენც აქ ხარ? — გაუხარდა ტაკერუს, — რა უცნაურია, სად შევხვდით ერთმანეთს!

— ტაკერუ-სან? — გაუკვირდა ისაკაგას.

— არა, ჰალუცინაციები დაგეწყო და გელანდები, ძალიან ახლოს ვართ რადიაციულ ზონასთან, — გაიცინა უფროსმა მენეჯერმა, — ჯანმრთელობის ცნობა შენც გამოგატანეს წარსადგენად?

ისაკაგამ ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო და დაანახა.

— ანეკდოტია, — ისევ გაიცინა ტაკერუმ, — საგულდაგულოდ შეგამოწმონ და მხოლოდ სრულიად ჯანმრთელს მოგცენ სიკვდილის უფლება.

რამდენიმე მოხალისემ გაკვირვებით ახედა ტაკერუს.

— ხუმრობა არ არის დაზიანებულ ატომურ ელექტროსადგურზე მუშაობა და ჯანმრთელი ადამიანები სჭირდება, — თქვა ერთმა.

— ხუმრობას კი ჰგავს, — გაუღიმა უფროსმა მენეჯერმა.

— ჩვენი ოფისიდან ხო არ არის კიდევ ვინმე? — იკითხა ისაკაგამ.

— არ ვიცი, შეიძლება არის კიდეც, რამდენიმე გამანაწილებელი პუნქტია, — უპასუხა ტაკერუმ, — სკაფანდრებს მოგცემთო, მითხრეს და ისიც დასძინეს, რომ რადიაცია იმდენად ძლიერია, მაინც შეაღწევს და წინ ხანგრძლივი, მტანჯველი სიკვდილი გელითო. ზუსტად ასე მითხრეს, პატიოსნად. ბავშვობაში კოსმონავტობა მინდოდა. არ არის ორიგინალური ოცნება, მაგრამ პატარაობისას ხშირად წარმოვიდგენდი ხოლმე, როგორ დავდიოდი უმსუბუქესი ნაბიჯებით მთვარის ზედაპირზე სკაფანდრიანი. ესეც ანეკდოტია.

— მე რეპერობა მინდოდა, — გაიღიმა ისაკაგამ.

— კანეკო დაიკარგა არა? — ჰკითხა ტაკერუმ.

ისაკაგამ თავი დაუქნია.

— რა ლამაზი იყო, — თქვა ტაკერუმ.

ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

— გინდა, ნამდვილი ანეკდოტი მოგიყვე? თემატურია, — უთხრა ტაკერუმ და თანხმობას არ დალოდებია ისე დაიწყო — ექიმი ეკითხება პაციენტს — რეინკარნაციის გჯერათ? არა — პასუხობს პაციენტი. მაშინ სანუგეშოს ვერაფერს გეტყვით.

რამდენიმე მოხალისეს გაეცინა. ინსტრუქტორის ოთახიდან ვიღაც გამოვიდა და გაოცებულმა გადახედა გაცინებულ მოხალისეებს. კედელზე დაკიდებულ ტაბლოზე ნომერი 8 აინთო.

— ჩემი რიგია, — თქვა ისაკაგამ და ინსტრუქტორის ოთახში შევიდა...

თეონა ბითაძე

* * *

თუ ბავშვობაში დაბრუნება გინდა,
ნაცნობი წიგნებით სავსე თაროს მიაკითხე,
სათითაოდ გადაშალე თითოეული,
შეისუნთქე სიყრმის სურნელი,
მტვრიანი და სიძველით სავსე.
თუ ოცნებების უწინდელი სისავსით შეგრძნება გინდა,
მიაკითხე ბავშვობის უჯრას,
გაკვეთილზე ნაჯღაბნი წერილებით რომ გაგივსია,
ყველა სიტყვას მოეფერე,
კარგად ჩაუკვირდი,
გულში ჩაიბეჭდე.
იმიტომ, რომ დიდობაში აღარავინ გაგიღიმებს ისე,
როგორც მაშინ,
როცა ოცნებები თავზე უხვად გევლებოდნენ,
თავიც ყველაზე ლამაზი გეგონა,
ხშირად სტუმრობდი სარკეს,
თმას ხან ისე გაიკეთებდი, ხან — ასე,
იხდენდი,
ლამაზობდი.
მიაკითხე საყვარელი წიგნების თაროს,
თუ დიდობის სევდამ
ხელი დაგრია;
სწორედ იქ არის მისი წამალი.

ძველი მეგობრები

ხანდახან ხდება:
ვეღარ გვშველიან ძველი მეგობრები,
თითქოს ისინიც ჩვენს დარდებთან ერთად ძველდებიან
და იცრიცებიან წლობით გაგრძელებულ წვიმებში,
ჩვენს საუბარში უფრო და უფრო მეტი მონდომებით
რომ ჟონავს
და ვხვდებით,
ერთმანეთთან შეხვედრას აღარაფერი მოაქვს,
თუ არა სევდა
ვეღარდაბრუნებული წარსულის გამო,
იმ დღეების, რომლებსაც ლაქლაქში ვაღამებდით,
ღამეების, რომლებსაც
საიდუმლოების განდობაში ვათევდით,
გაკვეთილების დაწყებამდე
საოცრად სწრაფად რომ ილეოდნენ...
ასეც ხდება:
გვიყვარს ძველი მეგობრები, მაგრამ ვეღარ გვშველიან,
იმიტომ, რომ შემზარავად ახალია ზოგი დარდი
და წარსულის ლამაზ დღეებს
ვეღარ ძალუძთ მისი დამარცხება.
და როცა გვგონია, რომ, სადაცაა,
ტროპიკული წვიმის გამო ცა ჩამოიქცევა,
მზეს კი სამუდამოდ
ღრუბლის ჩადრში დაუმალავს ღიმილი,
ასეთ დროს ჩნდებიან ახალი მეგობრები,
აღარ გვაცდიან ფიქრს წვიმებსა და
გულმოდგინედ დამალულ მზეზე,
ფანტავენ მოჟამულ ბურუსს
და ხელახალი ძალით გვაბრუნებენ სიცოცხლეში,
რომელიც ძალიან მშვენიერია.

რატის

შენ, ქუთუთოებს, ჩემსავით
წვრილი ძარღვებით დაქსელილს,
როცა ხუჭავ და იძინებ,
როცა ცუდ სიზმრებს ასცდები,
შენი სიმშვიდით ვმშვიდდები,
შენი ღიმილი მაცინებს
და თუ ცრემლი გაქვს თვალებში,
მეც ჩუმად ვებრძვი ქარ-წვიმებს.
სახით კი დამაქვს ღიმილი,
თვალებშიც ვინთებ ვარსკვლავებს,
გიღიმი, მაგრამ ხანდახან
გული მითრთის და კანკალებს:
იქნებ ისეც ვერ ვივარგო,
მე რომ მწამდა და ვგეგმავდი,
როცა ჩემს გულთან ფეთქავდი,
გგრძნობდი, მაგრამ ვერ გხედავდი.
რაც შემეძლება, ვეცდები,
გაშორო ფუჭი ნიღბები
და... მეგობარი თუ არა,
დედა ხომ მაინც ვიქნები.

* * *

რის ამბავს ჰყვები
შენ,
რაყიფის ზურგისაკენ გაფრენილო მღვრიე ისარო,
სიყვარულისას?
ღალატისას?
სიმარტოვისას?

* * *

ჩვენ ვჩნდებით გასამყაროებული სიტყვის სიმარტოვეში
როგორც გამონაყარები ჩნდებიან
ჭინჭრით დასუსხულ სხეულზე
ჩვენ ვაჩნდებით ბედისმწერლის გაცრეცილ მოგონებებს
როგორც ხორცშესხმული აჩრდილები
აჩნდებიან გაზაფხულის თოვლს
ჩვენ შეგვაზავეს
გაცუდებული იმედების კვამლზე დამყნობილი შეჩვენებებით

ჩვენ ვეპოტინებით თითებშუა გაცურებულ ლანდს
სიმაძღრის და ბედნიერების
როგორც მოჭრილი ხეები ეპოტინებიან
გამოთავისუფლებულ ცას და უხილავ ვარსკვლავებს
ჩვენ ვქრებით თვალებს შიგნით დამცხრალი
ნაკვერჩხლების მიმწუხრისას
როგორც ჰორიზონტს მიხატული ქედები
ქრებიან სიბნელეში
ჩვენ ვრჩებით
როგორც გაუხსენებელი სიზმრები რჩებიან

სხვა

სხვა მზეს ხედავდა ის სხვების ღამეებში.
სხვების დღეებში სხვა მთვარეს შეჰყურებდა.
სხვა ბედისწერას მიჰყვებოდნენ
მისი მიწას დაუმჩნეველი ნაფეხურები.
სხვამ წაიყვანა მისი საცოლე.
სხვებმა წაიღეს მისი ნაფუძნარი.
სხვისი ქანდაკება დგას კვარცხლბეკზე
მისთვის შერქმეული სხვა სახელით.
სხვის საფლავზე მიაქვთ ახლა
მისთვის მიურთმეველი ყვავილები.
მისგან თავისი მარტო სიტყვები დარჩა —
სიტყვები რისხვის და სიმარტოვის,
თრთოლვის, სიყვარულის, უძლურების სიტყვები,
სიტყვები თავს გადაუვალი
თავგადასავლებისა და ილუზიების —
და ეს სიტყვებიც
სხვების გახდა,
ოდეს დააბრუნეს ის სამყაროში,
სადაც სულ მისხალ-მისხალ აუწონიდნენ თითოეულ წამს,
კიდევ სხვა სიტყვების სხვების სულში
დათესვას რომ არ დაახარჯა.

ხუთი ნაწყვეტი დროისა და ტკივილის შესახებ

*

დავცარიელდი,
როგორც ღამის სადგომისკენ ჩანჩალით მიმავალი
უკანასკნელი ავტობუსი.

*

გადავკოცნეთ,
მივიკითხ-მოვიკითხეთ ერთმანეთი.
რაღაცეებიც ვთქვით:
იმან — არათავისი;
მე — არაჩემი.
მერე — აბა, *კარგად,*
სხვა დროს შევხვდებითო.
თურმე ვეღარასდროს ვეღარ შევხვდებოდით.
რომც შევხვედრილიყავით,
მაინც რას ვიტყოდით?
ადამიანები ხომ მარტო იმიტომ ვლაპარაკობთ,
რომ მთავარი დავმალოთ
ან როგორღაც გვერდი ავუაროთ.

*

წამოუშინა ქარმა ფოთლები ნოემბრის ასფალტს
და მშენებლობის მტვერი შეურია
იმ ადგილიდან სამუდამოდ გამქრალ ცას და გორაკებს.
კიდევ ერთხელ გაქრა ჩემი ბავშვობაც.

*

ჩემს ცხოვრებას რომ გამოაკლო,
რაც მე დღეები დავფლანგე უქმად,
ახლა ალბათ სრულწლოვანიც ვერ ვიქნებოდი...

*

გადაირბინა ღამისფანჯარაზე სუსტმა ნათებამ
და ნაკვერჩხალივით დაუნდობელმა თითებმა
დაეჭვებით მოსინჯეს სულის ფსკერი,
როგორც უცხო როიალის დამფრთხალი კლავიშები...
სიჩუმეში მოგონება გაისმა.

* * *

და რა არის ჭეშმარიტება?! —
კი არ ჰკითხა,
იკითხა მან
(ორი ხმა ჰქონდა —
რომისა და დანარჩენი მსოფლიოსთვის —
და ახლა
მისი სიტყვები გარდუვალობით ჩაზნექილ
ჰაერში მათრახივით ტყლაშუნობდა),
მერე რომელიღაც უსახო მხევალს თუნგი მოატანინა,
ხელები გადაიბანა,
შეიმშრალა
და ეს დღე აღარც გახსენებია აღარასდროს...
სიცოცხლეში.

1984. ქარი. გიგონებ

ქარიანი დღე. მზის დანაჩრდილი
დაჰყვება კუს ტბას, გაივლის ვაკეს.
სიზმარი, ყვავის ქალით გაჭრილი,
ახდეს-არ-ახდეს, ზმორებით არკვევს.
და მე კი ვუსმენ სარკეში წარსულს,
თუ რას ჩამოცრის ბედის საცერი:
ან როგორც ტყვიას, ტყვიაში ჩასმულს;
ან როგორც სიტყვას, სიკვდილს აცელილს.
თან ვწრუპავ ღვინოს. მარტო. მომეშვა.
ქრის ქარი, მზეზე ფენს სიზმრის ძონძებს
და აზანზარებს მინებს, რომლებსაც
ატყვიხარ ზამთრის ქალაქის ფონზე.
წერენ ბინდები გზების რექვიემს,
გზები ეძებენ ბინდების მწერალს.
არ ვიცი, ვინ ხარ, სად ხარ, რა გქვია...
ხარ თუ არა ხარ, არ ვიცი ჯერაც.

ოიდიპოსი XXI საუკუნის დასაწყისისა

ვიდრე გაყალბებულ არჩევნებს მოიგებდა
და თავს თებეს მერად და პრეზიდენტად
სიცოცხლის ბოლომდე დაინიშნავდა,
ამ კაცმა
(მან დაბადებამდე იცოდა,
რომ დედას მოკლავდა
და მამას ცოლად შეირთავდა,
მაგრამ ამას სიკვდილის შემდეგაც არ იჯერებდა)
ორთაბრძოლაში გამოიწვია
და სისხლიან ტელედებატებში სათითაოდ დაამარცხა
ჩვიდმეტი რადიკალი ულტრა- თუ ისენაციონალისტი,
სამი ეკუმენისტი თეოლოგი
და ერთიც ანაფორაგახდილი მღვდელი,
ავსტრიელი ფსიქიატრის
ფსევდონიმით შეთხზა მოძღვრება
ცოდვის არარსებობის შესახებ
და გამოიცნო სიბერისგან გადაყრუებული სფინქსის
წვერგაპარსული გამოცანა.
ლაივასპარეზობისას ამ კაცის სიტყვა
ორლესული მახვილივით ჰკვეთდა
ჰომო საპიენსის ფსიქიკაზე გადაქსელილ
ცრურწმენებისა და ფობიების აბლაბუდებს,
მის მოძღვრებაში
პლანეტის დისკო წარმოსახულ ფალოსზე
წამოცმული ტრიალებდა
და სიბილწე სათნოებად იყო გამოცხადებული,
ხოლო სფინქსის გამოცანა
გრაფიკულად ასე გამოისახებოდა:
„დაასახელეთ არსება,
რომელიც დილით ხეზე დაცოცავს,
შუადღისას მიწაზე გაბღენძილი დაიარება,
საღამოს კი ცაში ფრთების გარეშე დაფრინავს.“
პასუხი:
(ᲡᲪᲠᲔᲚᲘ ᲘᲡᲪᲘᲡᲬᲧᲘᲠᲘ)

მიზანთროპის 12,1 სტროფი

სადმე ყრუ ადგილს დავესახლები,
სხვა საუკუნის მგზავრი გვიანი,
სადაც იქნება ცოფი ნაკლები
და უფრო ნაკლებ ადამიანი.
გალაკტიონი

შერიდანისეული

მიყვარს მე ადამიანები...
კუბოში და სასაფლაოზე.

კვებითი ჯაჭვის მწვერვალებისკენ

რა ხარ შენ
ან რა შეგრჩება საბოლოოდ,
როდესაც შენს ნაბორგალ ადგილს
მოუსუფთავებ სხვას,
შენსავით სიცოცხლემისჯილს,

ან შენ, შენ, შენ,
შენ, შენ —
თქვენ, ყველანი —
არარსისკენ რას წაიყოლებთ?

რასაც ჭამთ და სვამთ,
უკან აბრუნებთ;
რასაც იტოვებთ,
მატლებს უტოვებთ.

ულუმბოსქედელი აქიმბაშის ჩანაწერებიდან

კაცობრიობა —
ალერგიული გამონაყარი პლანეტის კანზე.
მკურნალობის კურსი:
ატომური ომი;

ბირთვული ზამთარი;
მუტაცია.

ბადრიჯნის ფრთები და ბებიის ყვერები

ამ სამიოდე მილიონი წლის წინ
ერთი დეგრადირებული მაიმუნი
ხიდან რომ არ ჩამოსულიყო,
მაშინ
რომელიმე ასევე დეგრადირებული
პინგვინის გენმოდიფიცირებული ნასხლეტები

გამოხდიდნენ არაყს,
გამოიგონებდნენ პრეზერვატივს
და შიდაწვის ძრავას,
დაუჩოქებდნენ ვერცხლსა და ტყვიას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტომაქს ბრჭყვიალა სიტყვებში გახვეული
მირაჟებით დაიხეთქავდნენ
და ცრუ და მრუდე აღსარებებით
გაკაფავდნენ გზას თავიანთ თანამოძულეებზე,
ვინაიდან თუ ველურ ბუნებაში უძლიერესი იმარჯვებს,
ცივილიზებულ პინგვინებსა და მაკაკებში

უვიგინდარესს ადგამენ გვირგვინს.

წამებით ადრე

ეს ახალაღმოჩენილი ციური სხეული,
სახელად J456U01An48039352She01790593R-1,
უეცრად გეზს რომ შეიცვლიდეს
და ამ ქალაქისკენ გამოფრინდებოდეს,

დღესვე შევიგულებდი რომელიმე პანორამულ სერს,
მერე დავანთებდი გუზგუზა კოცონს,
მწვადს შევწვავდი,
შავ ღვინოს მოვწრუპავდი

და თვალებმოჭუტული ვუყურებდი,
იქედნესა და მორიელის ნაშობთა
საბუდარი როგორ გადაიბუგებოდა.

მოწყვეტილი ყვავილის სენი

*„ის ძალიან საინტერესოდ და მადის
აღმძვრელად გამოიყურებოდა, როგორც
წვნიანი და ტკბილი ფორთოხალი“.*
გენერალ-მაიორ სიმიონ სტიშინსკის
პირადი წერილიდან

ქართული კაბის ნაოჭებში ჩამალული ხანჯალი...
ათრთოლებული თითებით მოსინჯული
საძილე არტერია...
თვალებში მოწოლილი სისხლით გადაშლილი
ხურუშის ნაფლეთები...
და ხროტინი, ხროტინი...
მაგრამ ის ივდითი კი არა,
საბრალო მაიკო ორბელიანი იყო მხოლოდ,
გაღარიბებული არისტოკრატული ოჯახის
ანცი და მეოცნებე ქალიშვილი,
ერთი ღამის მათრობელა სურნელი
იმპერატორის სარეცელზე დაპკურებული
ხარბი ხელებით,
სურნელი,
რომელიც თანდათანობით იფანტება გარიჟრაჟისას
და საბოლოოდ იკარგება ახალგამოჩეკილი
დღის ახალ-ახალ საზღაურებში...
და რაღა რჩება?
მოწყვეტილი ყვავილის სენი;
რაღაც უსახელო და უსხეულო რამ,
რასაც ვეღარასდროს დაიბრუნებ,
თუკი დაკარგავ...

და კიდევ მომქანცველი მოლოდინი სიკვდილისა,
როგორც დაკარგული ძმის,
რომელიც ფრთხილად გაგისწორებს სამუდამო საბანს,
როცა იპოვი
და მინდობილად მიგაძინებს
მქენჯნავი სიზმრებით დაჩვრეტილი დღის შემდეგ.

ბუტკოს...

„სიცოცხლე კვამლია,
ნაბახუსევზე დარტყმული ნაფაზივით ჩასუნთქული
და გაფანტული,
ადამიანს კი
მხოლოდ ღირსებაზე დარჩენილი ნაიარევი აუშნოებს“, — ი
ციან ეს ძველმა დუელიანტებმა
და პოეტებმა.

* * *

ჩემო გრძელკანჭება სინანულო,
ყველგან მიმასწარი,
სადაც არ შევედი:
კიპარისების გადაღლილ ჩრდილში,
სარკის ალმაცერ მოჩვენებებში,
დასასიზმრებელ წარსულში,
მოუსურვილებელ მომავალში.

* * *

ვიდრემდის მოვა
და დარჩენილ წლებს დააჩნდება
როგორც თეთრ ყელზე მავრის უნდო ნათითურები
და უფსკრულს შერთავს
შელეწილ ცას
სიზრებისა და სხეულების მიზიდულობით
მოდი
ავუყვეთ დღეებს აღმა ერთმანეთისგან
და დავივიწყოთ ყველაფერი
რაც არ მომხდარა

დოდო ჭუმბურიძე

თქვეს შობა ღამის კედრებმა

— რა დაამშვიდებს დამპყრობელს!..
ტოტებს ზეცისკენ აპყრობენ
კედრები შობა ღამისა, მხრებს ერთმანეთზე აყრდნობენ...

იმპერატორი ერთია, სამყარო იმან დაიყოს,
უნდა დასაზღვროს ქვეყნები, უნდა, შექმნას და გაიყოს,
უნდა, აავსოს ღარიბთა ძველი ქვევრი და მარანი,
ბრიყვებისაგან გახსნილი კვლავ დახშას დარი-ალანი.
ენგურის პირს თუ ნიქოზთან ეკლის კედლები აიღოს,
იმპერატორი ერთია, სამყარო იმან გაიყოს,
თვით დამპყრობელიც დაიპყროს,
თუ დაამშვიდებს დამპყრობელს...
— თქვეს შობა ღამის კედრებმა,
ტოტებს ცისკენ რომ აპყრობენ...

* * *

ავთანდილ ყურაშვილს

მე აიას გისახსოვრებ, თითქმის ოთხიათას წლისას,
ჰელიოსის ლამაზ რაშებს, ოქროს ვერძებს ლეგენდისას.
გისახსოვრებ მინოტავრებს
და ცეცხლიმფრქვევ ხარის რისხვას,
ფაზისის პირს ერთ კვიპაროსს,
ჩუმად ოქროს გირჩს რომ ისხამს,
შუმერული ღმერთის სახელს რომ იფერებს ქალი ერთი,
იმის ჩუმ ცრემლს გისახსოვრებ,
თითქოს ფაზისს მტკვარი ერთვის.
გისახსოვრებ სოლომონის დაჭრილ გულს
და დარდის ბზარებს,
ქუთაისის თეატრის წინ ჩაძინებულ დინოზავრებს;
გისახსოვრებ ასმათის გულს, დობას ტარიელისათვის,
გელათიდან გადმოცისკრულ
ცას წამიერ ელვის ნათლით...
რაც კი მქონდა, ამა ქვეყნად უკეთესზე უკეთესი,
გისახსოვრე, მეტი რა ვქნა, ალბათ ახლა უკეთ გესმის —
ხიბლი წარმავლობის ჟამის, იმ ხის,
ოქროს გირჩს რომ ისხამს,
და იმ ქალის, — ცხელი სისხლი
ქალღმერთის რომ გადაისხა.

* * *

სათითაოდ ვიძრობ ფრთებს და დავალაგებ შენს წინ,
თითქოს მწვავენ ჯადოქრები, სული ისე მეწვის,
ვერ ვპოულობ საშველს რასმე, დარდი ისე მწეწავს,
რისგან გამათავისუფლებ, — პასუხს არც კი მეტყვი:
ტკივილისგან, სირცხვილისგან,
სიკეთეს თუ ბოროტს,
ტყუილსა თუ მართალ სიტყვას, რას მიტოვებ ბოლოს.
გამაშორებ ბრძოლის ველს თუ ომში მირჩევ შესვლას,
ტკბილი საფერავის ნაცვლად შხამი ხომ არ შევსვა.
ბედს დავნებდე თუ ამ მორევს
გამოვცილდე ცურვით,
ჩემს მტრებს ზურგი ვუჩვენო თუ
ეს დამწვარი სული.
ანგელოზი გამიღიმებს თუ ჯალათი ყალბი,
ბედნიერი როგორ გავხდე! — მიპასუხე, რაბი...

კრწანისი

სიჩუმე გამეფებულა, ირგვლივ ჩქამიც კი არ ისმის,
ლადოს ლექსიდან ელავენ ყაყაჩოები კრწანისის,
წუხს ჩასვლას მზისას მიდამო,
ქარს დაჰკარგვია ხალისი,
ბილიკზე ლანდი გამოჩნდა უსისხლო მაჰმად ხანისი,
ერთი პატარა ტირიფი ტირის და რატომ, არ იცის...

* * *

ბედაურები გამწყდარან,
პლებეის სვამენ ქვირიტად,
არაგვში კალმახს აქრობენ,
შხამს გვაწოდებენ ქვირითად,
ფესვებს აჭრიან ბერმუხას,
სულსაც აძრობენ პირიდან...

* * *

მოლაღურები კვნესიან, ბინდი აშავებს კედარს,
ნელა მშვიდდება მიდამო ამ გრილ სუროთა ტევრში,
ლომებით ნაგებ კარიბჭეს ღამის დარაჯი კეტავს
და ვარსკვლავთცვენა იწყება მრუმე აგვისტოს ჭერში.
წესი არ არის, მოგიხმო, ან ფიანდაზი გიგო,
ყველაფერი მაქვს იმისთვის, ცალკე ავიგო კოშკი,
კაკლების ძირში, რბილ მოლზე
ზღარბი მიათრევს ნიგოზს
და არაფერი ანაღვლებს ღამეს, ბნელსა და როსკიპს.

* * *

მიწა ლეიბია, ზეცა საბანია,
ფიქრი მეოცნების დაუსაბამოა,
ჭალაში მდინარე ჰგავს დაღლილ ადამიანს,
მინდა არ დაღამდეს, ისეთი საღამოა.
მთვარე სიზმარია და მზე სიცხადეა,
ყველაფერი კაცის სურვილის ტყვეა,
ახლოა, ვინც არ მინდა, შორსაა, ვინც მწადია,
ცხოვრება არ არის, და მაინც კია...

* * *

მიწისკენ იხრება ტოტი ნეკერჩხალის,
ბღავილით მიდის ბაკისკენ მაკე ცხვარი.
ბუხარში გუგუნებს შეშა აკაციის
და სითბოს აყენებს ვარვარი ნაკვერცხალის.
მეძახის ვახშმისთვის გარე ბიძაშვილი,
ვარდი ჩანს ფანჯრის წინ
გვიანი, ძლივს გაშლილი,
წითელი ფოთლები, ხეები ნაღვლიანი,
კედლიდან მიღიმის „თუშეთი“ მირზაშვილის.

გურამ დოლენჯაშვილი: „ზამთარი იმერეთში“

კედელთან მიდგმული თვლემს უნაბისფერი
ხავერდგადაკრული სკამი და სკამლოგინი
და შენი მკლავები ელავენ მკვდრისფერი
სიცივით, სიმკრთალით, სიცისფრით და ლოდინით.
მამადავითიდან ზეცა გადმოხურეს,
კრამიტის სახურავთა ფერი ბრწყინავს ზეთში,
გრძელი კედლიდან სურათი გადმომყურებს,
დოლენჯაშვილია, „ზამთარი იმერეთში“.
ისე ლამაზია მთვარით მონისლული,
თოვლით გათანგული და სხივმოფენილი,
როგორც სიზმარეთი, ღამით მონიშნული,
როგორც სიყვარული, ცრემლით მოთმენილი.
წავალ იმ ბილიკით, რომ ფარავს ცის მტვერი,
ქარებს ავყვები და ნისლით გამოგივლი;
კედელთან მიდგმული, თვლემს უნაბისფერი
ხავერდგადაკრული სკამი და სკამლოგინი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემზარ კვიტაიშვილი

რქაწითელის მტევანი

არეულია ჩვენი ყოფა

02.09.2016. დავამთავრე უბრწყინვალესი, მეტად გონიერი გერმანელი მოაზროვნის ჰანს გიუნთერის მომცრო წიგნი „ჩემი შთაბეჭდილებები ჰიტლერზე“. ძალიან მომეწონა; გაწონასწორებული, სამაგალითოდ განათლებული და დახვეწილი გემოვნების მქონეა. ფილოსოფიის გარდა, ზედმიწევნით ღრმად იცის პოეზია, ისტორია, მხატვრობა და ხელოვნების სხვა დარგები. ბევრ რამეს გასწავლის და დაგაფიქრებს. ზედმეტის თქმის უფლებას არსად აძლევს თავის თავს, მოზომილად მსჯელობს. ფოტოდანაც აზრიანი თვალებით იყურება. მსოფლმხედველობის მიხედვით გობინოს მიმდევარი უნდა იყოს, აქა-იქ კიდევაც ახსენებს. ადრე, ცხადია, ვერ გაბედავდა ჰიტლერის ზუსტ დახასიათებას: თხრობაში რამდენიმე ეპიზოდი მაინც არის ჩართული, რომლებითაც აშკარად ნაჩვენებია ნაცისტების ბელადის არაკაცობა, სიგიჟე, ყოველგვარ საზღვარს გადაცდენილი ამბიციურობა. გიუნთერი მკაფიოდ წარმოაჩენს, საფრანგეთის რევოლუციიდან მოყოლებული, როგორ დაეკარგვინეს ადამიანს პირადი თავისუფლება და როგორ წაიშალა სახე ხალხისა, იქცა ბრბოდ.

გაცილებით ნაკლებად მომეწონა ჰიტლერთან დაახლოებული პიროვნების, ყოფილი დიდი ჩინოსანის პრინც ფრიდრიხ კრისტიან შაუმბერგ-ლიპეს დანართი — „იყო კი ჰიტლერი დიქტატორი?“ აქ რამდენიმე უნიკალური ფაქტია მოხმობილი, მაგრამ საერთოდ ჰიტლერის უზომო აპოლოგია, მონური თაყვანისცემაა, რაც ყოვლად გაუმართლებელია.

მინდა გავიგო, გამოცემულია თუ არა გიუნთერის სხვა წიგნები. მას გააზრებული აქვს თუ რა იწვევს ერების კვდომას (მეგა-პოლისთა მომრავლება, გლეხურ მეურნეობათა შევიწროება და სხვა ფაქტორები). ამაზე ჩვენც გვმართებს დაფიქრება.

დღეს წავედი ელგუჯა ბერძენიშვილთან, წავუღე ფროიდის წიგნი. 4 საათი იქნებოდა, რომ თაქთაქიშვილის ქუჩაზე ავუხვიე და პოლიციის მანქანები იდგა. ფალიაშვილის ქუჩაზე ვიღაც გარეწარს მოეკლა ყმაწვილი კაცი. იქაურობა გადაკეტილი დამხვდა და ელგუჯასთან შემოვლით მივედი. მალე ქალის კივილი მოისმა. ალბათ ბიჭის დედა იყო. გუნება მოგვეშხამა. საშინლად არეულია ჩვენი ყოფა, მომავალს კარგი პირი არ უჩანს. მერაბიც არ ყოფილა კარგად, აპარატზე მიუერთებიათ. ეს ცუდის ნიშანია. მალე წამოვედი იქედან, დაღლილი ავედი სახლში.

რეზო ჭეიშვილის წლისთავი

11.09.2016. დილითვე დამირეკა ჩვენმა გულითადმა მეგობარმა, საუკეთესო მხატვარმა და ადამიანმა გოგი ჩაგელიშვილმა, მითხრა, რომ არმაზიდან ჩამოვიდა და გაუვლიდა გივი შაჰნაზარსა და შარლოტა კვანტალიანს, რათა მერე ერთად გავმგზავრებულიყავით რეზო ჭეიშვილის წლისთავზე. ღრუბლიანი, გრილი დღე იყო, თუმცა გაწვიმებას არ აპირებდა. გზად ცოტა (ნახევარი საათი) შევბრკოლდით, ტრასაზე დენის მავთულები უნდა გადაეჭიმათ, მაგრამ მაინც ადრე ჩავედით და გადავწყვიტეთ ბაგრატის ტაძარი მოგვენახულებინა. ზურაბ კიკნაძე რაჭიდან იყო ჩამოსული, დავურეკეთ და ისიც იქ ამოვიდა, შემოგვიერთდა.

რეზო ჭეიშვილი მთელი ცხოვრება ამ ტაძრის აღდგენაზე ოცნებობდა, წელიწადში ერთხელ საგანგებო გაზეთსაც უშვებდა. როგორც იქნა, დაიყოლია ხელისუფლება, რესტავრაციის ხარჯები გაეღო. კიდეც გადაიხურა შენობა, ბაგრატი აკურთხეს, მაგრამ მაშინვე ატყდა საშინელი, არცთუ უსაფუძვლო შეხლა-შემოხლა. გამოითქვა რადიკალური აზრი, რომ ძეგლი სამუდამოდ დაიღუპა და იუნესკო მას აღარაფრად თვლისო. მართალია, ჭარბად არის გამოყენებული რკინის კონსტრუქციები და სხვა ნაკლებადშესაფერი სამშენებლო მასალა, მაგრამ ეტყობა, უამისოდ ეს ნაწილობრივი, მიახლოებითი აღდგენაც ვერ მოხერხდებოდა. ისე, მიფიქრია — ჩვენი ამ საამაყო ძეგლის სასურველ დონეზე აღდგენა ალბათ გერმანელ ხუროთმოძღვრებსა და ქვის ოსტატებს თუ შეეძლებოდათ. ბაგრატი ახლანდელი, რამდენადმე დამახინჯებული სახითაც გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ახდენს და მას თანდათან შეეჩვევა თანამედროვეთა თვალი. გუმბათიც, ნელ-ნელა ბუნებრივ შეფერილობას დაიბრუნებს, ცაში ლაღად არის ატყორცნილი. ამითღა უნდა დავიმშვიდოთ თავი.

სამი საათი იქნებოდა დაწყებული, მწვანეყვავილას პანთეონში რომ მივედით. მივუსამძიმრეთ რეზოს მეუღლეს, მარინა ვერულაშვილს, ჩუმ, გულისხმიერ ადამიანს, აგრეთვე, ოჯახის წევრებს რეზოს შვილებს, რძალს, მაია მუსერიძეს, ძვირფას პიროვნებას, შვილიშვილებს (ერთი საუკეთესო ვაჟკაცზე გათხოვილა), რეზოს მოსიყვარულე დას, ლეილას. იქვე იყვნენ რეზოს მეგობარი მწერლები — ელგუჯა თავბერიძე, თემურ ამყოლაძე, გიზო თავაძე... ქუთაისის ტელევიზიას გადაუწყვეტია საგანგებო გადაცემის მომზადება. ზურაბ კიკნაძე და მე გვერდზე გაგვიხმეს და ჩაგვწერეს. საფლავი სადად, გემოვნებით არის მოპირკეთებული. ბრინჯაოში უნაკლოდ, მიმზიდველად ჩამოუსხამთ თავი, რომელიც იქაურმა მოქანდაკემ რეზოს სიცოცხლეში (80 წლის იუბილეზე) გამოძერწა და თვითონ მას, როგორც მახსოვს, მოსწონდა.

მდუმარედ ვიდექით სამარესთან. ჩუმად ვსაუბრობდით ერთი საათი და მერე წაგვიყვანეს რესტორან „რიონში“. გზად ძველი მუხის ტყე გავიარეთ, აჯამეთის ცნობილი ტყის ნაწილი. რესტორანი დაბალი, მკვიდრად ნაშენი და მყუდრო გამოდგა, დასაჯდომად მოსახერხებელი (ასეთი რამეები ქუთაისლებს არ შეეშლებათ). სუფრა უხვზე უხვი იყო, მომსახურებაც სამაგალითო. ელგუჯა თავბერიძემ თამადად თემურ ამყოლაძე დაასახელა და იმან დიდი სითბო და ენაწყლიანობა გამოიჩინა რეზოსადმი. სხვანაირად ვერც წარმოგვედგინა. თამადას არც სხვები ჩამორჩნენ. ყველამ დავლიეთ სანაქებო ღვინო რეზოს სახელზე, როგორც ცოცხალზე, ჩვენ გვერდით მყოფზე. ვიხსენებდით მისი ლამაზი ცხოვრების დაუვიწყარ ეპიზოდებს. ბათუმიდანაც იყვნენ ჩამოსულები განსვენებულის ახლობლები, გულიანი, სასიამოვნო ადამიანები. ბევრი ითქვა რეზოს შეუდარებელ ნიჭზე, მისი მხატვრული სიტყვის გამორჩეულ ძალაზე, აღინიშნა, რომ ახლო მომავალში იგი ბევრად დიდ შემოქმედად წარმოჩნდება, ვიდრე ამჟამად თვლიან. ამაში მეც შევეცდები შევიტანო ჩემი წვლილი.

რამდენიმე საათის მერე ავიშალეთ. გაცილებისას დიდი სიყვარული გამოგვაყოლეს მასპინძლებმა და აღგვითქვეს, რომ რეზო ჭეიშვილის სახელსა და სამუდამო სამყოფელს თვალისჩინივით მოუვლიდნენ. გვიანი ღამე იყო, თბილისში რომ დავბრუნდით. გოგი ჩაგელიშვილმა ჭეშმარიტად ჩვენი მადლი მოისხა, სათითაოდ დაგვაბინავა.

სოფელი გამახსენა

15.09.2016. ვერავინ იტყვის წინასწარ, როდის რა მოულოდნელობას გადაეყრება და ალბათ ეს არის მიზეზი, რომ ადამიანი სიცოცხლის ჟინს ინარჩუნებს. ერთი რამ სულ მაქვს ბუნებაში — სადაც არ უნდა დავინახო, მწერებს გულგრილად ვერასოდეს ჩავუვლი. მათდამი სხვანაირი სიბრალული მეუფლება, რადგან სრულიად უმწეონი არიან. ამას წინათ, სულისშემხუთველ სიცხეში, შინ ვბრუნდებოდი. ჩემს ქუჩაზე, შელანძღული ორსართულიანი სახლის ქვის კიბეზე, სულ სამი საფეხური რომაა, თვალი შევავლე დიდ, მწვანე, კისერწაგრძელებულ კალიას. გურიაში „ჩალდაყას“ ეძახიან. პირველად სწორედ ჩემს სოფელში ვიხილე და ახლაც, მისმა დანახვამ ბავშვობის ნეტარ დროში გადამისროლა. ვიცი, ამაოდ ვეპოტინები, რამაც სამუდამოდ გადიხმაურა. რაღას დაიბრუნებ წლებს, უსასრულობაში გაჭრილმა და დაბზრიალებულმა დედამიწამ ტანზე რომ დაიხვია, მაგრამ ძველის გახსენება მაინც სასიამოვნო ჟრჟოლას მგვრის, თუმცა ეს მხოლოდ რამდენსამე წამს გრძელდება და ისევ ბებრულ, მოსაწყენ ყოველდღიურობას ვეძლევი. რა გასაკვირია, რომ იმ მისავათებულ კალიასთან შევჩერდი. ერთიანად მწვანეს, მიამიტურად აღერილი, ღერძის გარშემო მოძრავი სამკუთხა თავიც მწვანე აქვს, თვალები — მოწითალო. ფრთებიც ნედლი სიმინდის ფუჩეჩს უგავს. საცოდავი პაწაწინა კლანჭებს საფეხურის სისველეს უცაცუნებდა, ალბათ სიამოვნებდა, ბალახის ნამს თუ აგონებდა. საიდან მოფრატუნდა ამ შიშველ ასფალტზე, გასაფრენი არსაით ჩანდა. იმდენად დაუცველი იყო, ყველა გამვლელ-გამომვლელს შეეძლო მისი გასრესა. ბეღურას რომ დაენახა, ხელად დაკორტნიდა, შესანსლავდა. გავშორდი და მერე დამწყდა გული, ვერის ბაღში რომ არ წავიყვანე და უფრო შესაფერის გარემოში არ დავსვი. ესეცაა, იქ თავისიანებს ვერ მიაგნებდა, მარტო დარჩენილი. ბევრ ჩვენთაგანსაც ასე ემართება, მაგრამ ამაზე აღარ გავაგრძელებ სიტყვას, არ მინდა, გუნება გაგიფუჭოთ.

ბაწრის საქანელაზე

16.09.2016. მეხსიერების მივარდნილ, დროის დანაშრევებით დაფარულ კუნჭულებში უამრავი რამ არის შეყუჟული და არავინ იცის, როდის რა ამოიჭრება ზედაპირზე და რაგინდ მოჟამულ გუნებაზეც არ უნდა იყო, გადაგიწმინდავს, განწყობილებას გამოგიკეთებს, როგორც მზიანმა ამინდმა, უღრუბლო ცამ იცის.

ველარც ვიგონებ, რომელი მეზობლის ბავშვებისგან აჟრიალებულ ეზოში (ასეთი ეზოები და კარ-მიდამო ჩემს დაცარიელებულ სოფელში აღარც დარჩა) გავიგონე საქანელაზე დარწეული პატარა გოგოს ვერცხლის ზარივით წკრიალა ხმა. გალექსილ უცნაურობას მღეროდა, ვიღაცისგან გაგონილს:

სიკორწიანა-ლესა,
თხაი დაკალესა,
მევიარე მაჩხვარეთი,
ჯუმათი და ლესა...

„სიკორწიანა“, ცხადია, კონწიალთან, ქანაობასთანაა დაკავშირებული, ხოლო განზრახ, ლექსის საზომის გამო დამახინჯებული „დაკალესა“ ბალღის ენამოჩლექილ მეტყველებას უახლოვდება და აქ ზედმიწევნით ზუსტად ზის, შეუცვლელია და ღიმილის მომგვრელი. თამაშობასთან, სხვადასხვა სახის გასართობებთან შეწყობილი ლექსების უმრავლესობა ასეთია და იოლად გამახსოვრდება.

მიახლოებით თუ შემიძლია აღვიდგინო ჟამთა დინებაში დანთქმული გაუხუნარი სურათი. ზაფხულის საღამო იყო: მტკავლისოდენა ოთხკუხა ფიცარზე დასკუპებული ის პაწაწინა გოგო ცისკენ აიჭრებოდა და მერე ისევ დაბლა ეშვებოდა, მოძლიერებული ნიავი წაბლისფერ თმას უბულულებდა, სახე ვეღარ განვჭვრიტე ამ სიშორიდან, მხოლოდ ეს, ერთმანეთს მარჯვედ მიდევნებული, ალთა-ბალთას წასული სტრიქონები გამახსენდა, ბაწრის აღმადაღმა მოძრაობას აყოლებული და მხიარული, ადრეული სიყმაწვილისას ბევრი ასეთი გალექსება გამიგონია და, როგორც ზემოთ ვთქვი, ძნელია, იგუმანო, როდის რომელი ამოტივტივდება გადაღლილ, მოქნილობადაკარგულ ტვინში. ნებაზე ვარ მიშვებული, არ მინდა, ისედაც ათასი რამით განაწამებ თავს ძალა დავატანო.

უპატრონო ძაღლი

24.09.2016. ძაღლებთან მუდამ სასიამოვნო, კეთილგანწყობილი ურთიერთობა მქონდა. სოფლად ჩვენი ოჯახი უძაღლოდ არასოდეს ყოფილა. ჩემი პატარაობისას თეთრი ფერის ფინია გვყავდა. ერთი ციცქნა და ქარივით სწრაფი. „კუკლა“ ერქვა. სადაც უნდა ყოფილიყო, ჩემ დაძახილზე მოირბენდა და ამლოკავდა, საყვარლად წკმუტუნებდა. იმისი სიკვდილი ჩემი ნამდვილი ტრაგედია იყო. არც ისე ხანდაზმული უცებ ცუდად გახდა. არაფრის თავი აღარ ჰქონდა. ბიძაჩემმა იაშამ (მაშინ ჯერ კიდევ ცოლშეურთველმა) მითხრა, ამას არაფერი ეშველებაო. მართლაც, სულ მალე დალია სული. დაავლო ხელი და სახლის უკან, ღარდისკენ წააპორწიალა. დიდი, შაქარა მსხლის ძირას გაუთხარა ორმო და დაფლა. მთელი დღე გულამომჯდარი ვზლუქუნებდი და მაწყნარებდნენ.

მალე მოიყვანეს სხვა ძაღლი, ბომბორა, კვამლისფერი, მგონი, მეცხვარის ჯიშისა. მთელი დღე გარშემო უვლიდა ეზოს და ღამღამობით, ყოველ გაფაჩუნებაზე, ყეფას ასტეხდა. ისიც ძალიან შემეჩვია, სულ თან დამდევდა. ღამე, უბნის ბიჭებთან ერთად კინოდან რომ ვბრუნდებოდი, შუაგულ შარაზე მხვდებოდა და მკერდზე შემომახტებოდა. შორიდან იგებდა ჩემს ხმას. მისთვის არაფერს ვზოგავდი. სადილობის დროსაც ვუგდებდი ხოლმე ლუკმას და ბებიაჩემი მტუქსავდა. მისმა სიკვდილმაც საშინლად დამწყვიტა გული.

თბილისში გვყავდა ოთახის ძაღლები, ორი. ერთი — უნატიფესი აღნაგობის იაპონური ტოიტერი, ხვადი, ყავისფერწვივება, მამაჩემს აჩუქეს. მეორე — მასავით პაწია ცუგა, მოწითალო, გრძელბეწვა ძუ. ფასანაურში ბოძზე ჰყავდათ მიბმული. ავხსენი და წამოვიყვანე, კესანეს ვეძახდით. უცნაური გაკოტრიალება იცოდა, ფეხებს მაღლა სწევდა. წიგნებს ყუა შემოაკვნიტა. ბოლომდე ქალწულად დარჩა. ორივეს არსებობა სავალალოდ დამთავრდა, მაგრამ ახლა ამის გახსენება არ მინდა, ისედაც მოჟამულ გუნებაზე ვარ.

მთავარი სათქმელი ბოლოსკენ მოვიტოვე. ხშირად წავწყდომივარ ამგვარ სურათს. სამი დღის წინ ვერის ბაღთან ჩამოვიარე და კაფესთან იწვა ვეება ქუჩის ძაღლი; ეძინა. ფერდის ძლივს შეასამჩნევ აწევ-დაწევაზე ეტყობოდა, რომ სუნთქავდა. ასეთი ძაღლი არავის ერჩის. სამადლოდ გადაუგდებენ ნამუსრევს და თავისი ხვედრით კმაყოფილია. იგი უფრო შეეფერება უთავბოლოდ დატრიალებულ ჩვენს პლანეტას, ვიდრე მე. მისი ძილი ნამდვილად ნეტარი და უდრტვინველია, მე კი ღამით გაუთავებლად ვშფოთავ, ვწრიალებ. რაგინდ ფუმფულა საბან-ლეიბი მქონდეს, მზისგულზე ამისი წოლა და გაზმორება ბევრად ნებიერია ჩემს გაძაღლებულ ყოფაზე. ვერ ვიტყვი, თვითონ მიხვედრილია თუ არა თავის უპირატესობას.

ყველა სიკეთის გარდა, წნევის თამაშმაც (აწევ-დაწევამ) გამაწამა და ესეცაა, ძილს რომ არ მანებებს. ახლახანს ერთ ახლობელ ქალბატონს, უნიჭიერეს მეცნიერს, ექიმს, გარეგნობითაც და ანგელოზური ბუნებითაც გამორჩეულს (ვგულისხმობ მანანა გედევანიშვილს) შევჩივლე ჩემი გასაჭირი და გაეღიმა — რას იტანჯავ თავს, დილა-საღამოს დიაზეპამის ნახევარ-ნახევარი აბი ჩაყლპე, წნევას მოგიწესრიგებს და ძილიც ნორმალური გექნებაო. არაფერი მითქვამს, გულში გამეცინა — რა იცის ყოვლად ღვთისნიერმა არსებამ, რომ მე და მოწესრიგება ერთმანეთისგან იმაზე მეტად ვართ დაცილებული, ვიდრე ცა და დედამიწა.

არ გბეზრდება

26.09.2016. გასახარელია, რომ სახელგანთქმული პროგრამა „მეცო“ სადღეღამისოა. დღისით, უპირატესად, კლასიკურ მუსიკას გადმოსცემენ, შეღამებულზე — ოპერებსა და ბალეტებს. ღამე, გათენებამდე, თითქმის მთლიანად ჯაზებს ეთმობა, ძველსა და ახალს (მე ძველი მირჩევნია, უფრო დინჯი, მელოდიური). მეტწილად სხვადასხვა წლების ფესტივალთა ჩანაწერებია. ხშირად ერთსა და იმავე კონცერტს გვასმენინებენ, მაგრამ არ გბეზრდება, თანდათან გიჯდება სხეულში.

წუხელ მგონი მესამედ მოვისმინე ლონდონის საუკეთესო ჯაზ-კაფეს კვარტეტის გამოსვლა და შთაბეჭდილება კვლავ ძლიერი იყო. თევდაპირველად სამნი ჩანან — კონტრაბასისტი (მელოტი, ასე, 50 წლის ზანგი, თავისი საქმის დიდოსტატი), პიანისტი (ისიც ზანგი და მელოტი, იმავე ასაკისა და ასევე ვირტუოზი), ლიტავრაზე დამკვრელი იყო ამათზე ახალგაზრდა ევროპელი, გრძელი თმა უკან, კეფაზე ჰქონდა გასკვნილი. შავ ხალათზე თამბაქოსფერი უსახელებო ეცვა. მთლად ცეცხლი, თვალს ვერ მოატანდი მისი ხელების გახელებულ მოძრაობას. ამათ მერე გამოვიდა მოხუცებული, ოთხმოცს მიტანებული თეთრწვერა ზანგი. შუბლი და ლოყა ყავისფრად ულაპლაპებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქსაფონისტი იყო და შიგადაშიგ წაგრძელებულად, რიტმულად შესძახებდა „ჰე-ჰე-ჰეი...“ ტაშსაც უკრავდა, მთელი დარბაზი აიყოლია. ძნელი არ იყო, მის მიმოხრასა და ჰანგმრავალ სიმღერაში „დუენდე“ შეგემჩნია: გრძელი, მოწითალო ხალათი ეცვა, მხრებიდან ბოლომდე ვერცხლისფრად მოსირმული. კეთილად იღიმებოდა და ღიღინებდა. ყველაფრიდან ჩანდა, იმ კვარტეტის თავკაცი იყო, სათითაოდ წარუდგინა მაყურებლებს, მსმენელებს სამივენი — ლიტავრაზე დამკვრელს ანტუანი რქმევია, კონტრაბასისტს — მარიო, პიანისტისა ვერ გავიგონე, ტიტრებზე, შემდგომ, თვითონ მოხუცი ზანგის სახელი და გვარი ვერ ამოვიკითხე. გარეგნობას და ჩაცმულობას კი დიდხანს ვაკვირდებოდი. მარჯვენა ხელის მაჯაზე ღილი შეხსნილი ჰქონდა და ქათქათა თეთრი პერანგი უჩანდა. შარვალი და ფეხსაცმელები შავი ეცვა. საათ-ნახევარს მაინც იყვნენ სცენაზე და წუთითაც არ მოგეწყინებოდა. უძლიერესი კვარტეტია და ტაშისცემა, შეძახილებიც დიდხანს ისმოდა. ის მოხუცი ზანგი მაინც განუმეორებელია.

ვეღარ ავუდივარ

29.09.2016. სიღრმესა და ნაირგვარ მოვლენათა ახსნაზე თავს ვერ დავდებ (ეს ძველ ბერძნებსაც უჭირდათ), მაგრამ ნაყოფიერებას და მრავალფეროვნებას ნამდვილად არ ვუჩივი. პირიქით, მოზღვავებისაგან ვიხრჩობი, ვერ ვუთავდები — სათქმელს ფორმა მოვარგო, ყალიბში მოვაქციო. სულ მცირე ბიძგი მყოფნის, ლექსი დაიბადოს, მოკლე დროში შეიკრას, თუ მაშინვე არ მივაწერე საბაბი, მერე მიჭირს გახსენება, საიდან წამოვიდა, რასაც წინა, ადრინდელ რვეულებში ვკითხულობ ხოლმე. ნაკლებად მწამს ზოგიერთებისა, ირწმუნებიან, ერთხელ დაწერილ ტექსტს აღარ ვასწორებთო და რაც მათი ხელიდან გამოვიდა, საბოლოოა. არც ის მიმაჩნია მთლად გამართლებულად, როცა ზოგი იმდენს ხეხავდა თავის ნახელავს, ლოდიდან კენჭამდე დაჰყავდა. წამიკითხავს უკიდურესად რადიკალური აზრიც (ეს მთელი მიმდინარეობა, პრინციპია), რის მიხედვითაც სამუდამოდ დასრულებული, დადგენილი ქმნილება არ არსებობს. ამ შეხედულებასთან შეგუება ძნელია. ალბათ რაღაც საშუალო უნდა გამოიძებნოს.

ეჭვი ჩემი ხშირი სტუმარია და ეს დაეჭვება ბევრ რამეში მშველის, მეხმარება. არცთუ იშვიათად, ყოფილა შემთხვევები — ადრე დაწერილს მივბრუნებივარ, საჭოჭმანო სტრიქონი თუ სიტყვა გამისწორებია (ზოგჯერ დაბეჭდილში და წიგნში შეტანილშიც კი) ამაში არაფერია საჩოთირო. ბევრჯერ მიფიქრია — დაოსტატებას ზღვარი არ გააჩნია და კაცმა რომ თქვას, ასედაც არის. საამისოდ აურაცხელი მაგალითის მოხმობა შეიძლება. გულღიად შემიძლია განვაცხადო — ჩემი ლექსების დიდზე დიდი ნაწილი მხატვრულობის მხრივ მოისუსტებს, ნაუცბათევია და ალბათ დღიურებად უფრო შეიძლება ჩაითვალოს. ამას მტკივნეულად არ განვიცდი.

ახალგაზრდობისას, სამოციანი წლების დამდეგს, მქონდა კრიზისის მაგვარი პერიოდი, მაგრამ მერე და მერე ისე მომეძალა სათქმელი (ამას გარე სამყარო და ყოველდღიურობა განაპირობებს), ყველაფრის სტრიქონებად დალაგებას ვეღარ ავუდივარ. ბევრ რამეზე, რაც ადრე უვარგისი დამიწერია (თავისებურად ესეც საჭირო, მოსამზადებელი საფეხური იყო). უყოყმანოდ ვიტყოდი უარს, გადავხაზავდი. მეტისმეტად დამჩემდა ფრაგმენტულობა, რასაც, ვატყობ, სიცოცხლის ბოლომდე ვერ დავაღწევ თავს. რაიმე რჩეულის დინჯად, აწონილ-დაწონილად შედგენაც, ჩემს აწეწილ ცხოვრებისეულ პირობებთან შეუთავსებელია.

ჭკუიდან გადამყვანი დუეტი

05.10.2016. წუხელ შუაღამისას გამომეღვიძა. გვერდით გაწოლილ, თათებში დრუნჩჩარგულ ფისოს ზურგზე ხელი გადავუსვი და ჩავრთე ჩემი საყვარელი „მეცო“, რადგან ვიცოდი, კარგა ხანს აღარ დამეძინებოდა. თავდაპირველად გამოჩნდა წითელსამოსიანი მოხუცი მომღერალი ზანგი (ჯგუფის უფროსი). ნიკაპზე თეთრი

წვერი ჰქონდა ჩამოგრძელებული და ვნებიანად, სასიამოვნოდ ღრიალებდა. დროდადრო ლაპარაკზე გადადიოდა და მაშინაც თავისებურ რიტმს ინარჩუნებდა. ღიმილზე, აელვარებული თვალების გამომეტყველებაზე ეტყობოდა, კეთილი კაცი იყო. დარბაზში ხშირად გაისმოდა აღტაცების მაცნე ტაში, წამოძახილები. არ უნდოდათ მისი სცენიდან გაშვება.

ამას შეენაცვლა (ადრეც მოვისმინე) გენიალური წყვილი — გიტარაზე და როიალზე დამკვრელები. განსაცვიფრებელი გიტარისტი მიშელ კამილიო, ტომით მგონი ესპანელი უნდა იყოს. გრძელი, დაკლაკნილი შავი თმა აქეთ-იქედან ეშვება და მხრებზე სცემს, ნაღვლიანი სახეც მოგრძო, კეთილშობილი აქვს ინდიელი ანდა ლეონარდო და ვინჩი რომ წარმოვიდგინოთ გაჭაღარავებამდე, თმაც ისეა მიშვებული თუ მოშვებული. მუქი ხალათი ეცვა და ჯინსის შარვალი. მარჯვენა ხელზე შნოიანად შებმული ზონარი უჩანდა. თითებს ისე სხარტად ამოძრავებდა. ზედა (დიდ) და ქვედა (წვრილ) სამ-სამ სიმზე, თვალს ვერ მიადევნებდი — აწყვეტილ, გაჭენებულ რიტმს შენელებული ცვლიდა, გიტარის მრგვალი, შავი ორმო რეზონანსს აძლიერებდა. ფანტასტიკური შთაბეჭდილება იქმნებოდა, მღელვარებას ვერ ვიკავებდი. ვფიქრობდი — ვერავინ დაიწყებს იმაზე კამათს, რომ გიტარა ესპანელების კუთვნილებაა და ამ საკრავის აჟღერებაში მათ ვერავინ შეედრება.

პიანისტიც ამავე ძალისა იყო, ტანად უფრო მომცრო, თმაც მოკლეზე ჰქონდა დაყენებული, სინათლეზე უპრიალებდა და დიდი შუბლი უჩანდა. ისიც თავაწყვეტილად აჭენებდა გამებს. კლავიშებს ზემოთ მისი გრძნეული მოკაუჭებული თითები კიბორჩხალას ფეხებივით დახტოდა (ამაზე მერე ლექსის მაგვარი რაღაც დავწერე). მასაც კეთილშობილი ესპანელის იერი ჰქონდა. ეცვა სიმწვანეში გადასული, თეთრად დაფოთლილი, ლაჟვარდ-ლიაპისის ფერის ხალათი, ძალიან უხდებოდა, გამუდმებით უცინოდა ოდნავ დაღვრემილ გიტარისტს, ვისაც უმეტესად ოთხი მროკავი თითი უჩანდა, ცერი იშვიათად თუ ამოყოფდა თავს. უფრო შეთანხმებული, ერთმანეთის გამგები წყვილი ძნელი წარმოსადგენია.

მაყურებლები აღარ ეშვებოდნენ, სტვენდნენ, გაჰკიოდნენ. სამჯერ თუ ოთხჯერ დააბრუნეს სცენის სიღრმიდან და სულ უფრო მომნუსხველ, ლაგამაწყვეტილ მელოდიებს აღვრიდნენ დარბაზს. აღარ მინდოდა არხის გამოთიშვა. დარეტიანებული მივჩერებოდი ეკრანს, ვიდრე ჰაერში ბოლო აკორდები არ დადნა. გადაკოცნეს ერთმანეთი და ხელიხელგადახვეულები სინბნელეში გაუჩინარდნენ. მარტო ასეთი რამის მოსასმენად ღირს ქვეყანაზე გაჩენა. ფანჯარაში გავიხედე, ცას ფერი შეცვლოდა, გაბაცებულიყო. ღონემიხდილი მივეგდე შეჯორგილ ბალიშებზე.

ვერ ვანუგეშე მომაკვდავი

09.10.2016. ვერაფრით ვახერხებ, ჩემს სიყმაწვილესა და ახალგაზრდობასთან შეხორცებული მოგონებების წერა დავიწყო. ამას რომანის მოცულობა ექნება და ერთი გონებასუსტი (ტვინის ანთება ჰქონდა გადატანილი) სალოსის გარშემო მოიყრის თავს. როგორმე უნდა დავძაბო ნებისყოფა და შევუდგე ყველაფრის გამთლიანებას. მოზრდილი შესავალი თითქმის მოთავებული მაქვს და კარტონის შელანძღულ, დაბრეცილ ყუთში ჩატენილი, სადაც ძნელია რამე გაარჩიო. ყველაფრის წარმმართველი აქ ჩემი გამზრდელი მამიდა იქნება, ანეტა, ჩემსა და ჩემს უბედურ ძმაზე, ვახტანგზე, ბოლომდე გადაყოლილი, შეწირული. იმისი ცრემლიანი, უსიხარულო სახე მუდამ თვალწინ მიდგას. თორმეტი წლისა თბილისში გადმომიყვანეს და აქ განვაგრძე სწავლა. ბევრი რამე მაქვს გადასაბმელი, გასამართავი.

ერთ ზაფხულს (მაშინ უკვე ვმსახურობდი) ლანჩხუთში ჩავაკითხე მამიდაჩემს. იმხანად ჯერ კიდევ შერჩენილი ჰქონდა ძველი იერი ჩვენს კუთხეს, არ იყო მთლად ნირშეცვლილი, გაუცხოებული. საღამოობით ზევითა უბანში ავინაცვლებდით, ტრიფოლიატის ღობესთან გადებულ ფიცრებზე მოხერხებული იყო ჯდომა. ბევრ რამეს ვიხსენებდით, გულს ვაყოლებდით ჩავლილის მოგონებას. ზოგი რაღაც ჩაწერილიც უნდა მქონდეს სადღაც, რა მოძებნის.

მამიდაჩემმა ხმადაბლა მითხრა — მიდი, საცოდავი მიტოიე ნახე, კტება, გამოელაპარაკე, მადლს იზამო. ის მიტოიე ჩემი კლასელის და მოგვარის უმცროსი ძმა იყო და ძველი მოსახლის, კონსტანტინე გვარჯალაძის (მოხუცებული, გალეული, პატარა ტანის კონსტანტინე მახსოვს, სამ ძმაში უფროსი) სახლი ეყიდა და რამდენიმე წლის მერე საწყალს კიბო დამართნოდა. კოინდარიან ეზოში შესვლა გამიჭირდა. ჭიშკრის ღრიჭოში შევიჭვრიტე. ხესთან, მოლზე იდგა და იმ მოლივით იყო გამწვანებული. მეგონა ჭაობის პკე ჰქონდა სახეზე გადაკრული, ოდესღაც მოუსვენარ ბიჭს, ახლა გულსაკლავად დამჭკნარს ღვიძლი სულ გადაგვარებოდა განწირულს. ასეთ დროს არაფრით არ შემიძლია ადამიანი გავამხნევო, ენა არ მემორჩილება. შევკრთი, უკან დავიხიე. თბილისში დაბრუნებულმა ორი კვირის მერე გავიგე მისი გარდაცვალება. ესეც მამიდაჩემმა შემატყობინა. ახლა ძველებიდან თითქმის აღარავინაა იქ დარჩენილი. მიმძიმს გარდასულის მონელება, გადახარშვა. ერთმა, ტვინსა და გულში ჩაფესვებული მეხსიერებისაგან დასჯილმა, რამდენ ტკივილს გინდა გაუძლო?!

წესრიგს ვერ მივეჩვიე

11.10.2016. ჭკუა ვერაფრით ვისწავლე. რამდენიმე შემაწუხებელი, საზარალო ნაკლი მაქვს, რომლებიც ეტყობა, სიცოცხლის ბოლომდე გამყვება. ერთია ის, რომ თავში გაელვებულს, უეცრად მოსულს მაშინვე არ ვიწერ, გადავდებ და მერე მავიწყდება. ცალკეულ ფურცლებზე ნაჩქარევად მიჯღაბნილიც მეკარგება და სადღაც არის გაფანტული. ამასთანავე, ხელიც არ მივარგა და სწრაფად მიხლართ-მოხლართულს მოგვიანებით ვეღარ ვიგებ, გაშიფრვაზე ვწვალობ.

გასულ სექტემბერს დაახლოებით ერთი თვის წინ, როგორც მჩვევია, ერთსტროფიანი ლექსი ამდევნებია, ჩამიწერია და ქაღალდებში გაბნეული, ახლაღა ვნახე. კიდევაც დამისათაურებია (ესეც არ მომიტანს შვებას). დათალხული სტრიქონებია, ჩემს ამჟამინდელ განწყობილებას შეეფერება და აქვე მინდა ჩავურთო:

ჩამოამტვრიეს ზეთისხილს ტოტი,
ბოროტის უნდა შევძლო ოტება;
ბევრად ჯობია
ფართხალს და ხროტინს,
დავითის დარად „ვიწყო გოდება“.

გაცნობიერებული მაქვს — ამნაირთა უმრავლესობა ფუქსავატურია — და დაკარგვის შემთხვევაში არ უნდა ვინანო, მაგრამ ჩვეულებას ვერაფერს ვუხერხებ, განვაგრძობ აბდა-უბდის წერას. ცხადია, ყველა ერთ გოდორში ჩასაყრელი არ არის. ძველებიდან აღარც ვიცი, რომელია გამოქვეყნებული და რომელი კიდევ აწი უნდა გადავათეთრო.

ახლა, როცა თენდება, დილის ექვსის ნახევარია, მომაკითხა ჩვენმა უსაყვარლესმა კატამ, ბუბუმ, ამოვიდა საწოლზე, თავ-ყელი, ზურგი მოსაფერებლად მომიშვირა. ხელი გადავუსვი, გაილურსა, დაბლა დაიწია და ფეხებთან მოიკალათა. შემომყურებს, თავისებურად მანიშნებს, რომ შია. ის გემრიელი, ოთხკუთხა, ყავისფერი საკნატუნო საგანგებო განყოფილებაში უნდა ჩავუყარო. მეორე მხარეს წყალი უსხია. მეფური ჯიშის გახლავთ, ბრიტანული და იაფფასიანს ვერაფერს ვაკადრებ. უფრო მომხიბლავი და ჭკვიანი არსება ამ ქვეყანაზე არ მეგულება. კატებზე დიდი წიგნის დაწერას რომ ვაპირებ (ჯერხნობით ესეც ოცნებად მექცა), ბუბუსია იქ ერთ მთავარ ადგილს დაიჭერს. ვეღარ მოვიცალეთ, რომ მე და ბაქარს იგი ვეტექიმთან წაგვეყვანა და აგვეცრა. ამის მერე კიდევაც უნდა გავათხოვოთ, თორემ უკვე მესამე წელშია გადამდგარი. შინაბერობა ემუქრება.

ქუთაისისაკენ მიუწევდა გული

22.10.2016. ეს დღე, მთლიანობაში, უგემურად წამივიდა. დილიდან ჟურნალ „რიწაში“ (¹ 2), ორი თუ სამი საათი ვკითხულობდი რეზო ჭეიშვილის „გადანახულ ჩანაწერებს“ და ამით კმაყოფილი დავრჩი. ძალიან კარგად, გამოკვეთილად ჩანს რეზოს ხასიათი, მისი უჯიათობა, პირდაპირობა. არავის და არაფერს რომ არ ერიდება. თითქმის ოცდაათი წლის წინანდელი ამბებია მოთხრობილი. ზოგჯერ კიდევაც აჭარბებს, მეტისმეტ მაქსიმალისტობას იჩენს.

ბევრს წერს ჩვენი ხალხის სიბეცეზე, უგუნურებაზე — ბრაზობს, სტალინი, საქართველოს დამღუპველი და მილიონობით ადამიანის გამჟლეტი, კერპად გაიხადესო. ერთს, ვისაც ახლობლები ჰყოლია დახვრეტილი, უკითხავს, ასე რომ გძულს სტალინი, რა დაგიშავაო. ამას უპასუხნია, პირადად მე არაფერი, მაგრამ შენ რომ ასე გამოგათაყვანა, იმისთვის უფრო მეზიზღებაო.

თავისი სტილი, თხრობის მანერა შენარჩუნებული აქვს ამ ჩანაწერებში, ზოგიერთი ადგილი მისი საუკეთესო პროზის დონეზეა დაწერილი. მთელი ცხოვრება გაწვალებული იყო, ათასნაირი ჭაპანწყვეტა გამოიარა, ბევრი უსარგებლო წვრილმანის გაკეთება მოუხდა, თორემ გაცილებით მეტს მოასწრებდა.

შემთხვევითი არ იყო, ხშირად ქუთაისისკენ რომ მიუწევდა გული — იქაური სიმყუდროვე და გარემო ამშვიდებდა, იქ უფრო ლაღად ეწერებოდა. ყველა მის მეგობარს, რომელთაც სახელებით იხსენიებს (უმრავლესობა დაეხოცა) ახლოს ვიცნობდი და იმათზე რაღაცები შემიძლია მოვიგონო.

მახსოვს, საწყალი ირაკლი ბაზაძის ცხედარს ქუთაისში რომ მიასვენებდნენ, რეზომ მოწონების ნიშნად თქვა, რა ჭკვიანურად მოიქცა ირაკლი, თბილისში რომ არ დაამარხვინა თავი და სამუდამო განსასვენებლად იქაურობა ამჯობინაო. ყველაფრიდან ჩანს, მასაც იგივე ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ მაშინ არ უთქვამს.

ვიცოდით, კინოსტუდიაში მუშაობა და სცენარების წერა ბევრ დროს ართმევდა, მაგრამ ამის გარეშე ვერ იარსებებდა — ოჯახს, შვილებს, თავიდან ბოლომდე, იგი ინახავდა. დრამატურგიასთან და სცენარებთან რეზო ჭეიშვილის კავშირი ცალკეა შესასწავლი.

ზემოთნახსენები ჩანაწერები და დღიურებიც ცალკე უნდა გამოიცეს და მის შვიდტომეულს დაემატება. დარწმუნებული ვარ, უფრო სრულად, მთელი სიღრმით წარმოჩნდება რეზო ჭეიშვილის განუმეორებელი სამყარო, პიროვნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცხოვრების ტვირთი და ფეხბურთი

სოსო დოლიძე

დებიუტი

ბოლო დროს პოპულარული გახდა სხვადასხვა ფეხბურთელის ყოფითი ამბების გაზიარება, ამზადებენ სხვადასხვა სატელევიზიო გადაცემას, იღებენ სამოტივაციო ვიდეოებს იმ ფეხბურთელებზე, რომლებიც გაჭირვებაში ცხოვრობდნენ, ყველაფერი გააკეთეს და ახლა წარმატებულები და კარგი ფეხბურთელები არიან, სხვებსაც ეხმარებიან და რა ვიცი, კაი ტიპებად ჩანან. ჩემი ისტორიის დასაწყისიც მსგავსია, ეკონომიკურად გაჭირვებულ ოჯახში დავიბადე, ნუ 90-იანი წლები იყო ჩემი ბავშვობის პერიოდი. ყველა გაჭირვებულად ცხოვრობდა ჩემს სოფელში, გამონაკლისი არც მე ვიყავი, მთელ ქვეყანას უჭირდა, ქალაქსაც და სოფელსაც. აღარ დავიწყებ მრავალჯერ მოსმენილი უშუქობისა და სიგუას ნამცხვრების თემას, მოკლედ, გაჭირვება იყო, თან — მაგარი.

ფეხბურთისადმი ჩემი სიყვარული ღრმა ბავშობიდან იწყება. როგორც მიყვებიან, სამი წლიდან მიყვარდა ბურთთან ფეხით შეხება და გორაობა. პირველი მოგონებები ხუთი წლიდან მახსოვს, პატარა რეზინის ბურთი მქონდა, ლარიან ბურთებს ეძახდნენ მაშინ, 1 ლარი ღირდა. რომ მიყიდდნენ, ძალიან მალევე ეზოში სადმე ეკალს მოხვდებოდა და იშვებდა, პატარავდებოდა და დაშვებულ ბურთს ვაგორავებდი მთელი დღე. 8-9 წლის ასაკში სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებელმა შემნიშნა, კარგად თამაშობსო, ჩათვალა და დედაჩემს უთხრა, შეიყვანეთ ბავშვი სპორტსკოლაში ქალაქშიო. დედაჩემს განსაკუთრებით არ უნდოდა ჩემი ფეხბურთელობა, თან ჩათვალა, რომ 9 წლის ბავშვისთვის წრეზე სიარული ცოტა ადრეა და ამიტომაც ფეხბურთზე შესვლამ რამდენიმე წლით გადაინია. 12 წლისა როცა გავხდი და ფეხბურთის გარდა არაფერი მაინტერესებდა, მშობლები საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ სხვა გზა არ ქონდათ და ქალაქში ფეხბურთის წრეზე შემიყვანეს.

ჩემი სოფლიდან მარშუტკას დავყვებოდი ქალაქში კვირაში სამჯერ. ერთ გზას ერთი საათი უნდოდა, გზაში იქით-აქეთ 2 საათს ვატარებდი, პლიუს მაგას არაჯანსაღი კვება და ათასი წინააღმდეგობა, მაგრამ მაინც დავდიოდი, თავს არ ვზოგავდი. კვირაში სამჯერ ქალაქში ვვარჯიშობდი, დანარჩენ დღეებში სახლში, ეზოში. ბევრს ვვარჯიშობდი, ძალიან ბევრს. რომ გითხრათ, ძალიან მიჭირდა ეს ყველაფერი, მოგატყუებთ, უბრალოდ, სხვანაირად არ შემეძლო, ფეხბურთის თამაშის მეტი არც არაფერი ვიცოდი, სკოლაში არ ვსწავლობდი, დიდად სხვაც არაფერი მაინტერესებდა — ფეხბურთი და მხოლოდ ფეხბურთი.

დაცვაში ვთამაშობდი, მიყვარდა ყოველთვის დაცვა, დაცვითი სტილის გუნდებსაც ვგულშემატკივრობდი ყოველთვის; რაღაც ეტაპზე საყრდენ ნახევარმცველადაც ვთამაშობდი; მოკლედ, დაცვის კაცი ვიყავი ყოველთვის. ახლა რა ხდება — თავდამსხმელი ყოველთვის უფრო ჩანს, გოლები გააქვს და ყველას მოსწონს. მცველს ათჯერ მეტად ეფექტური თამაში სჭირდება, რომ თავდამსხმელივით ყურადღების ცენტრში მოექცეს. აი, ოქროს ბურთებსაც, ძირითადად, თავდამსხმელები და შემტევი ნახევარმცველები იღებენ, მცველები და მეკარეები კი — ძალიან იშვიათად.

ვთამაშობდი, ვვარჯიშობდი ბევრს. ჩემზე იძახდნენ, ძალიან შრომისმოყვარეაო. სიტყვა შრომისმოყვარეზე მეცინებოდა ხოლმე. რა შრომისმოყვარე, რის შრომისმოყვარე, ეგ ამბავი დიდად არასდროს მიყვარდა. ფეხბურთი ჩემთვის შრომა არ ყოფილა, ეს იყო უბრალოდ არსებობის საშუალება. ვვარჯიშობდი არა იმიტომ, რომ უნდა მევარჯიშა, არამედ მინდოდა ვარჯიში, უფრო მეტიც, სხვანაირად არ შემეძლო. აი, მერე და მერე დადგა ისეთი დროც, როცა ვარჯიშით დაღლილი ვხვდებოდი, რომ ის ცოტა სიზარმაცეც უნდა დამეძლია ცხოვრებაში რაიმეს მისაღწევად.

ძალიან ნიჭიერ ფეხბურთელად არასოდეს ვითვლებოდი, ჩემზე უფრო იტყოდნენ, მუშა ფეხბურთელიაო. ჩემდა საწყენად ძაან ბევრჯერ მომისმენია სხვა ფეხბურთელებზე, რომ ძალიან ნიჭიერები არიან და ჩემი შრომისმოყვარეობა რომ ქონოდათ, ვარსკვლავები გახდებოდნენ. არა, მაჩანჩალა არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ ვუნდერკინდადაც არ მთვლიდა არავინ. საერთოდ, ვუნდერკინდად რომ არ გთვლიან, მგონი, ეგ კაია, რამდენიმე მეგობარს თვლიდნენ ამომავალ ვარსკვლავად, ამბობდნენ, მეორე პელე გამოვაო, წავიდნენ მერე თბილისში და ვერ გაამართლეს იმედები. გენიოსად შერაცხვა ადამიანისთვის დიდი ტვირთია, ვალივითაა, მხრებზე გაწევს მუდმივად და, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ეს ვალი მუდმივად გადაუხდელი რჩება. წარუმატებლობის უფლება არ გაქვს. ამ ტვირთს ბევრი ვერ უმკლავდება, ბევრი რა, უმეტესობა. ჰოდა, მე რომ არ მთვლიდნენ მაინცდამაინც დიდ საოცრებად, რაღაც უპირატესობას უკვე მანიჭებდა, თავისუფლად ვიყავი შედარებით. მე კი ვგრძნობდი ყოველთვის, რომ ძალიან მაღალ დონეზე შემეძლო თამაში, ეს ყოველთვის იყო. მუდმივად ვგრძნობდი, რომ რომელიმე დიდ გუნდში თამაში არ გამიჭირდებოდა.

14 წლისა ვიყავი, როდესაც ერთ-ერთი გადამწყვეტი მომენტი დადგა ჩემს კარიერაში. თბილისიდან ჩამოვიდა „დინამოს“ ახალგაზრდა შემადგენლობა, თან დამკვირვებლებიც ახლდნენ, ახალგაზრდა ტალანტებს ეძებდნენ. კარგად ვითამაშე. დაცვაში, ფაქტობრივად, უშეცდომო ვიყავი, გამიმართლა და საჯარიმო ჩაწოდების შემდეგ გოლიც კი გავიტანე. ის თამაში 2:3 წავაგეთ, არადა უკეთესად ვითამაშეთ, მაგრამ მაინც წავაგეთ. საბოლოოდ, თბილისელებმა გამოცდილების ხარჯზე მოგვიგეს. თუმცა აქ ეს არაა მთავარი, „დინამოს“ სკაუტებმა ჩვენი გუნდიდან ორი ბიჭი გამოარჩიეს, მე და ჩვენი გუნდის თავდამსხმელი, კარგი ფეხბურთელი იყო ისიც. აუხსნეს ჩვენს მშობლებს, რომ თბილისში უნდა წავსულიყავით და „დინამოს“ ბაზაზე გაგვეგრძელებინა ვარჯიში.

უზომოდ ბედნიერი ვიყავი იმით, რომ შემამჩნიეს; სულ ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან ჩემი თამაში დიდი ნაკრების ხალხსაც მოეწონებოდა. ჩვენს გუნდშიც ყველამ იცოდა, რომ სადაც ვვარჯიშობდით, კარიერული წინსვლა გამორიცხული იყო, ეს აუცილებლად დიდ გუნდში გადასვლის შემთხვევაში მოხდებოდა. ჩვენს გუნდს ტრამპლინის ფუნქცია ქონდა. დადგა კიდეც ტრამპლინის შედეგი — „დინამო“ მეპატიჟებოდა. ეს გარანტირებულს არაფერს ნიშნავდა, იქაც უნდა გამომეჩინა თავი, ბევრი მევარჯიშა და თან გამმართლებოდა კიდეც. მეგობარს ბევრი ნათესავი ყავდა თბილისში და მისი საკითხი მარტივად გადაწყდა, წავიდა მამიდამისთან და „დინამოშიც“ ჩაირიცხა. აი, ჩემს შემთხვევაში საქმე რთულად იყო. დეიდაჩემი ცხოვრობდა თბილისში თავისი ოჯახით, ძალიან პატარა ბინაში, მასთან წასვლის შანსი არ არსებობდა. ოჯახით უნდა წავსულიყავით თბილისში, სხვა გზა არ იყო. შევუჩნდი მშობლებს, რომ ეს უნდა გაგვეკეთებინა, მაგრამ უარი მივიღე. მაშინ კი ძალიან გაბრაზებული ვიყავი, მაგრამ ახლა ვხვდები, ყველაფერს ფული სჭირდება, ოჯახს არ ქონდა წასასვლელად ფული. თბილისში ბინის ქირაობა, იქ ცხოვრება მაშინ წარმოუდგენლად ჩანდა. ძალიანაც რომ ნდომოდათ, ფიზიკურად ვერ შეძლებდნენ. მეც არ ვიყავი ახალი პელე, ამხელა იმედებსაც არ ამყარებდა ჩემზე არავინ, რომ ხარჯი გაეწია ვინმეს. ცხოვრებაში მაშინ მივიღე პირველი დიდი იმედგაცრუება. ეს უბრალო იმედგაცრუება არ იყო, ეს კატასტროფას გავდა. ამ დარდთან გამკლავება ძალიან გამიჭირდა, დღემდე ვდარდობ მაგ მომენტს.

კაი, ვერ წავედი და ვერ წავედი, მართლა თავს ზემოთ ძალა არ იყო. რა უნდა მექნა, ვერაფერი. დავრჩი და ძველ კლუბში გავაგრძელე თამაში. ვვარჯიშობდი უიმედოდ. მსგავსი შანსი კიდევ ოთხჯერ მომეცა, ერთხელ 16 და სამჯერ 18 წლის ასაკში, ისევ „დინამოს“ სკაუტებმა ურჩიეს ჩემს მშობლებს თბილისში წასვლა, ეუბნებოდნენ, იქნებ როგორმე მოეხერხებინათ და თბილისში გადავსულიყავი საცხოვრებლად. ერთმა მწვრთნელმა, მახსოვს, მორიდებით უთხრა კიდეც მშობლებს, იქნებ თბილისში ღამის გასათევი მოეძებნათ ჩემთვის და საკვებზე „დინამოს“ ბაზაში ის იზრუნებდა. ეს წინადადება დედაჩემმა მაშინ შეურაცხყოფად მიიღო, მაგას მათხოვრები ხო არ ვგონივართო, კარგა ხანს იძახდა. ძალიან განიცდიდნენ მშობლები, რომ ვერ უწყობდნენ ხელს ჩემს კარიერულ წინსვლას. მახსოვს, მთელი ძალით ვუმტკიცებდი მათ, იქნებ როგორმე გავეშვი და მალე დიდ ფეხბურთს ვითამაშებდი, ათმაგად ავუნაზღაურებდი დანახარჯებს. განა მშობლების არ მესმის, ახლა ვხვდები ყველაფერს.

ამასობაში გავხდი 18 წლის, 19 წლის. ვუყურებდი ტელევიზორში დიდ ფეხბურთელებს, სულ ჩამესმოდა, რომ პელე 17 წლისა იყო, პირველად მსოფლიო ჩემპიონატზე რომ მოხვდა და გოლები გაიტანა. ძალიან ბევრი კარგი ფეხბურთელი 19 წლის ასაკში უკვე უმაღლეს ფეხბურთს თამაშობდა. მე კი სად ვიყავი, დაკარგულ ადგილზე — საფეხბურთო ამბავში ჩემი კლუბი და ადგილი მართლა დაკარგული იყო.

ხშირად მიფიქრია, ჩემი თამაშის ვიდეოს გადავიღებ და ევროპაში გავაგზავნი კლუბებთან-მეთქი. ახლა რომ ვუკვირდები, ძალიან გულუბრყვილო ფიქრები იყო. მაშინ არ იყო ეს მობილურები, კასეტიანი ვიდეოკამერით უნდა გადაგეღო. კაი, ვთქვათ გადაიღე, მერე ვის უგზავნი? „რეალს“? „ბარსელონას“? როგორ უგზავნი? ინტერნეტი არ იყო. აბსურდი რა, მოკლედ. იმ დროს ჩემი სოფლელი წავიდა არალეგალად ბარსელონაში, მოსაპარად. ჰოდა, ქორწილის ვიდეოების კაცი გვყავდა და იმას ერთ საღამოს გადავაღებინე ჩემი თამაში სოფლის სტადიონზე, ფინტებს ფინტებზე ვაკეთებდი. მერე დავამონტაჟებინე, ძველებური სპეცეფექტები დაადო, ძველ ქორწილებს რომ უკეთებდნენ ისეთი. გოლს ვიტან და მერე ჭრა არის, თეთრი მტრედი მოფრინავს და ასეთი რამერუმეები. ჩავწერეთ მოკლედ ვიდეო და ჩემს სოფლელს გავატანე, ვუთხარი, ბარსელონაში რომ ჩახვალ და მოეწყობი კარგად, კაცურად საფეხბურთო კლუბში მიდი და ეს კასეტა ვინმეს მიეცი-მეთქი. ჩემი სოფლელისთვის ნამდვილად პელეც ვიყავი და მარადონაც და მასზე მეტიც. ბაზარი არააო, მითხრა და წაიღო ჩემი კასეტა. წაიღო და წავიდა ბარსელონაში, მოსაპარად. ვერაფრით ვუკავშირდებოდი. მაშინ ინტერნეტი და სკაიპები არ იყო. ვიჯექი ჩემთვის სახლში და ვოცნებობდი, როგორ ხსნიდნენ ჩემს ვიდეოს „ბარსელონას“ შტაბბინაში, დირექტორი და სხვა ფეხბურთელები როგორ ეცნობოდნენ ჩემს თამაშს. გონებაში უკვე ფილმივით სცენარიც კი მქონდა, თავიდან როგორ სასაცილოდ მოეჩვენათ ეს ყველაფერი, მერე როგორ დაინტერესდნენ და მომძებნეს, როგორ ჩამიყვანეს, როგორი რთული იყო ჩემთვის ადაპტირება, მაგრამ მაინც როგორ დავიმკვიდრე ძირითადი ადგილი „ბარსელონას“ შემადგენლობაში. მერე ჩემზე ფილმსაც გადაიღებდნენ ალბათ. ისე შორს ვიყავი ხოლმე ოცნებებში წასული, იმაზეც კი ვიდარდე, „ბარსელონაზე“ უფრო „რეალი“ მომწონს და როგორმე „რეალში“ უნდა გამეგზავნა კასეტა-მეთქი. მოკლედ, ბავშვური სურვილები რა. გავიდა ერთი, ორი, სამი, ექვსი თვე. არავინ შემხმიანებია. არც ვინმე „ბარსელონადან“ და არც ჩემი სოფლელი. არც ოჯახს ეხმიანებოდა ის დალოცვილი, ოჯახში ისიც კი იფიქრეს, შეიძლება სადღაც მოკვდა ევროპებშიო. 7 თუ 8 თვის შემდეგ ჩამოვიდა საქართველოში, ჩამოვიდა რა, გამოადეპორტეს. დიდი წვერი ქონდა, ნირწამხდარი კი იყო, მაგრამ უცხოური რაღაცები ეცვა, ევროპულები. მეზობლებში ბლატაობდა, ეს იქიდან მოვიპარე, ეს აქედანო. მოკლედ, ჩასულა იქ, ვინც უნდა დახვედროდა, ის დაჭერილი დახვდა, ვიღაცამ დააკვალიანა და დევნილთა თავშესაფარში წაუყვანია, იქ არ მიუღიათ და მერე სად ცხოვრობდა, არ ვიცი. ეჭვი მაქვს, ქუჩაში ცხოვრობდა, ბომჟად. თვითონ სხვანაირად ყვებოდა, მოხუცი კატალონიელი ქალი უნახავს, თავი შეუყვარებია და მასთან ცხოვრობდა, ცოტა ხანში უნდა მომკვდარიყო და ქონება მე მრჩებოდაო, მაგრამ მერე მისი შვილები გამოჩნდნენო. მოკლედ, ტყუილები, ტყუილები. რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ჩემს კასეტაზე ვკითხე. მითხრა, „ბარსელონას“ სტადიონზე მივედი და დაცვის ერთ-ერთ წევრს დავუტოვე შენი კასეტა და ვუთხარი, კლუბის პრეზიდენტისთვის ეჩვენებინაო. ნუ მაინც ხო სისულელეა, ვინ რას ეკითხება დაცვას ან აქ ან იქ, მაგრამ მოყოლილიც არ მჯეროდა და არც ახლა მჯერა. მაგას იქ მისი გასაჭირი ქონდა, ჩემთვის სად ეცლებოდა?!

ამასობაში 20 წლის გავხდი. კი, ახალგაზრდა ფეხბურთელი ვიყავი, მაგრამ თუ რამის მიღწევა მინდოდა, ნაბიჯები წესით უნდა მქონოდა გადადგმული, მაგრამ — ვერა. ისევ ჩემს კლუბში ვთამაშობდი. ადრე თუ ფეხბურთი იმიტომ მიტაცებდა, რომ სხვანაირად არ შემეძლო, ახლა უკვე საკუთარ თავს ვაძალებდი. მუღამიც დამეკარგა, ვერც თბილისში გადავედი. ეს თბილისში გადასვლა საკრალურ რამედ მქონდა. ვინ იცის, იქნებ გადავსულიყავი და მაინც ვერაფრისთვის მიმეღწია, კაცმა არ იცის. მაგრამ ვცდიდი მაინც და მეცოდინებოდა. ჰოდა, ვვარჯიშობდი, ახლა უკვე ვარჯიში კოშმარად იქცა. 21 წლისა გავხდებოდი მალე და ვხედავდი, როგორ გარბოდა წლები, მე კიდევ ისევ ისე, სოფლის მარშუტკას გავყვებოდი ქალაქში, მერე ვვარჯიშობდი და საღამოს უკან ვბრუნდებოდი. თუ მეზობლები ადრე ჩემზე დიდ იმედებს ამყარებდნენ, ახლა უკვე ზურგს უკან ქირქილებდა რამდენიმე, დადის მარშუტკით ზემოთ-ქვემოთო. მამაჩემი დათვრა ერთხელ და მეზობელთან დამცინა, ჩემი ბიჭი დაყვება ამ მარშუტკას და აგორავებს ამ ბურთს და ეს ენერგია ყანაში რომ დაეხარჯა, ახლა სამმაგი მოსავა-

ლი მექნებოდაო. სოფელში სახუმაროდ იყო ეს დიდი ხნის განმავლობაში. ამის გამო ძალიან მტკიოდა გული, მაგრამ არ ვიმჩნევდი. მამაჩემი არაა ცუდი კაცი, მაგას კი არ ვამბობ, უბრალოდ, ალბათ მაგასაც გამოელია მოთმინება, რა ვიცი.

21 წლიდან უიმედობა კიდევ უფრო და უფრო გაიზარდა. მაგრამ ჩემს თავში მაინც გამოვნახე, შეიძლება ითქვას, უკანასკნელი ძალები და ვაგრძელებდი თამაშს. ჰოდა, მაგ დროს მოხდა საშინელება — ერთ-ერთი თამაშის დროს, შეჯახებისას, წვივი მოვიტეხე. რაიონის ექიმმა მითხრა, მინიმუმ წელიწადნახევარი მაინც დაგჭირდება, სირბილი რომ შეძლოო. მაშინ უკვე პირველად ჩავხედე მწარე სიმართლეს თვალებში — სიმართლეს, რომ ჩემთვის დიდი ფეხბურთი დამთავრებული იყო, უფრო სწორად, დიდ ფეხბურთზე ოცნება. წელიწადნახევრის ან ორი წლის მერე 23 წლის ფეხბურთელი, რომელიც ფორმიდან სრულიად ამოვარდნილია და თამაშობს რაიონში დაკარგულ კლუბში — დამთავრდა.

რეაბილიტაციას 2 წელი დასჭირდა, ვერ აღვწერ იმ ორ წელს. უბრალოდ, ზომბივით ვიყავი. გათიშული. ადამიანური გრძნობები თითქოს მომიჩლუნგდა, რაღაცნაირად შევძელი და არც ფეხბურთზე ვფიქრობდი, არც კარიერაზე და „პრინციპში“ არც არაფერზე. საღამოობით ფეხზე გიბსით ყავარჯნით გადავდიოდი მეზობელთან, აი, იმ ბარსელონადან დადეპორტებულთან და ვსვამდით. საერთოდ არ ვსაუბრობდი არათუ ჩემს ვერშემდგარ კარიერაზე, არამედ არც მსოფლიო ჩემპიონატზე, არც გოლებზე, საერთოდ ფეხბურთზე. ეს თემა ჩემთვის დახურული იყო. სხვა რომ ლაპარაკობდა ფეხბურთზე, მე ჩუმად ვიყავი. მესმოდა, ჩემზე ამბობდნენ, არ გაუმართლა ცხოვრებაში, თორემ მაგარი იყოო. ამ პერიოდზე ბევრის მოყოლა არ მინდა, არცაა მოსაყოლი.

ორი წლის მერე რეაბილიტაციაც დასრულდა, ფეხზე დავდექი ბოლომდე. დიდ კლუბებშიც იმტვრევიან ფეხბურთელები და ზოგს ორ წელზე მეტიც გაუცდენია და მერეც უთამაშია უმაღლეს დონეზე, მაგრამ ჩემი შემთხვევა სხვა იყო. მე არც დიდ კლუბში ვთამაშობდი და ეს ორი წელი ვსვამდი, წონაშიც მოვიმატე, ღიპი არ დამდებია, მაგრამ ზედმეტი რამდენიმე კილოგრამიც სირთულეა ფეხბურთელისთვის.

არ ვიცი, რა მოხდა, რამ მაიძულა ასეთ უიმედო სიტუაციაში ამ გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ ფეხბურთის თამაშის გაგრძელება გადავწყვიტე. 23 წლის მოსუქებული, ნალოთავები და ფორმიდან სრულად ამოვარდნილი ვიყავი. მწვრთნელს ეს რომ ვუთხარი, გამოშტერდა კაცი, არანაირად არ მოელოდა.

ორ სიტყვას ჩემს მწვრთნელზეც გეტყვით. ძალიან კარგი კაცი იყო და არის კიდეც. ის მწვრთნელთა იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომ არ იცვლებიან. სულერთია, წააგებს, მოიგებს, რა შედეგი ექნება, ის კაცი იყო და იყო. პატარა ხელფასს იღებდა, საღამოობით ტოტალიზატორში იჯდა, იქ აგებდა ხელფასის ნახევარს. კეთილი გული ქონდა, არავის, არასოდეს მისგან რაიმე ტიპის წყენა არ ახსოვდა, ყველას ხელს უწყობდა. ფეხბურთელები, როცა უნდოდათ, მოდიოდნენ სავარჯიშოდ და როცა არ უნდოდათ — არა. მერე და მერე კი მივხვდი, ეს კარგი არაა და სპორტსმენს, პირველ რიგში, დისციპლინა სჭირდება, მაგრამ მაშინ მის ამ თვისებას ძალიან ვაფასებდით. კი, ზარმაცი კაცი იყო, მაგრამ ცოდნაც ქონდა და თუ მონდომებული იყავი, მისგან ბევრ რამეს ისწავლიდი.

მოკლედ, დაბრუნებაზე რომ შეიტყო, მითხრა, მოდი, ბიძია, რა პრობლემაა, უბრალოდ, ვიცი, ვერ შეძლებ და მერე გული დაგწყდება, მე მილიონი შენნაირი მყოლია და მესმის ეს ამბავიო. დავიჟინე, უნდა ვითამაშო-მეთქი. განვაახლე ვარჯიში. პირველ თვეებში 40 წუთიც ვერ ვუძლებდი. სადღაც ერთ წელში უკვე სრული 90 წუთი სირბილი შემეძლო გაუჩერებლად. თავიდან ძირითად შემადგენლობაში ვერ ვხვდებოდი, წარმოგიდგენიათ? დაკარგულ კლუბში ძირითადში ვერ ვხვდებოდი და რამდენიმე წლით ადრე „ბარსელონაში“ თამაშზე ვოცნებობდი, საოცრებაა.

ნელ-ნელა 25 წელს მივუახლოვდი, ძველი ფორმა კი დავიბრუნე, ჩემს გუნდშიც „ვარსკვლავი“ ვიყავი, მაგრამ მერე რა?



არაფერი. ეგ ამბავი მოგვიანებით გავიგე, დიდი ხნის მერე, ჩვენთან რაიონში ჰოლანდიელი ყოფილა ერთი ჩამოსული, სტუმრად ერთ-ერთ ოჯახში. ფეხბურთს არ ტოვებდა რაიონში, ყველა თამაში ნახაო, ამბობდნენ. ან რა სანახავია, რამდენიმე თამაში ნახა ალბათ, ბევრი თამაში ისედაც სადაა ჩვენთან, ჩემი კლუბი უმაღლეს კი არა, პირველ დივიზიონშიც ვერ თამაშობდა. მეორე დივიზიონი კი ერქვა ისე, სახელად, მაგრამ სამოყვარულო დონეს უფრო გავდა. მოკლედ, ამ კაცს უნახავს ჩემი კლუბის ერთ-ერთი თამაში, კარგად ვითამაშე და უთქვამს, ამ ბავშვის ამბები მაინტერესებსო. ჰოდა, გაუგია, ბავშვი კი არა, უკვე 25-ისააო და მას მერე აღარ დაინტერესებულა, მე უფრო 19 წლამდე ასაკის ბავშვები მაინტერესებსო. ერთ-ერთი ჰოლანდიური კლუბის ახალგაზრდულ ნაკრებში მუშაობდა თურმე ეს კაცი. ჩვენი რაიონის მოსახლის სიძე იყო. ხედავთ, გასახსენებლადაც კი არ მაქვს უკეთესი 25 წლის ასაკისთვის. ვიღაც ჰოლანდიელს, კაცმა არ იცის, რა სიტყვა ეთქმოდა მის კლუბში. მართლა 19 წლის რომ ვყოფილიყავი, მერე რა? ვინმე მომცემდა ჰოლანდიის პასპორტს და მილიონებს გადამიხდიდა? ხავსს მოჭიდებული კაცის ამბავი ხო გაგიგიათ.

დაგღალეთ ალბათ ჩემი ამბის მოყოლით, ცოტაც და მოვრჩები. ჰოდა, 25 წლისა კი ვთამაშობდი კარგად, მაგრამ მაინც 25 წლისა ვიყავი. ჩემი კლუბელები ყველა იყო 16-დან მაქსიმუმ 22 წლამდე. მერე ან ვინმე შეამჩნევდა, თავს უშველიდა და უკეთეს კლუბში გადავიდოდა, ან მიხვდებოდა და თავისით ანებებდა ფეხბურთს თავს. ერთი მე ვიყავი 25 წლის და მაინც ბოლომდე ვიხარჯებოდი სტადიონზე, ოღონდ უკვე რისთვის ხდებოდა ეგ, ბოლომდე არც ვიცოდი. ადრე თუ მქონდა გეგმები და იმედი, ახლა უკვე იმედიც არ მქონდა. ბოლოს რაღაც ავადმყოფობასავით იყო, რომ განიკურნები, მაგრამ მაინც რომ გახსენებს თავს ცოტ-ცოტას. ლამის რაიონის მასშტაბით ხუმრობდნენ ჩემზე, მარადმწვანე ვარსკვლავიაო.

თქვენც მიხვდით ალბათ, რომ ასე დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. დადგა დრო და დავანებე თამაშს თავი. დასრულდა, როგორც იქნა. 25 წლის ასაკში.

სულ 14 წლის პერიოდის ამბავი მახსენდება. თბილისში რომ წავსულიყავი და „დინამოში“ მეთამაშა, რა მოხდებოდა? თავმდაბლობას ვაფასებ ადამიანში, მაგრამ ზედმეტად თავის გასაცოდავებაც არაა საჭირო. რა მოხდებოდა და ვივარჯიშებდი ბევრს, იქ უფრო შემამჩნევდნენ და გავხდებოდი დიდი ფეხბურთელი, დიდ კლუბში გადავიდოდი სათამაშოდ. გავხდებოდი მსოფლიო დონის ვარსკვლავი, მექნებოდა ბევრი ფული, ცოლსაც უკეთესს მოვიყვანდი, ვინმე მოდელს (კაი ხო, ვიხუმრე). ახალგაზრდა ტალანტების აღმოჩენაში დიდ თანხას ჩავდებდი. მერე ჩემზე დოკუმენტურ ფილმებსაც გადაიღებდნენ. ჩემი სოფლელებიდან ინტერვიუს ჩაწერდნენ მსოფლიოს წამყვანი ტელევიზიები. ვინ იცის, საფეხბურთო კარიერის მერე შეიძლება პოლიტიკაშიც კი მოვსულიყავი, ან ბიზნესში. ბევრი რამ შეიცვლებოდა, მაინც მჯერა, რომ შეიცვლებოდა.

არ ვიცი, შეიძლება არც ისეთი დიდი ტალანტი მქონდა, ამასაც არ გამოვრიცხავ. მაგრამ ერთი ვიცი უეჭველი, რომელიმე ევროპულ, დალაგებულ ქვეყანაში რომ დავბადებულიყავი, მეტს მივაღწევდი. ან თბილისში... დავიწყე ისევ თბილისზე, თბილისიც იყოს ახლა, მე შენ გეტყვი, მსოფლიოს ცენტრი... ტრიპაჩებია მანდაც, ბევრი... უბრალოდ, როცა ამბობენ, ნიჭი მაინც გამოიჩენს თავს და არ დაიმალებაო, ტყუილია ეგ ამბავი. ნიჭს ხელშეწყობა უნდა, განსაკუთრებით ბავშვობაში.

ბევრი წელი გავიდა მას მერე, ჩემი მწვრთნელიც დაბერდა, ავადმყოფობდა და მთავარი მწვრთნელობა მე ჩავიბარე და გავაგრძელე მისი საქმე. მასავით ვარ, წავაგებ, მოვიგებ, არ აქვს მნიშვნელობა, მაინც არ გამათავისუფლებენ. ძალიანაც არ ვიკლავ თავს, მაგრამ რაც მართალია, მართალია, ფეხბურთელებსაც ვაქცევ ყურადღებას. ათი წელია, უკვე მწვრთნელი ვარ. მიფიქრია, უფრო კარგ გუნდსაც გავწვრთნი-მეთქი, მაგრამ მაღალ დონეზე და დიდ კლუბებში მწვრთნელები იმდენ ტრეინინგს, მონახაზებს და ათას რამეს სწავლობენ, არ მაქვს მაგის თავი. ზემოთ სულ სხვა დონეა. ვარ მე ჩემთვის, მშვიდად და ლამაზად. განა ვერ შევძლებ უფრო მაღალ დონეზე მწვრთნელობას, უბრალოდ დავიღალე, ასე მგონია, ჩემი ცხოვრების პირველმა 25-მა წელმა, დიდ ფეხბურთელად გახდომა-არგახდომის ბრძოლებმა ბოლომდე შეჭამეს მთელი ჩემი ენერგია; უნარებიც ალბათ. ანაზღაურება დაბალია, მაგრამ გაჭირვებით მყოფნის. ყოველ შემთხვევაში, საჭმელს ვალით არ ვჭამ. შრომაც არ მიწევს ბევრი, დასალევადაც მრჩება დრო. თაობაც კარგი მოდის, მაგრამ ჩემს დროს რომ „ჟილკა“ ქონდათ, ისეთები აღარაა, ახლა მილიონი გასართობია — ეს ფეისბუქი, ინტერნეტი და რა ვიცი, მილიონი რამ. ათი წელია, მწვრთნელი ვარ და ჯერ არ გამიშვია რომელიმე მოთამაშე დიდ კლუბში. რამდენიმე შემთხვევა იყო, როცა თბილისში გადავიდა ბავშვი. ახლა ბევრად მარტივია თბილისში წასვლა. ყველა, ვინც სკოლას ამთავრებს, ეგრევე უნივერსიტეტში აბარებს. ყველა თბილისში მიდის სასწავლად, ან სამუშაოდ, ჩემს დროს იყო ეგ ყველაფერი ძალიან რთული იყო. ჩემი ამბავიც ადრე იყო ბევრად მტკივნეული და რთულად გასახსენებელი, თორემ ახლა მარტივად ვყვები. ასეა, ყველა ვერ ითამაშებს დიდ ფეხბურთს, მეც ვერ შევძელი. უკვე ფეხბურთზეც თავისუფლად ვლაპარაკობ და ჩემს ვერშემდგარ კარიერაზე.

საბოლოოდ ჩემი ამბავი არაა ფეხბურთზე, ეს უფრო ცხოვრებაზეა. ჩემი ცხოვრების მთავარი ამბავი კი ჩემი ვერშემდგარი, უბადრუკი საფეხბურთო კარიერაა. ხანდახან უფრო შორსაც მივდივარ, ვთქვათ, დიდი ფეხბურთელი გამოვსულიყავი, ახლა ბედნიერი ვიქნებოდი? ესაა ცხოვრების აზრი? იმაზეც კი მიფიქრია, ადამიანები იმიტომ ცდილობენ, გახდნენ წარმატებულები, რომ ამით უფრო დიდი და შავბნელი კითხვები გადაფარონ ცხოვრების არსსა და ბედნიერებაზე. რთულ თემებს მივადექი, ძალიან რთულს, ამ კითხვებზე პასუხი მე კი არა, ჩემზე ბევრად განათლებულ ხალხს არ აქვს. ბოლოს მაინც წავუფილოსოფოსე, ფეხბურთით დავიწყე და სად წავედი. და მაინც, საღამოობით წამიერად გამივლის ხოლმე გულში ტკივილი და ზუსტად ის შეგრძნება მახსენებს თავს, 14 წლის ასაკში რომ მქონდა — თბილისში რომ ვერ გადავედი სათამაშოდ. მაგრამ უცებ გადის ეგეც. დიდი ფეხბურთელობა ამ ფიქრებისგან დამიცავდა ალბათ. მოვრჩეთ, დავიღალე, ისევ თავიდან ვიწყებ, რა აზრი აქვს, მაინც თავის მართლებას გავს ეს ყველაფერი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწერალი ნინო სადღობელაშვილი

„ვის სჭირდება ეს ილუზია?!“

* პოეტმა და პროზაიკოსმა ნინო სადღობელაშვილმა კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი ლიტერატურული დაოსტატების სპეციალობით დაამთავრა. სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს საპატრიარქოს რადიოს ლიტერატურულ რედაქციაში, ასევე — პედაგოგად.*

მისი პირველი პროზაული კრებული 2006 წელს გამოიცა, 2008-ში კი პირველი პოეტური კრებული „შუაღამის იავნანა“ გაიცნო მკითხველმა. ერთი წლის შემდეგ გამომცემლობა „პეგასმა“ დასტამბა მისი მორიგი რომანი „ორსული“, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ „ინტელექტმა“ ხელმეორედ გამოსცა მწერლის ორ სხვა რომანთან „თავშესაფართან“ და „წამი იქა, წამი აქასთან“ ერთად. მწერალს წარმატება მოუტანა ფენთეზის ჟანრში შექმნილმა ნაწარმოებებმაც, „ინტელექტის“ ცნობილ სერიაში რომ დაიბეჭდა. 2013-ში პროზას ისევ პოეზია მოჰყვა, გამოიცა ლექსების კრებული „ფრთები და ხელები“, შემდეგ კი — მოთხრობები და რომანი „იასამნის სეზონი“.

ნინო სადღობელშვილი არაერთი ლიტერატურული ჯილდოს მფლობელია.

— რამდენიმე წიგნის ავტორი ხართ, როგორც პროზაული, ასევე ლექსების კრებულების, რომანების — თქვენ რად მიიჩნევთ თავს, უფრო მეტად პოეტად თუ პროზაიკოსად?

— უხსოვარი ბავშვობიდან ვწერ და იმ ნაჯღაბნებში თავიდანვე ეგრე იყო: მოთხრობებში უნდა აუცილებლად ლექსები გამერია, რომელიმე გმირს მაინც ლექსებით უნდა ელაპარაკა ხოლმე. რატომღაც ეს ძალიან მომწონდა და თან მეგონა, რომ სხვანაირად ტექსტი „სრულყოფილი“ არც გამოვიდოდა.მერე ეს ორივე —პროზაც და პოეზიაც — ბუნებრივად გაიმიჯნა და დღეს მათზე ცალ-ცალკე შემიძლია ფიქრიც და ლაპარაკიც.პროზამ შრომა მასწავლა, შინაგანი წესრიგი ჩამომიყალიბა, ლოგიკურად და დინჯად დამაფიქრა იმ საიდუმლოებებზე, რითაც პოეზია განცდის დონეზე გმსჭვალავს, წამიერი ელდით გმუხტავს და გაყირავებს. მაგრამ, როგორც ჩანს, სწორედ ესაა ჩემი ბუნებრივი სულიერი მდგომარეობა — წამიერი ელდის ადამიანი აღმოვჩნდი.ეს ნიშნავს, რომ პოეზიაა ჩემთვის უპირველესთა შორის პირველი. ის ჩემი ყველაზე დიდი შთაბეჭდილებაა, ძალიან პათეტიკური თუ არ იქნება — ბედისწერაც. მოკლედ, პოეზია უპირველეს ყოვლისა, როგორც გალაკტიონი იტყოდა — და ამ სიტყვების უპირობოდ მჯერა.

— რამდენად ადვილი ან რთულია პოეტისთვის პროზის წერა და პირიქით? სამყაროს, მოვლენების, ცხოვრებისეული დეტალების, შთაბეჭდილებების პოეტურ და პროზაულ აღქმებზე და სათქმელის სხვადასხვაგვარად გადმოცემაზე იქნებ მელაპარაკოთ...

— როგორც ვთქვი, ეს ალბათ ერთგვარი სულიერი შთაბეჭდილებაა, აქედან იბადება გამოცდილებაც, რომელიც სხვადასხვა მდგომარეობაში გადადის. ხანდახან ეს ორი სრულიად შეუთავსებელი მდგომარეობაა და ფარული შინაგანი კონფლიქტების სათავეც — ის, რაც შეგიძლია პროზაიკოსს, ვეღარ გამოგდის პოეტს და პირიქით. მაგრამ ეს მხოლოდ ხანდახან. ისე კი, ალბათ ოსტატობაზეცაა, გამოცდილებაზე — რამდენად ისწავლე ორივე, თუნდაც როგორც შთაბეჭდილება, რამდენად დაუახლოვდი ორივეს ემპირიულ პრინციპს და როგორ შეგიძლია ფლობდე მათ. ოსტატობა, დახელოვნება (ტექნიკური შესრულების ვირტუოზობა, თუ გნებავთ) ორივეს სჭირდება. ახლა ვფიქრობ და ვერ გამოვყოფ, რომელს უფრო. პროზა უფრო სხეულის შრომაა — ყველა კიდურის, გონების ყველა უჯრედის, ხერხემლის და სისხლის, გზაა, რომელსაც, ვერ დაადგები თუ ცოტაოდენი ფიზიკური მომზადება მაინც არ გაქვს. შუაში წაიქცევი, ძალა არ გეყოფა. მე მქონია ეგეთი ჩამუხვლები, თან სულსწრაფი ადამიანი ვარ (ხომ ვამბობ — წამიერი ელდის), ერთ ამბავს რომ დავიწყებ, მინდა იქამდე გავყვე, ვიდრე არ დავამთავრებ — თავაუღებლად და სკამიდან აუდგომლად.მაგრამ, ამ დროს ადამიანობის სხვა ვალები გიტევს და ყველას თავისი წილი უნდა მიაგო. მოკლედ, ძნელია. სამაგიეროდ, სხვანაირი დგები სულ ბოლოს — ნაჯაფარი და ომგამოვლილი, შენ გარშემო კი ნანადირევივით ყრია სისხლისგან დაცლილი და დაჩეხილი აზრები, შეგრძნებები, რომლებისგანაც აგერ ახლა რაღაც სხვა შინაარსი, სხვა სინამდვილე შექმენი. არის ამაში რაღაც უსამართლოც და უპატიებელიც. მაგრამ ცხონება ხომ სწორხაზოვანთა ხვედრი არ არის?! აი, პოეზია კი სხვა ომია.მე ახლა მასზე, როგორც ბედისწერაზე, ისე ვლაპარაკობ, რადგან ამ ბოლო დროს ძალიან ცოტა ლექსს ვწერ, დიდი პაუზებით; შესაბამისად, ვსაუბრობ მასზე, როგორც დიდებულ ხსოვნაზე, უცხო მხარეზე და უცხო ენერგიაზე, რომელიც, ვინ იცის, იქნებ სწორედ შენი პირველხატია ამ სამყაროში! პოეზია საკუთარი თავიდან საკუთარ თავში გადახტომაა, და ამ წამიერ ნახტომში დაფარული მანძილის მოხილვა. ვერაფერი სხვა ამ აქტს ვერ განგაცდევინებს, რადგან ეს მხოლოდ სიტყვას შეუძლია; სიტყვას, მეტაფორას — ეს შეუძლია ენას, რომელსაც პოეზია ახალი შესაძლებლობებით მუდმივად ავითარებს.

— ცოტა შორიდან მოვყვეთ: კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტში, სადაც თქვენ სწავლობდით, ლიტერატურული დაოსტატების სახელოსნოს ვახუშტი კოტეტიშვილი ხელმძღვანელობდა. შეგიძლიათ გაიხსენოთ ის? მასთან ურთიერთობა, მისგან მიღებული შთაბეჭდილებები?

— ვახუშტი კოტეტიშვილთან ურთიერთობა ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე ჩახჩახა და მნიშვნელოვანი შთაბეჭდილებაა. მიუხედავად იმისა, რომ მისი ავადობის გამო ხშირად გვიცდებოდა ლექციები, თითქმის ყველა შეხვედრა, მასთან გატარებული ყველა საათი ზეპირად მახსოვს. ახალი თარგმნილი ჰქონდა რაინერ მარია რილკეს „დუინური ელეგიები“ და „ჟამნი“, გაცნობიდან მალევე მოიტანა ეს თარგმანები და წაგვიკითხა, ჩვენც „დაგვტესტა“ და ალბათ თავისი ხელობაც — რამდენად სრულყოფილი იყო ტექსტისა და მკითხველის შეხება. კითხულობდა თავისი განუმეორებელი, გაბზარული და ხაფი ტემბრით და ეს იყო ჩემთვის კულტურული შოკი, თავზარის დაცემა — ამხელა აზროვნებასთან, ამ სასოწარკვეთამდე მშვენიერ პოეზიასთან შეხება.მახსოვს, ბოლოს მადლობაც კი გადაგვიხადა — თვალებისთვის, რომლებითაც ჩვენ მას ვუსმენდით — თურმე ფარულად გვაკვირდებოდა და ძალ-ღონე ემატებოდა... მერე დავალება მოგვცა — „დღეს ბოლო დღეა“, ამ სათაურით უნდა დაგვეწერა რამე.ბიბლიური ნოეს კიდობანში ყოფნის ბოლო დღეზე დავწერე და ეგ იყო კიდევ ჩემი პირველი ბიძგი გულის მხარეში — მისი კარგი სიტყვა, კმაყოფილება, შენიშვნები. იოსებ ბაიაშვილის კრებულები გვაჩუქა და იმ წიგნზე რომ მისი წარწერაა, იმას სიცოცხლის ბოლომდე შევინახავ ეგეთი ბიძგებისთვის, ჩემი წილი სინათლეებისთვის. ვახუშტი კოტეტიშვილის ცხედარი რომ ქაშუეთში ესვენა, 2008 წლის იმ ავბედითი აგვისტოს დღეებში, რუსთაველზე პრეზიდენტების დასახვედრი კონცერტი თუ რაღაც ჟრიამულიანი შეკრება იყო; ისე გამოასვენეს ქაშვეთის ტაძრიდან, ბევრს არავის გაუგია, ვის ეცალა მის დასატირებლად და პატივის მისაგებად, უხმაუროდ დაკრძალეს დიდუბეში დედამისის გარდაცვალების დღეს გარდაცვლილი ეს დიდი კაცი, რომლის მთელი ცხოვრება ბედისწერის ჭექა-ქუხილებთან ბრძოლა იყო მართლა და რომელმაც ფასდაუდებელი ღვაწლი გასწია ჩვენი ფოლკლორის გაცოცხლებისა და პოპულარიზაციის, უბადლო მთარგმნელობით, ლიტერატურულ და პედაგოგიურ საქმეში. ჰოდა, გარდაცვალებაც როგორი უცნაური ერგო — შეუსაბამოდ ჩუმი, მოკრძალებული, სამშობლოს ბედისწერაზე გადახლართული. სიკვდილითაც თავის ქვეყანას უერთგულა და უხმაუროდ გაეცალა. წასაკითხი და გასაცნობი გვყავს ვახუშტი.დრო მოვა და ითქმება ყველაფერი.

— უხსოვარი ბავშვობიდან ვწერო, მითხარით. როგორი იყო პირველი შეხვედრა მხატვრულ სიტყვასთან?

— რა თქმა უნდა, წერა იმას არ ერქვა და უფრო ჩვევა იყო, ჩასუნთქვა-ამოსუნთქვასავით ან დილის რიტუალივით ჩვევა, რომელიც მეგონა, რომ მარტო მე კი არ მჭირდა, ყველა ასე იყო. სკოლაში „აღმოაჩინეს“ მასწავლებლებმა, რომ „რაღაც მჭირს“. იყო ცდუნება, ეს მეც დამეჯერებინა, მაგრამ, საბედნიეროდ, საკმარისად მიყვარს თავისუფლება, დამატებითი ილუზიებით რომ თავი არ შევიზღუდო. უბრალოდ, ეს ყველაფერი — წერის უნარი — სურვილი თუ სიყვარული, თავისთავად იქცა ჩემს ბედისწერად (ამასაც სრულიად არაპათეტიკურად ვამბობ), ცხოვრებამ თვითონ გადაწყვიტა, რომ ხშირად მოეჭრა ისეთი გზები, რაც ამ სურვილის თუ სიყვარულისგან (რომელიც ხანდახან ძალიანაც აღარ მინდოდა და მძულდა კიდეც) გადამახვევინებდა. ამას ვეძახით ალბათ ადამიანები ბედისწერას — არჩევანის უუფლებობას. ან, შესაძლოა, რომელიმე სხვა სამყაროში და სინამდვილეში, ვიდრე აქ მოვიდოდი, მე თვითონ მტკიცედ ავირჩიე ეს გზა და ეს საქმე და მთელი ჩემი აქაური ცხოვრებით იმ არჩევანს ვემსახურები.არის ამაშიც რაღაც იდუმალება და ახლა უკვე საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. პირიქით, კი აღარ ვებრძვი — შეთანხმებულად ვმოქმედებთ. ხანდახან, რომ ვფიქრობ, სასაცილოც კია ჩვენი, ადამიანების ბრძოლები და კონფლიქტები სამყაროს უსაზღვროების წინაშე. რამდენი რამეა სანახავი, ამოსაცნობი, შესაგრძნობი, გასაკვირვებელი და სამი ან შვიდი სიცოცხლეც არ გეყოფა საამისოდ, ჩვენ კი, ჩვენს სულ რამდენიმე ათეულ წელიწადს ვხარჯავთ ომებში, სიძულვილში, ჩხუბში, შურში და ღვარძლში... ლიტერატურას სჭირდება კონფლიქტები, ეს ცხადია.მხატვრული სინამდვილე ხომ სამყაროს კიდევ ერთი დიდი შესაძლებლობაა! მოკლედ, ყველას თავისი გზა და არჩევანი აქვს. ხან კი — ბედისწერა, თუკი შევთანხმდებით და ცხოვრებას ასე დავარქმევთ...

— თქვენს პირველსავე წიგნს, „ბამბაზიის სამოთხეს“, დიდი გამოხმაურება მოჰყვა, როგორც მკითხველში, ისე ლიტერატურულ და საერთოდაც, სახელოვნებო წრეებში. ერთი წლის შემდეგ მოთხრობა პიესად გადააქციეთ და ის ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში დადგა გიორგი სიხარულიძემ. 2010-ში კი იმავე რეჟისორმა ფილმი გადაიღო. მოთხრობაც და ფილმიც ემოციურად ძალიან მოქმედებს, აფხაზეთის თემა, ომის დროინდელი და ომის შემდგომი ამბები ყოველთვის ძალიან ცოცხალია. როგორ იწერებოდა „ბამბაზიის სამოთხე“ და როგორ განვითარდა შემდეგ მოვლენები?

— „ბამბაზიის სამოთხე“ მართლა იღბლიანი ტექსტი აღმოჩნდა. დღემდე ვერ ვხსნი, რა იყო ამის მიზეზი — აფხაზეთის თემაზე ბევრი კარგი მოთხრობა დაიწერა, პიესებიც დაიდგა. მიზეზი, ალბათ იყო იდეა, რომელიც თავიდანვე განვსაზღვრეთ და რომელზეც ავაგეთ პიესა — რეჟისორმა გიორგი სიხარულიძემ, ჩემმა მეგობარმა, რეჟისორმა და მსახიობმა, „ბამბაზიის სამოთხეში“ ლექსოს როლის შემსრულებელმა იოანე ხუციშვილმა და მე — „ვეფხვის და მოყმის“ იდეა, მტრის დედასთან სამძიმარზე წასული დედის იდეა, მსოფლიო მნიშვნელობის ჰუმანიზმის, ჭეშმარიტი სიყვარულის იდეა. ათი წლის მანძილზე, ყოველ 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს ქუთაისის ლადო მესხიშვილის თეატრში სეზონი „ბამბაზიის სამოთხით“ იხსნებოდა და ათი წლის განმავლობაში ყველა სპექტაკლზე ანშლაგი იყო.

— მაგრამ ალბათ განსაკუთრებული ამბავი ისაა, რაც სპექტაკლს მოჰყვა.

— დიახ, ის აფხაზურად თარგმნა ესმა კოკოსკერიამ და DVD-ზე ჩაწერილი სპექტაკლი სოხუმშიც წაიღო.ესმა ეთნიკურად აფხაზია, ქართველი ქმარ-შვილი ჰყავს და სოხუმში მიმოსვლის უფლება აქვს. მან შეძლო, შეეკრიბა მცირერიცხოვანი მაყურებელი და მოეწყო სპექტაკლის ჩვენება. ჩვენ, შემოქმედებითი ჯგუფი, აქ გულისკანკალით ველოდით ამბავს მისგან. ჩამოვიდა ესმა და დაწვრილებით მოგვიყვა, როგორ იყო და რა რეაქციები ჰქონდათ აფხაზებს. როგორც წესი, ჩვენს „აფხაზურ თემებს“ ირონიულად უყურებენ და არ ენდობიან, ჰგონიათ, რომ თემით მორიგი სპეკულაციაა და ტყუილი ცრემლის ღვრა, მაგრამ, სპექტაკლის ყურებისას, დაახლოებით 15 წუთის მერე ირონია გამქრალა და სერიოზულად მოკიდებიან, მერე ესმას ვიღაცის თვალში ცრემლიც დაუნახავს, ვიღაცის დაძაბული სახეც შეუმჩნევია... მაგრამ ფინალში, სადაც ქართველი დედა აფხაზ დედას თავისი შვილის ცხედარს უტოვებს იმ იმედით, რომ





თვითონაც მალე დაბრუნდება, ყველაფერი შეცვლილა... დაბრუნების თემა ყველაზე მტკივნეული, ბევრისთვის მიუღებელი და პრეტენზიულია დღემდე... სამწუხაროდ, ეს ასეა და ამ სინამდვილეს ჩვენც თვალი უნდა გავუსწოროთ. ცოტა ხნის წინ კიდევ ერთ პიესაზე ვიმუშავე, რომელიც ისევ აფხაზეთის თემებს უტრიალებს, ეს კიდევ უფრო საინტერესო და ბევრი რამის გადამფასებელი პროცესი აღმოჩნდა ჩემთვის.უამრავი კითხვაა და პასუხები კი სულ უფრო ბუნდოვანდება. ვიდრე ყველანი არ მოვინდომებთ და პასუხების პოვნას არ შევეცდებით, სიმართლის აღდგენას და დადგენას არ შევეცდებით, ემოციით კი არა, რაციონალურად, გონიერად განსჯას არ შევეცდებით, სულ ერთ წრეზე ვიტრიალებთ. მერე ესეც მოგვბეზრდება და შევეშვებით, როგორც ბევრ სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან რამეს შევეშვით და უიმისოდ გავაგრძელეთ ცხოვრება... არ მინდა, რომ აფხაზეთის და სამაჩაბლოს შემთხვევაშიც ასე მოხდეს. წელს, აფხაზეთის კონფლიქტიდან 26, აგვისტოს ომიდან კი 10 წელი გავიდა.მგონი, საკმარისი დროა, ხელახლა გავიაზროთ და გადავხედოთ ჩვენს წარსულს, სიმართლეს, სინამდვილეს.

— პოეტური კრებულით „შუაღამის იავნანა“ თითქოს ლექსით გააგრძელეთ ლაპარაკი მკითხველთან. ერთ-ერთ ინტერნეტგვერდზე ვნახე, რომ თვითონ ლექსი „შუაღამის იავნანა“ ხუთ საყვარელ ლექსს შორის დაასახელეთ. რის გამო გამოარჩიეთ და შეიყვარეთ ის ხუთეული?

— არც მახსოვს, რომელ ხუთეულს ვგულისხმობდი. „შუაღამის იავნანა“ კონკრეტულ ამბავს უკავშირდება და ის ამბავი იყო მაშინ ჩემთვის მნიშვნელოვანი, საერთოდ, ლექსები განცდებით მამახსოვრდება, ან დაწერის მომენტში ან მანამდე თუ იყო რაღაც უცხო და ხელუხლებელი. სულ რამდენიმე ლექსი მახსოვს ეგრე — მდუღარე განცდებით.

— მოგვიანებით თქვენს ერთ-ერთ რომანს კვლავ მოჰყვა ლექსების კრებული, თითქოს ამოსუნთქვასავით...

— გულწრფელად რომ ვთქვა, არც კი ვიცი, ეს როგორ ხდება, როგორ ლაგდება. პროზაზე მუშაობის დროს, იშვიათ შუალედებშიც იწერება ხოლმე ლექსები. ანუ, იქმნება ილუზია, რომ ორივე მშვიდად თანაარსებობს. თუმცა, ვის სჭირდება ეს ილუზია?! პირველი რომანი, „ორსული“, თავიდან ბოლომდე პოეზიის განცდითაა დაწერილი. მე კი ამას მის წარმატებად სულაც არ ვთვლი. უბრალოდ, ეს ილუზია ვერ დავძლიე. რაღაცნაირად, ადვილად დავემორჩილე და ახლა ბევრი რამე მაღიზიანებს კიდეც მასში. მაგრამ, აი, რომ დავუსვა ჩემ თავს ბანალური კითხვა: თავიდან რომ ვიწყებდე, ისევ ასე დავწერდი თუ არა, პასუხი ზუსტად ვიცი — ისევ ასე ვიცხოვრებდი და ეს ალბათ ნიშნავს, რომ ასე დაიწერებოდა. ეს რომანი, შეიძლება ითქვას, რომ თავიდან ბოლომდე ვიცხოვრე. ხანდახან, ვერც ვიხსენებ ხოლმე თუ ვწერდი საერთოდ, ან როდის ვიჯექი და ვწერდი, ან როდის დამთავრდა. რაღაც დიდი და მტკივნეული სიზმარი იყო და ვიდრე მოვყევი, გაქრა კიდეც. მონაყოლ სიზმრებს კი თანდაყოლილი სევდა აქვთ.

— ძალიან მოქმედებს ჩემზე ის ლექსები, დედაზე რომ წერთ. ხშირად წერთ დედაზე, და ზოგჯერ თვითონ დედასაც „ალაპარაკებთ“, ათქმევინებთ ლექსს. ზოგადად, დედა წარმოდგება როგორც უმნიშვნელოვანესი ფიგურა თქვენს პოეზიაშიც და პროზაშიც, როგორც თქვენი ტექსტების ერთ-ერთი მასაზრდოებელი, შემოქმედების ძალზე შთამბეჭდავი და ცოცხალი სახე. ასეა?

— დიდი მადლობა ამ კითხვისთვის. ზუსტად ასეა. დედის და შვილის თემა ერთ-ერთი უმთავრესია ჩემთვის. თანაბრად განვიცდი ჩემს თავში დედობასაც და შვილობასაც და მთელი კოსმოგონიაა ეს, მარადისობის წრებრუნვა, შიგ ჩათრეული მირიადი გალაქტიკით... სიყვარულის ყველაზე უსასრულო გამოხატულებაც დედაშვილობაა, დედის ძალა კი რწმენის ძალასავითაა — მთებს გადადგამს, ქვას გახეთქს. სულ კონფლიქტების გარემოცვაში გვიწევს ცხოვრება და ხშირად გადავწყდომივარ რწმენის და სიყვარულის, თავგანწირვის ამგვარ მაგალითებს და მიფიქრია კიდეც დედებზე, ვინც თავისი სიცოცხლის ფასად სამყაროში რაღაც ძვირფასს, ნამდვილს და კეთილშობილს ახანგრძლივებენ.მიფიქრია დედებზე, რომლებმაც შვილების გადასარჩენად დატოვეს ოჯახები, ქვეყანა და იქცნენ ემიგრანტებად, გაიფანტნენ მთელ დედამიწაზე და დღემდე მათი ნაოფლარი ფულით საზრდოობენ განა მარტო მათი შვილები, სხვა უამრავიც და ხანდახან, ჩვენი უბადრუკი ეკონომიკაც. რა წიგნი დაიტევს, ან რა ლექსი გაწვდება იმათ ტკივილებს, იმათ დარდებს და მონატრებას?!

— „ორსულმა“, როგორც წლის საუკეთესო რომანმა, გურამ რჩეულიშვილის პრემია მოგიტანათ. მოგვიანებით, „ინტელექტის“ ცნობილი პროექტის, ფენთეზის ჟანრში შექმნილი სათავგადასავლო სერიის პირველი წიგნისთვის „შვიდი სიმღერის საიდუმლო“ სახელმწიფო პრემია „ლიტერა“ გადმოგეცათ. შემდეგ კი თავად იყავით „ლიტერას“ ჟიურიში. რა დამოკიდებულება გაქვთ ლიტერატურული კონკურსების მიმართ? რამდენად მნიშვნელოვანია ისინი მწერლისთვის და ლიტერატურული პროცესების განვითარებისთვის?

— უდავოდ მნიშვნელოვანია და ეს ბოლო დროს გააქტიურებულმა ლიტერატურულმა პროცესებმაც დაადასტურა. რა თქმა უნდა, ყველა კონკურსს და პრემიას თავისი წილი ავ-კარგი აქვს და მუდმივი ღელვა ახლავს. ეს ბუნებრივიც მგონია, რადგან ყველა მათგანს კონკრეტული დამკვეთი ჰყავს, თავისი სეგმენტი აქვს, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, ყველას ჰქონდეს პრეტენზია, მოიცვას მთელი ლიტერატურული სპექტრი და იყოს ობიექტური არბიტრი.ობიექტურობა ძალიან პირობითი ამბავია, მით უფრო ჩვენისთანა ემოციური და ამბიციური საზოგადოებისთვის, შესაბამისად, სკანდალებიც ხდება და მოულოდნელობებიც, პარადოქსებიც და „სამართლის პურისჭამაც“. ვიღაცისთვის ეს გამაღიზიანებელია, ვიღაცისთვის — მოტივატორი.მე არ ვუყურებ ამ პროცესებს ძალიან მტიკივნეულად. ცხადია, მეც მიჩნდება ხოლმე პროტესტი, როცა ცხადად ვხედავ, რომ მართლა კარგი ავტორი იჩაგრება და „ვიღაც“ იმარჯვებს, ხანდახან ეს უსამართლობები პერმანენტულად ხდება და ბუნებრივად აჩენს განცდას, რომ ამის მერე ამ კონკრეტულ კონკურსს თუ პრემიას აღარ ენდო, აღარასდროს მიიღო მონაწილეობა, შეაჩვენო და დაამუნათო, მაგრამ ესაც ხომ პირობითი დასკვნებია, თანაც, მუდმივად იმედოვნებ, რომ იქნებ ჟიურიმ და საორგანიზაციო ჯგუფმა გაითვალისწინოს საზოგადოების საპროტესტო განწყობები და მომავალში შეცვალოს მიდგომა, პრიორიტეტები. მოკლედ, რთული და მარტივი ამბავია ერთდროულად. გააჩნია, რომელი კუთხიდან შეხედავ და თუ მონაწილეობას გადაწყვეტ, კიდეც უნდა აღიჭურვო მოთმინებით, ღირსებით და ცოტა იუმორითაც. და რაც მთავარია – პასუხისმგებლობით, პირველ რიგში საკუთარი თავის წინაშე.

— როგორც წლევანდელი „ლიტერას“ ჟიურის წევრი და თანამედროვე ავტორების თხზულებათა შემფასებელი, რა აზრის ხართ წლევანდელ კონკურსანტებსა და მათ ტექსტებზე?

— მე ყოველთვის ამაღლებული აზრის ვარ ქართულ თანამედროვე ლიტერატურაზე. მაღელვებს ის, მაინტერესებს, ვგულშემატკივრობ და მიმაჩნია, რომ არავიზე ნაკლები ლიტერატურა არ გვაქვს.ნაციონალისტური ჯიბრით კი არა, პირიქით, იმედით და სიხარულით ვამბობ. წლევანდელი ლიტერატურული მოსავალი ყველაზე გემრიელი მაინც პოეზიაში იყო ალბათ. ერთმანეთზე უკეთესმა და ღონიერმა ავტორებმა მოიყარეს თავი — ლელა სამნიაშვილმა, სოსო მეშველიანმა, პაატა შამუგიამ, გიორგი არაბულმა, ზურაბ რთველიაშვილმა, ბელა ჩეკურიშვილმა, ნანა გასვიანმა და სხვებმა, რომლებიც კიდევ ბევრჯერ იტყვიან მნიშვნელოვან სიტყვას ქართულ მწერლობაში. „ლიტერა“ ახალბედა ლიტერატურული პრემიაა და საზოგადოების ყურადღებაც მის მიმართ განსაკუთრებულად სენსიტიური, დაძაბულია და თავისთავად, ძალიან საპასუხისმგებლო იყო ჩემთვის მისი ჟიურის წევრობა, მგონი ბოლომდე ვერც (არც!) გავიაზრე, რასთან მექნებოდა საქმე, მაგრამ მივიღე ეს გამოწვევა და დავინტერესდი საკუთარი თავითაც, რას შევძლებდი და რას ვერ გავართმევდი თავს. ცალკე ლიტერატურა და გამოცდილებაა თვითონ ჟიურის მუშაობა. რა თქმა უნდა, ახლა ამაზე არ ვისაუბრებ და ეს სხვა მსჯელობის საკითხია. ფუფუნება იყო საორგანიზაციო ჯგუფის მხარდაჭერა და სრული თავისუფლების განცდა — მწერალთა სახლი ამ თავისუფლების ოაზისია და გულწრფელად მადლობელი ვარ მათი.და მადლობელი ვარ ყველა ავტორის, რომელთა წიგნებმაც გაზაფხულის დღეები და ღამეები მაცხოვრა, ბევრ რამეზე დამაფიქრა, ბევრი რამე აღმომაჩენინა. ჩემი რამდენიმე ფავორიტი მოკლე სიის გარეთ, ზოგი კი უპრემიოდ დარჩა, თუმცა ესაც არაა ტრაგედია. მათ წინ ბევრი გამარჯვება აქვთ, რადგან მთავარი გამარჯვების ფასი უკვე იციან — ადამიანურ სისუსტეებზე, სიბნელეზე და უმოქმედობაზე გამარჯვების ფასი. „ლიტერას“ კი მთელი გულით ვუსურვებ, მრავალი წლის მანძილზე იყოს ღირსეული და სამართლიანი არბიტრი ქართულ ლიტერატურულ პროცესში.

— თქვენი მეორე რომანი, „თავშესაფარი“, სრულებით განსხვავებული სტილის ტექსტია, განსხვავებული თხრობის მანერით. ესაა ადამიანის მთელი ბიოგრაფია, შვიდ დღეში ჩატეული, მისი დაბადების, შექმნის, სამყაროს ახლიდან დანახვის თუ აღმოჩენის შვიდი დღე. მიამბეთ ამ რომანზე და მისადმი თქვენს დამოკიდებულებაზე...

— ძეგვში არის გიორგი მთაწმინდელის სახელობის დედათა მონასტერი და მონასტრის ბაზაზე არსებული სარეაბილიტაციო ცენტრი.ორივეს დედა მარიამი (ჯაფარიძე) პატრონობს.ეს ერთ-ერთი უკეთილშობილესი ადგილია მთელ დედამიწაზე და ამას რომ ვამბობ, საერთოდ არ ვაჭარბებ. ვინც ერთხელ მაინც მოხვედრილა იქ, დამეთანხმება. ისე მოხდა, რომ ერთი ვნების კვირა გავატარე იმ მონასტერში. იქვე იყვნენ ბენეფიციარები — ერთმანეთზე ფერადი და ლაღი ადამიანები, ნაგავსაყრელის ხალხი — როგორც დედა მარიამი უწოდებს ხოლმე და ადამიანური სიყვარულის მთელ ქრისტიანულ ძალას დებს ამ სიტყვებში. მაშინ ტაძარიც კი არ ჰქონდათ, მხოლოდ ერთი პატარა სამლოცველო, სადაც ხატების გადმოსწვრივ დედა მარიამს ბეთჰოვენის და გოეთეს ფოტოები ეკიდა, თვითონ იყო მწირველიც და მნათეც და, ლოცვის მერე, ქლიავის მურაბიან ჩაიზე რომ დავსხდებოდით, თამარაშენზე მიყვებოდა, იქაური ქართული ენის მადლზე და შესაძლებლობებზე, იმ ერთი კვირის მანძილზე სამჯერ მაინც მთხოვა — მოახერხე და აუცილებლად წადი თამარაშენშიო. გული უგრძნობდა თუ რა იყო — ზუსტად იმ ზაფხულს მოხდა ის ტრაგიკული აგვისტოს ომი. თამარაშენში კი დედა მარიამმა გააატარა ომის დღეები და დღემდე ხორცის ტკივილამდე სიმწრით ყვება მიწისა და სისხლის მისტერიაზე, როცა ამ ორს ერთმანეთი დასჭირდება ხოლმე... აი, ამ ადგილზეა ეს მცირე რომანი.ბევრი ნამდვილი პერსონაჟია — ისინი დღესაც ძეგვში ცხოვრობენ და ყოველი წლის აღდგომის ლიტანიობა ღამეს ელოდებიან, რომ თავიანთი მხიარული წარმოდგენა მონასტრის სტუმრების წინაშე გამართონ და თავი გამოიჩინონ. ყველას ვურჩევ, წავიდეს და თვითონ ნახოს ეს ადგილი, გაიცნოს ეს ადამიანები და დედა მარიამი. სიყვარული იქაა.

— თქვენს ლექსებში, მოთხრობებსა თუ რომანებში, თქვენს პერსონაჟებში ადამიანს შეუძლია საკუთარი თავი დაინახოს, ბოლო კრებულიც, „იასამნის სეზონსაც“ ადამიანური გამოცდილების სიღრმე გამოარჩევს, ჩვენ წინაშეა ჩვენივე ცოდვა, ჩვენივე მადლი, დაცემები, სინანული, ადგომა, იმედი. თქვენ რით გამოარჩევთ ამ კრებულს დანარჩენებისგან?

— ალბათ ბოლო დროის გამოცდილებით მხოლოდ. რაც ცხოვრებამ ნელ-ნელა დააგროვა, გადააფასა, რაც სხვანაირად გამოჩნდა. ახლა მომინდა, რომ ამ წიგნის სხვა, ცოტათი გარე ფაქტორზე ვთქვა — ის, რომ საერთოდ თავი მოება და წიგნად აიკინძა, თავიდან ბოლომდე ჩემი მეგობრის, კარგი მწერლის და რედაქტორის — ზვიად კვარაცხელიას დამსახურებაა. საერთოდ, მთელი ჩემი „ბიბლიოგრაფია“ გამომცემლობა „ინტელექტს“ უკავშირდება — დაწყებული პირველი კრებულიდან, „ბამბაზიის სამოთხიდან“, ფენთეზის ჟანრის წიგნებით დამთავრებული. ისინი მაძლევენ მუდმივ მოტივაციას, რომ ვიმუშაო და ეს შრომა წყალში არ ჩაიყაროს, ეს ნებისმიერი ავტორისთვის ბედნიერება და დიდი კომფორტია. ყველა ავტორს ვუსურვებ, იგრძნოს თავი ამ მხრივ სრულფასოვნად.

— ახლა თუ მუშაობთ რამეზე?

— ბოლო რამდენიმე წელია, ფენთეზის ჟანრში ვმუშაობ. „განძის თეატრი“ სათავგადასავლო წიგნების სერიაა, რომლის ფარგლებშიც ორი წიგნი უკვე გამოვიდა — „შვიდი სიმღერის საიდუმლო“ და „ოქროს ხმალი“.ეს ჟანრი, საერთოდ საბავშვო ლიტერატურის ეს სივრცე, ახალი და დიდი თავგადასავალია ჩემთვის. ახალი კარის გახსნასავითაა და ბუნებრივად თავბრუდამხვევი. ქართული მითები და ლეგენდები, ანდრეზები, ჩვენი ფოლკლორი და ეთნოგრაფია უკვე იმხელა ინსპირაციაა, ისეთი უძირო და უშრეტი წყაროა, რომ ნებისმიერის წარმოსახვას და მაძიებლურ ვნებას დაარწყულებს, ვინც სწორად მიეტანება. ჩემი წიგნების გმირები თოჯინების თეატრიდან იწყებენ თავიანთ თავგადასავლებს, ეს სივრცეც – თოჯინების თეატრი — ერთი ყველაზე იდუმალი ადგილი მგონია, ადამიანის მიერ მოგონილი.ამ წიგნებმა გამაცნეს ბევრი პერსონაჟი, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მითები, ფლორა და ფაუნა, მთის და ზღვის ანდრეზი და ლანდშაფტი, ამ წიგნებმა გამაცნეს ბავშვები — პატარა მკითხველები, რომლებიც მწერენ საოცარ წერილებს, მიზიარებენ თავიანთ აზრებს და ეს მგონი ყველა ჯილდოზე და კრიტიკულ წერილზე ნამდვილი და საინტერესოა. ახლა მესამე წიგნზე ვმუშაობ. ცოტა გამეწელა წერის პროცესი,მაგრამ, ვიმედოვნებ ზამთრამდე დავასრულებ.მერე მეოთხე წიგნს დავიწყებ. თემა უკვე ვიცი, ფაბულის სილუეტსაც ვხედავ. გზას კი — საცალფეხოსაც და საფრენსაც — სამყარო მაჩვენებს.

ესაუბრა თამარ ჟურული

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოიჩი იაკუშიგავა დაიბადა 1929 წელს იაპონიაში, კიოტოში. არის პოეტი, მთარგმნელი, ფოტოგრაფი, ემერეტუსი. სწავლობდა დოშიშას უნივერსიტეტში, მიიღო ინგლისური ლიტერატურის მაგისტრის წოდება. გამოქვეყნებული აქვს პოეტური კრებულები, ფოტოალბომები და აკადემიური წიგნები. არის სარედაქციო საბჭოს წევრი ლიტერატურულ ჟურნალში „Ravine“ (კიოტო); „Kansai Poets Association“-ის დირექტორთა საბჭოს წევრი. დაჯილდოებულია ქალაქ კიოტოს ხელოვნებისა და კულტურის ასოციაციის პრიზით (1997); სასულიერო საგანძურის ორდენით „ოქროს სხივები“ (2010); იაპონელ მთარგმნელთა საზოგადოების სპეციალური პრემიით (2014).

კოიჩი იაკუშიგავა

ქვის ბუდას სიმღერა

ციფრულ საათებს მირჩევნია
ქვიშის საათი.
დროის აღრიცხვას მირჩევნია,
დრო ჩურჩულით ჩამოიმარცვლოს.

ქარმა წაიღოს,
წყალმა წარეცხოს,
კიდით კიდეზე მოელვარემ
მაიძულოს თვალი დავხუჭო.

ცისფერი ცა ვრცელდება ჩემში,
უშედეგოდ ვთხოვ ჰაერსაც
დღეებს ქვაში ბუდად ყოფნის.

ვარ ქვის ბუდა დაცემული,
ქვიშის ბუდა ჩამოცლილი,
გადაიქცა ყველაფერი ცად.

აჩქარება

ეს მარმარილოს ძველი ნაბიჯი,
ოდნავ მაღლა, გრძლად გადადგმული,
ოდნავ მძიმე ტვირთი საჩემო,
ძირიდანვე აჩქარებით წამოწეული.

აჩქარებით... თავი შეიცნო,
სახით მაღლა არ აიხედო,
სუნთქვის რიტმი შეინარჩუნო
ნაბიჯების შენარჩუნებით.

აჩქარებით სავსე გონება.
ჩაუღრმავდი გულმოდგინებით
მცდელობათა შემოდინებას,
არც აღზევების დანაკარგი არ აგივარდეს.

ამ ძველი და უსასრულო ნაბიჯებით
აჩქარებ დუმილს.

ცისარტყელას მოლოდინში

წვიმს
ბაბილონის ნანგრევებზე!
ჩვენი მამების ძალისხმევა,
აეგოთ კოშკი,
ელაპარაკათ ერთ ენაზე,
ჩამოიშალა,
დანაწევრდა სხვადასხვა ენად.

სად გაქრა ჩვენი საერთო ენა?
ის დღე, როდესაც
ერთ ენაზე ვლაპარაკობდით?
მოდით, შევკრიბოთ ფრაგმენტები
დედაენის აღდგენისათვის.

ახლა ისე წვიმს, ისევ დასცხო
ნულოვან ზონას,
დასცხო უდაბნოს,
დაუშინა მთებს ჩრდილოეთის.
ჯიჰადი! ძველი და
როგორი ნოსტალგიური სიტყვაა ჩვენთვის!
ბევრჯერ გვსმენია, ხშირად გვითქვამს,
მთელი ომის განმავლობაში!

დღეს ისევ დასცხო,
დაუშინა წვიმამ მსოფლიოს.
ჩვენ ველოდებით,
ცისარტყელა გამოისახოს,
როგორც ისინი მოელოდნენ იქ კიდობანში.



ედუარდ რეილი დაიბადა 1944 წელს ადელაიდაში სამხრეთ ავსტრალიის პიონერულ ოჯახში (პიონერებად მიიჩნევიან1836 წლიდან 1857 წლამდე ჩასახლებულთა ოჯახები). მუშაობდა საშუალო სკოლის მასწავლებლად და კონსულტანტად. გამოცემული აქვს პოეტური კრებულები. 2006 წლიდან არის პოეტიკის დოქტორი ვიქტორიას უნივერსიტეტში. არის ლიტერატურული ჟურნალის „აზურია“ (ზურმუხტი) დამფუძნებელი და რედაქტორი.

ედუარდ რეილი

წერილები კრაკოვიდან

საიმონსი[1] რეკავს და ამბობს,
იმ გოგონას შენ ასწავლიდი?! რა თქმა უნდა, ვპასუხობ.
შესანიშნავად ჩააბარა, დიდებულია,
მაგრამ მაინც არის პრობლემა:
ეფექტისთვის იღებს პაუზას.
შენ ხარ ძალიან ძლიერი და ზედმეტად კარგი,
მახასიათებს დირექტორის პოზიციიდან.
დაწყევლილი ვარ ახალგაზრდა გოგონებისთვის
სამყაროს საიდუმლოების შესასწავლებლად,
როგორ დაძლიონ მრუდე
სინუსოიდალური ტალღები და პარაბოლები,
ვასწავლო როგორ ისერფინგონ
ზვიგენებსა და რიფებს შორის[2]
და ასე შემდეგ, ყველა გამა, დიაპაზონი.
აი, ოთახი ცარიელი. მაგიდა რბილი სავარძლებით,
ორივე მხრიდან ეჭვმიტანილი. ვდგავარ,
ხალიჩა ოთხკუთხაა და გაცვეთილი,
უფროსობა შესანიშნავი.
ჰო, მაგრამ 9F[3] კლასელები, გამოსწორება[4].
ძვირფასი, მუნჯი საგნებისთვის
ღმერთი ზრუნავს ამ სამყაროში.
და მეც — ძალიან გულუხვი და ზედმეტად მკაცრი,
მუდმივ დრეიფში[5], მუდამ არათანმიმდევრული,
ხუთი წუთის განმავლობაშიც, —
უმალ კარს მიღმა მაძევებენ ამ სამყაროში.
ადგილობრივი ბანკის რაღაც დანაზოგიდან
შემიძლია გამოვიტანო სქელი კონვერტი[6],
არავითარი სხვა აქტივი და არც მანქანა გასაყიდად.
მომიწევს ჩრდილში მუშაობა,
ან შორეულ ტასმანიაში.
ახლოს რას ნახავ: ქირქილებენ დედაკაცები
უხარიათ რომ საკუთარი[7] ქალიშვილები არ გაათხოვეს.
კაცები სდუმან, მათ უფრო ადრე გამოსცადეს,
დათხოვნა, ბოსი,
რომელიც ახალ, ენერგიულ თანამშრომლებთან
იხარჯება სიამოვნებით.
ვერონიკა იძახის: სწრაფად,
ბოლოს და ბოლოს, სანამ ლპობა დაიწყო,
სადმე წავიდეთ, ნებისმიერ ადგილზე,
იქაც, ვიშოვნით რაღაც
საზაფხულო სამუშაოებს
და თავისივე ბიძაშვილის ტელეფონს მაძლევს.
დისკრეციული[8] უნდა იყო ანდაზის[9] კვალად,
„ნურაფერს იტყვი, თუ არ გინდა ილაპარაკო“.
უკანასკნელი ღამისთევა კუთხის კაფეში.
მივდივართ. აი, ჩემოდანი წიგნებითა
და ქაღალდებით.
მატარებელი შეიჭრა შავ და ნაღვლიან[10] ინტერიერში.
რაც უკან დარჩა, ურნამ შთანთქა საქველმოქმედომ[11].
ძალიანაც მალე არ მომწერს[12],
წერილები სამუდამოდ გადაკარგული კრაკოვიდან[13].
ჰოდა, ასეა. მამაკაცის რეპუტაცია
სასოწარკვეთაა მტვერით დაწერილი.

---

[1] საიმონსი. ავტორის მეგობარი და კოლეგა. ამავე დროს არის ხუმრობა მსგავსი სახელის მქონე რადიოწამყვანზე, რომელიც დაითხოვეს სამსახურიდან იმიტომ, რომ „ძალიან კარგი“ იყო. ავსტრალიური ეტიკეტით, „ძალიან კარგი“ იხმარება ნაკლებად დისტანციური ადამიანის თვალსაზრისით.

[2] ავსტრალიის დასავლეთ სანაპიროზე ხშირია ზვიგენების თავდასხმა მოსერფინგეებზე. გადატანითი მნიშვნელობით იგულისხმება განათლების სისტემის მტაცებლური ინსტიქტები.

[3] 9F. კლასის სახელწოდება.

[4] გამოსწორება, კორექტივი. რემედიალური ზომები დაბალკლასელების მიმართ. ბრიტანელი მწერლის, დევიდ ჰოლბრუკის ნაშრომის English for the Rejected. Training Literacy in the Lower Streams of the Secondary School (1964) მიხედვით.

[5] დრეიფი. ამ შემთხვევაში გვხვდება, როგორც დიალოგის ფორმა და ტენდენცია მოლაპარაკებისას.

[6] სქელი კონვერტი. ავტორი გულისხმობს 70-იან წლებს, როცა ავსტრალიელ მასწავლებლებს ჰქონდათ ძალიან დაბალი ანაზღაურება.

[7] საკუთარი ქალიშვილები. აქ ირონიაა იმ დედებისადმი, რომლებიც განსაკუთრებით ცდილობდნენ, გაეკონტროლებინათ ქალიშვილების ქორწინება.

[8] დისკრეცია. დაყოფა, გარჩევა. სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ საკითხის გადაწყვეტა საკუთარი შეხედულებისამებრ.

[9] ირლანდიული ანდაზა, „Whatever You Say, Say Nothing“. ირლანდიელი პოეტის, სეამუს ჰინის ამავე სახელწოდების ლექსიდან.

[10] შავი, ნაღვლიანი — აქ ავტორი ირონიულად მიანიშნებს Poesie Noire „შავ-ბნელი პოეზიის“ ბელგიურ ჯგუფზე, რომელიც პოპულარული იყო 80-იანი წლებში. კლასიფიკაციის მიხედვით დგანან ელექტრონული საცეკვაო მუსიკის (EBM) სათავეებთან.

[11] საქველმოქმედო ურნები განლაგებულია სადგურებთან, ეკლესიებთან, მაღაზიებთან, სადაც ინახავენ ტანსაცმელს, ჭურჭელს, ავეჯს, სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებს. შემდეგ ეს ნივთები ხარისხდება, იწმინდება და ძალიან დაბალ ფასად იყიდება.

[12] ვარიაცია ფილიპ როთის რომანიდან „მომაკვდავი ცხოველი“ (გარკვეული ხნის შემდეგ მოსწავლეები ივიწყებენ თავიანთ მასწავლებლებს ან პირიქით).

[13] კრაკოვი — ავტორი კრაკოვთან აიგივებს რომელიღაც მიუწვდომელ X პლანეტას.

თარგმნა და კომენტარები დაურთო
დავით რობაქიძემ



ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტი **თამარ ჟურული**

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
9 772346 794004